# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 2 მარტი 1999 №36 (809) | ფასი 1 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

4
## არბიტრი ავად გამხდარა

დღეს „არსენალ“ — „დინამოს“, ფილტვების ანთებით დაავადებული ოთარ გუნთაძის ნაცვლად, თამაზ ლაცაბიძე განსჯის

8
## ლოპესი: ბარსას მკვლელი

„ვალენსიას“ არგენტინელმა ფორვარდმა „ბარსელონა“ ათ დღეში ექვსჯერ გაამწარა



11
## გადაწყდა:

ბებერ კონტინენტზე ევროტურნირები გრძელდება. დღეს უეფას თასის მეოთხედფინალია

UEFA CUP

13
## სტეფანია აგდებს, აფარებს და ხსნის

აშკარაა, ქართველს პროფესიონალებში თამაში შეუძლია

14
## ხუთი ახალზელანდიური გუნდიდან სამმა მარცხით დაიწყო

RUGBY SUPER 12

# ლოკომოტივს დეპოში შესვლა ემუქრება

478 III

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები

*უშუალო კონკურენტთან ფრემ რკინიგზელთა თავკაცს თემურ მახარაძეს კინაღამ სამსახური დააკარგვინა, ამ მატჩის ქუთაისელი თანამსაჯი პაატა დოვრაშვილი კი პირველ ჯგუფს ერთი თვით მოკვეთა*



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

კვირას „შევარდენზე“. „ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“: ბესიკ ამაშუკელი და ფოთელები ვერც შალვა ხუჯაძის „შლაგბაუმმა“ დააფრთხო

## 16 ტური

28 თებერვალი, კვირა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| კოლხეთი | 1 |
| სამგურალი | 1 |
| მერანი | 2 |
| გურია | 1 |
| სიონი | 1 |
| ტორპედო | 1 |
| თსუ | 0 |
| იბერია | 0 |
| ოდიში | 0 |
| დილა | 3 |
| გორდა | 0 |

1 მარტი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ბათუმი | 0 |

2 მარტი, სამშაბათი

არსენალი
დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 16 | 12 | 2 | 2 | 43:14 | 38 |
| კოლხეთი | 16 | 8 | 4 | 4 | 35:26 | 28 |
| ლოკომოტივი | 16 | 6 | 10 | 0 | 19:7 | 28 |
| დილა | 16 | 7 | 4 | 5 | 24:21 | 25 |
| ბათუმი | 16 | 6 | 7 | 3 | 23:14 | 25 |
| მერანი | 16 | 4 | 8 | 4 | 15:17 | 20 |
| იბერია | 16 | 5 | 4 | 7 | 26:31 | 19 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| ოდიში | 16 | 5 | 2 | 9 | 12:25 | 17 |
| სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 16:33 | 16 |
| გორდა | 16 | 3 | 7 | 6 | 12:21 | 16 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 16 | 5 | 3 | 8 | 15:17 | 15 |
| სამგურალი | 16 | 4 | 2 | 10 | 14:33 | 14 |
| თსუ | 16 | 3 | 4 | 9 | 14:23 | 13 |
| გურია | 16 | 3 | 2 | 11 | 18:40 | 11 |

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## საქართველო 64:105 იტალია

27 თებერვალი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

მსაჯები: მიროდრაკ ლიჩინა (იუგოსლავია), გიორგი ვალჩევი (ბულგარეთი)

# გვინდა კი კალათბურთი?

იტალიელების ცქერა ერთ რამედ ღირდა, ქართველთა თამაშს კი კალათბურთი ძნელად თუ ეთქმოდა... ჩამთავრდა ევროპის ჩემპიონატის ჩვენთვის სამარცხვინო შესარჩევი ციკლი და ათიდან ათი წაგება შეგვრჩა ხელთ. ჰოდა, უპრიანიც არის ვიკითხოთ: გვინდა კი კალათბურთი?

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

იტალიელებმა აკეთეს ის, რაც და როგორც უნდოდათ

საქართველოს ჩემპიონატი

# 16 ტური



ვლადიმერ გოჩაშვილი ზვიად პაპიძეს ბურთს ამაოდ ეცილება

მცხეთა
1 მარტი
15 საათი
არმაზი
1 200 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 0:0 ბათუმი

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭოხონელიძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ერაძე, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 87), ზ. გვაზავა, კ. ალადაშვილი, ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა (გვერჯიშვილი 81), გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ნოზაძე, თ. ბოკერია, მაზიაშვილი, ვ. ქუთათელაძე
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, მაქაცარია, რუსია
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; ვერემჩუკი, აფხაზავა, თორლაშვილი, კანტიძე, გადელია, რომანაძე
გაფრთხილება: ერაძე (18), ზ. გვაზავა (43)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

პაატა კვანტალიანი მცხეთიდან

გაზაფხულიც დადგა. კაცსაც დაეტყო მისი მოსვლა, ქალსაც, დიდსაც და პატარასაც... ამინდსაც. თქვენ წარმოიდგინეთ, „არმაზის" მინდვრის (პირობითად, რა თქმა უნდა) საფარსაც — მცხეთის სარბიელს აქა-იქ სიმწვანეც შეეპარა. მოვიდა გაზაფხული, მაგრამ, როგორც ჩანს, არა ეროვნული ჩემპიონატისთვის. ჩვეული სიცივე, არაფრისმთქმელი, მოჩვენებლით მონდომება, მოვალეობის მოხდის მიზნით, ისევ ცნობილი გაფაფხურება...

# დღეს პირველი გარტება

რა გითხრათ, გუშინდელ თამაშს „ვიტ ჯორჯიასა" და „ბათუმს" შორის „არმაზის" აქა-იქ სიმწვანეშეპარული მოედანი სჯობდა.

არადა, მოლოდინი, იცოცხლეთ, გვარიანი იყო. მცხეთაში ჩემპიონატის განახლებას მოსეირეც ბევრი გამოუჩნდა. გარდა ამისა, მატჩს რამდენიმე წინაპირობა ჰქონდა ინტრიგისათვის. თავად განსაჯეთ, ამ გუნდების პირველი შეხვედრა ბათუმში სტუმართა სენსაციური გამარჯვებით (1:0) დასრულდა და შავიზღვისპირელებიც სარევანშოდ იყვნენ განწყობილნი. თანაც გამარჯვების შემთხვევაში სტუმრები საგრძნობლად გაიუმჯობესებდნენ მდგომარეობას და ქულათა რაოდენობით მესამეადგილოსან „კოლხეთს" გაუტოლდებოდნენ.

ამბიციური ახალგაზრდა ვიტელებიც საბრძოლოდ იყვნენ განწყობილნი. თასზე განცდილი მტკივნეული მარცხის შემდეგ მათ რეაბილიტაცია სურდათ საკუთარი გულშემატკივრის, თუნდაც უკრაინელ-ამერიკელი პატივცემული კონსულტანტის თვალში. ჰო, კინაღამ გამომრჩა, შეხვედრას სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძეც დაესწრო ფედერაციის სხვა დიდმოხელეებთან ერთად. მოკლედ, ყველა წინაპირობა იყო საიმისოდ, რომ გულშემატკივარს ფეხბურთი ეხილა, თუმცა სხვაგვარად კი მოხდა. მატჩის არბიტრის სასტარტო სასტვენს ფეხბურთელთა საბრძოლო ჟინის დაქვეითება (შეგვიანებით გაქრობაც) მოჰყვა. ვიტელებს ბოლომდე არ დაუკარგავ მონდომება. ისინი მეტოქეზე მეტს ცდილობდნენ და ერთხელ ძელსაც გაარტყეს ბურთი.

— მეტად უკმაყოფილო ვარ ჩემი გუნდის თამაშით. ფეხბურთელებისგან მეტს მოველოდი. რამდენიმე დღეში მეტად საპასუხისმგებლო თამაში გვაქვს საქართველოს თასზე. ამგვარი განწყობით წარმატების მოპოვება ერთობ გაგვიჭირდება. დღევანდელი შედეგით იმედგაცრუებული დავრჩი — უკმაყოფილებას ვერ ფარავდა მატჩის შემდეგ „ბათუმის" პრეზიდენტი თემურ ბეჟანიძე. არც გაემტყუნება ზღვისპირელთა თავკაცს, გუშინ ქვეყნის თასის მფლობელი საკუთარ თავს არ ჰგავდა.

ერთი სიტყვით, ეს იყო მატჩი, სადაც არც ერთ გუნდს არ ჰკლავდა გამარჯვების წყურვილი, ის, რაც ყველაზე ფასეულია ფეხბურთში.

ვინ იცის, იქნებ ბევრი არ დამეთანხმოს, ბევრმაც ყოველივე მოკირკიტე, პესიმისტი ჟურნალისტის პოზიციად მიიღოს, მაგრამ, სულო ცოდვილო, ამ შეხვედრიდან ყველაზე უფრო გაზაფხულის პირველ დღეს აქა-იქ სიმწვანეშეპარული „არმაზის" ზამთარგადატანილი მინდორი დამამახსოვრდა.

გორი
28 თებერვალი
15 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 3:0 გორდა

1:0 აკოფიანი (54), 2:0 მინდიაშვილი (71), 3:0 სულთანიშვილი (85)
დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხ. გაგნიძე, ვლ. სამხარაძე, აკოფიანი, ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი (ხიხალაშვილი 82), ციცქიშვილი, რ. ახალკაცი (სულთანიშვილი 76), მ. მინდიაშვილი (არუთუნიანი 78), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ლომიძე, გუდურაშვილი, კარელიძე
გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. სახვაძე, ტარტარაშვილი, მ. მელაძე, ზირაქაძე, ლაბაძე (სიმონიშვილი 63), ლ. ალადაშვილი, (მიშველიძე 58), კალმახელიძე (ინასარიძე 54)
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; კ. ჩიგოშვილი, ბერიძე, მენთეშაშვილი
მსაჯები: ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), თ. გიორგაძე (სამტრედია), ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

მამუკა კვანტალიანი გორიდან

# შცნაშური დებიუტი

ეს შეიძლება შემთხვევითობა იყო, ანაც ყველაფერი ბედისწერაა. გორში სტუმრად ჩასულ მრავალტანჯულ „გორდას" დიდი ანგარიშით არ უნდა წაეგო, მაგრამ უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ მასპინძლები მეტად ლაღად ათამაშდნენ და „დილამაც" მორიგი საშინაო გამარჯვება მიითვალა.

მატჩის მეათე წუთი იყო. ცენტრალურ ხაზთან ახლოს, მინდვრის კიდესთან, სტუმარ-მასპინძელი — ალადაშვილი და აკოფიანი — ბურთის მოსაპოვებლად ერთდროულად დაიძრნენ. ბრძოლაში სიფრთხილე გადაავიწყდათ. არც ერთმა დათმო პოზიცია და წონასწორობადაკარგული გორელი კეფით დაასკდა ასფალტს.

შემაძრწუნებელი ხმა იყო. სტადიონზე სიჩუმემ დაისადგურა. თაყაძე და ალადაშვილი წაქცეულის მოსულიერებას ცდილობდნენ, მიტკლისფერი ედოთ.

საბედნიეროდ, აკოფიანი ფეხზე წამოდგა. შეცვლა იუარა და თამაშიც ორმაგი ენერგიით აღვსილმა განაგრძო.

ის მომენტს უცდიდა. შეტევაში ჩართვასაც უხშირა და გოლიც გაიტანა. მას აქამდე არ გაუტანია, არც მარცხენა ფეხით დაურტყამს როდისმე. პირველად რუსთაველთა მეკარეს დაურტყა ცაციათი და „დილას" გამარჯვებასაც საფუძველი ჩაუყარა.

მანამდე კი „გორდა" ტოლ-სწორად ებრძოდა „დილას". საიმედოდ მოთამაშე მეკარესა და დაცვას, ნახევარმცველებიც საიმედოდ ეხმარებოდნენ და ტაიმიც 0:0 დამთავრდა.

აკოფიანის გოლმა თამაში გახსნა. ორივე გუნდი შეტევას მიეძალა და სტადიონიც გამხიარულდა. სტუმრებს წონასწორობის აღდგენაც შეეძლოთ, მაგრამ გუშინწინ რუსთაველთა რიგებში საუკეთესო ალადაშვილმა, ზირაქაძესთან ერთად, შანსი ვერ გამოიყენა. სოლოლაშვილმა, მასთან პირისპირ გასულ თავდამსხმელს, არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთი იოლად აუღო.

ამის შემდეგ თამაში უფრო გაიხსნა და რუსთაველთა ყველაზე დიდი შეცდომაც ეს გახლდათ. ციცქიშვილმა და მარეხაშვილმა, ახალგაზრდა და დაუღალავი შატაკიშვილის დახმარებით, მინდვრის შუაგული დაიპყრეს და სტუმართა დაცვამაც რღვევა იწყო.

ჯერ ციცქიშვილმა გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე შატაკიშვილი. ქიტესამ მცველს გვერდი აუარა და საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა. ქორიძემ ამაზე სწორი და დროული რეაგირება მოახდინა, მაგრამ ბურთი ვერც დაიჭირა და ვერც უსაფრთხო ადგილზე მოიგერია. გამოვარდნილს მახარე მინდიაშვილმა მიუსწრო, ბურთმაც მეორედ შეარხია სტუმართა კარის ბადე.

მატჩის ბოლოს სულთანიშვილმა იყოჩაღა. ციცქიშვილს გარჯა არ დაუკარგა და ქორიძეს გამოცდილი თავდამსხმელის დარად მცველთა უყურადღებობა ძვირად დაუსვა. ბურთი ნელა მიგორავდა კარში, ხოლო განწირულმა მეკარემ სხვა ვერაფერი მოახერხა, ბურთს თვალი გააყოლა, მერე კი გულდაწყვეტილმა ხელი ჩაიქნია.

ერთი თამაშისთვის სამი დებიუტი ბევრი ხომ არ არისო, გახარებული კითხულობდა გორელთა დამრიგებელი. აკოფიანმა სადებიუტო გოლი გაიტანა. სულთანიშვილმა ძირითად გუნდში დებიუტი გოლითაც აღნიშნა, ხოლო მესამე დებიუტანტი ხიხალაშვილი, ფეხბურთს წლეულს დაუბრუნდა. მას ბავშვთა გუნდის გარდა არსად უთამაშია, მიტოვებული ჰქონდა ფეხბურთი.

გორში ერთი უცნაური ამბავიც მოხდა, უცნაურიც და აქამდე გაუგონარიც. მსაჯებისთვის არ შეუგინებიათ. არ მოგვისმენია „დილას" გულშემატკივართა საყვარელი ფრაზა — მსაჯს რა...

ქუთაისი
28 თებერვალი
15 საათი
გივი კილაძე
5 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 1:0 თსუ

1:0 მეგრელაძე (84)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, მაზანიშვილი (კ. კვეტენაძე 46), დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე
*სათადარიგონი:* სტურუა; ვაჩიბერაძე, კ. მეტრეველი, კ. ჯანაშია, იმედაძე, თურმანიძე
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე (დეკანოსიძე 68), მ. მესხი (გონჩაროვი 82), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი; ინწკირველი, ბუკია, თოლორაია, სვანაძე
გაფრთხილება: ჩხეტიანი (26), ილურიძე (67), კვეტენაძე (72), ჭუმბურიძე (81)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ს. კახიანი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); დ. გოგოლაძე (ბორჯომი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

# ლანგრით? არა, ოფლით!

ჩემპიონობაზე მეოცნებე ქუთაისელებმა გათამაშების განახლებამდე თასის ნახევარფინალში გასვლა მოასწრეს. დიახ, „ტორპედოს" ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა და, იცოცხლეთქო, თასზეც კარგი შანსები აქვს და ჩემპიონატშიც არანაკლები. ახლა მთავარია, როგორ გამოიყენებს გუნდი მოცემულ შესაძლებლობებს. თუმცა, გამოყენება ერთია და დასახულ მიზნებთან ტორპედოელებს ყველა მატჩში დიდი გარჯა, ოფლისღვრა და თავგანწირვა თუ მიიყვანს, თორემ დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, „სამქულიანებს" მათ ლანგრით არავინ მიართმევს და ამის თვალსაჩინო გაკვეთილი „ტორპედომ" მეორე წრის სასტარტო თამაშშივე მიიღო.

არადა, მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მასპინძლებს, რომელთაც რამდენიმე დღის წინ ამავე სტადიონზე, მართალია თასზე, მაგრამ 8 უპასუხო ბურთი გაუტანეს „გორდას", აუტსაიდერ სტუდენტებთან პრობლემები შეექმნებოდათ. ყველა „ტორპედოს" იოლ გამარჯვებას ვარაუდობდა. ეტყობა, ფედერაციაშიც ასე განსაზღვრეს, თორემ ახალგაზრდა არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილს პირველ ჯგუფში სადებიუტოდ სხვა მატჩს შეურჩევდნენ. თუმცა, უნდა ითქვას, მოედანზე მოულოდნელად გამძაფრებულ სიტუაციაშიც კი დებიუტანტმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ საქმეს. ორ ეპიზოდში არბიტრს თანამსაჯის ნიშანზე რეაგირება დაუგვიანდა, დანარჩენზე საპრეტენზიო არც არაფერი ჰქონდა, იგი სამართლიანიც იყო და პრინციპულიც.

„ტორპედოს" გუშინწინ ძალიან გაუჭირდა მოგება და ამის მთავარი მიზეზი, რაღა თქმა უნდა, მეტოქე გახლდათ. სტუმრებმა თავიდანვე დაცვით ტაქტიკას მიმართეს, საკუთარ ნახევარზე ერთობ მჭიდრო მეურვეობა დაუწესეს ტორპედოელებს. სტუდენტურმა პრესინგმა უმალვე საგონებელში ჩააგდო მასპინძლები. დიდი სურვილის მიუხედავადაც მათ ვერაფრით მოუძებნეს გასაღები სტუმართა დაცვას. მე-12 წუთზე ამ მატჩში პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა, თანაც ჭანტურიას კართან. ჭუმბურიძემ მარცხენა მცველი ირაკლი ხუჯაძე ჩართო შეტევაში, ისიც სწრაფად გაიჭრა წინ და კარგადაც ჩაუწოდა ქუთაისელთა საჯარიმოს წინ ეულად მყოფ როსტიაშვილს. ოთარმა ბურთი მიიღო და კარში დარტყმაც სცადა, თუმცა ოდნავ დაუგვიანდა და მცველისგან ბურთი ჰაერში აიჭრა. სტუდენტებს ამ ეპიზოდიდან კუთხურიღა შერჩათ სანუგეშოდ.

როგორც ვთქვით, ოთარ გაბელიას შეგირდები მკაცრად აკონტროლებდნენ ტორპედოელთა ყოველ მოძრაობას, მაქსიმალურად უზღუდავდნენ სამოქმედო არეს. სტუდენტები განსაკუთრებულ ყურადღებას დათო ჯანაშიას მიმართ იჩენდნენ, თუმცე არც მის პარტნიორებს ახარებდნენ მაინცდამაინც. მეგრელაძე, იონანიძე, ჩხეტიანი — ამათთანაც სიფრთხილე იყო საჭირო და სტუმრებიც ფხიზლობდნენ. ჩხეტიანს მხოლოდ ორჯერ დაარტყმევინეს, ისიც შორიდან, ჯანაშიამ და მეგრელაძემ კი თითოჯერ სცადეს ბედი. ორივემ საკმაოდ სახიფათო ადგილიდან დაარტყა საჯარიმო. მეგრელაძეს მეკარემ აუღო, ხოლო ჯანაშიას დარტყმული „კედელში" ჩამდგარ მცველს შეეხო და კარისკენ აღარ წასულა, თუმც მაღლაკელიძეს რომ მისთვის სამეკარეოს კუთხეში მიესწრო, სტუმრებისთვის ეს ეპიზოდი ალბათ ცუდად დამთავრდებოდა.

შესვენებამდე მასპინძლები იშვიათად უქმნიდნენ რეალურ საფრთხეს სტუმრებს. ფაქტობრივად, ერთხელ იყო, ჯანაშია მარჯვენიდან ჩვეულად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და კარის ხაზიდან ზუსტად ჩაუწოდა იონანიძეს, გოლი გარდუვალი ჩანდა, იონანიძე ხუთიოდე მეტრიდან ურტყამდა თაურს კარის დაუცველ კუთხეში, მაგრამ სასწაულებრივ ააცილა. ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ფორტუნამ სტუდენტებსაც შეაქცია ზურგი. მესხმა მინდვრის შუაგულიდან ჩინებულად გაუჭრა როსტიაშვილს, რომელიც ჭანტურიასთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ, ეტყობა, ზედმეტი მღელვარებისგან ჯერ ორიენტაცია დაკარგა, შემდეგ ბურთი და ნაღდი საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან.

მეორე ტაიმს „გივი კილაძეზე" იმ იმედით შეჰყურებდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს „ტორპედო" თამაშსააწყობდა. ეს თუ არა, სტუდენტები ვეღარ გაუძლებდნენ და მასპინძლები უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე მაინც მიაღწევდნენ საწადელს. მაგრამ თამაშიც განახლდა და მოედანზე, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. ვერც მაზანიშვილის ნაცვლად გამოსულმა კვეტენაძემ დაალაგა „ტორპედო". გუნდი კვლავინდებულად ვერაფერს უხერხებდა სტუმართა ეშელონირებულ დაცვას. მასპინძლებს მეტად უჭირდათ თსუ-ს საჯარიმოს სიახლოვეს მისვლა, შიგ შესვლა ხომ საერთოდ არ დასცლიათ. ეს იმ მომენტამდე, ვიდრე ტორპედოელებმა ასე სანატრელი გოლი არ გაიტანეს. ადვილი მისახვედრია, რა ხდებოდა თამაშის ბოლო წუთებში „გივი კილაძეზე". ერთის მხრივ გაოგნებული, სასოწარკვეთამდე მისული ტორპედოელები და მათი ქომაგნი, და მეორე, არაფრის დამთმობი, საოცრად დინჯი, თავდაჯერებული სტუდენტობა. ჰო, ყველას რომ ეგონა, მორჩა, „ტორპედო" გამტანი აღარ არისო, სწორედ მაშინ გაუღიმა მასპინძლებს ბედმა. სტუმრებმა საკუთარ ნახევარზე მეტად უწყინარ ვითარებაში დაჰკარგეს აუტიდან შემოტანილი ბურთი, რომელიც სტუდენტთა საჯარიმოში შემორჩენილ მეგრელაძეს მიუვიდა და გიორგიმაც თორმეტიოდე მეტრიდან გაბელიას — უმცროსს შანსი აღარ დაუტოვა, მართალია არც ისე ძლიერი, მაგრამ აუღებელი კი დაურტყა მარჯვენა კუთხეში.

საქართველოს ჩემპიონატი

# 16 ტური

სამტრედია
28 თებერვალი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 500 (ტევადობა 14 000)

## იბერია 0:0 ოდიში

**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, თოდუა, ვარდიაშვილი, ხუჭუა, ვ. გიგიაძე (გ. ლურსმანაშვილი 46), ივეჩიანი (ფილიპაშვილი 79), მუმლაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ნ. გიორგაძე, ფხაკაძე, მესიაჩენკო
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე, ჯავაშვილი, აკობია, ტაბალუა (ცაცუა 90), კუტალია (ალანია 79), მარკოზია, ვახანია (გოგოხია 46), გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; მებონია, ჭურლულია
**გაფრთხილება:** ხუჭუა (12), ტაბალუა (18), გეგეშიძე (18), ქველაძე (53), მარკოზია (56)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ხუციშვილი, ლ. სილაგავა; ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

## ქულა იქით, ქულა აქეთ

**მამუკა გიგიაძე სამტრედიიდან**

ორი სოსო — ფრუიძე და ჭედია — როგორც მწვრთნელები პირველად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

შეხვედრა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და პირველი საგოლე მომენტი იბერიელებმა მე-5 წუთზე შექმნეს. ვასო გიგიაძემ ბურთი მოედნის შუაგულში მიიღო, ტექნიკურად ჩამოიცილა მეურვე და კარგად შეუყოლა საჯარიმოში შეჭრილ ივეჩიანს, რომელმაც გაუმართლებლად დააყოვნა დარტყმა და ზუგდიდელებმა მოახერხეს სიტუაციის განმუხტვა. ოთხი წუთის მერე უკვე ზუგდიდელი მარკოზია გაიჭრა კარგად მარჯვენა ფლანგზე, პასიც არ დააყოვნა, მაგრამ კუტალიამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა, ბურთი აქ გეგეშიძეს და ქველაძეს შორის გაჩერდა, ამათ ერთმანეთს ვერ გაუგეს და ქველაძემ კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა. მე-13 წუთზე სოსო გიგიაძემ მარჯვნიდან ზუსტი გადაცემა გაუკეთა ტყუპისცალს, ვასომაც საჯარიმოს ხაზიდან შეუჩერებლივ დაარტყა, მაგრამ ნაყოფია ნახტომში დაეუფლა ამ ბურთს. წუთიც და ვასო გიგიაძის პასით ივეჩიანი გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ისევ ნაყოფიამ აულო.

24-ე წუთზე ოდიშარმა მცველებმა უხერხულად მოიგერიეს კუთხური, ბურთი საჯარიმოში მყოფ მუმლაძეს მიუვიდა, მან დარტყმაც არ დაახანა, ოღონდ ოდნავ ააცილა ხარიხას.

33-ე წუთზე ვასო გიგიაძემ მარჯვნიდან ჩააწოდა, სტუმართა საჯარიმოში ბურთი ქველაძეს მიუვიდა, მას გატანა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ დასარტყმელად ვერ მოირგო.

პირველი ნახევრის მიწურულს და მთელ მეორე ტაიმს საკმაოდ ხისტი ბრძოლა იყო, რომელიც ხშირად უხეშობაში გადადიოდა, შეხვედრის არბიტრი კი ფეხბურთელებს პატიობდა. გაუგებარია, რატომ არ დასაჯა ფანიაშვილმა ოდიშელი გვიჩია, რომელმაც ვასო გიგიაძეს აშკარად მიარტყა ფეხებში. გვიჩია ამ ეპიზოდში გაძევებასაც კი იმსახურებდა, არბიტრმა კი ამ დროს მხოლოდ პირველი ტაიმის დასასრული გვამცნო. ვასო საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან და თამაშიც ვეღარ გააგრძელა.

„იბერია“ ულიდეროდ დარჩა (ის, ალბათ ბათუმშიც არ ეყოლება) და მეორე ტაიმში ჩვეულად ვეღარ უტევდა. ყველაზე რეალური მომენტი მასპინძლებმა 62-ე წუთზე შექმნეს, მუმლაძის საჯარიმოს ქველაძემ დაუხვედრა თავური, სტუმართა ერთ-ერთმა მცველმა ცარიელი კარიდან შეძლო ბურთის გამოტანა. მოგერიებული სოსო გიგიაძეს მიუვიდა, მანაც ისევ ქველაძეს დაუგდო, აქ კი ნაყოფია აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. იბერიელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ქაოსურად, ზუგდიდელებიც იოლად იგერიებდნენ იერიშებს. ისე, სტუმრებს რომ მეტი ფხა გამოეჩინათ, კონტრშეტევებზე დაიჭერდნენ მასპინძლებს, მაგრამ საამისოდ ოსტატობა არ ჰყოფნიდათ, თუმცა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ სათამაშო ჟინი არ აკლიათ.

წყალტუბო
28 თებერვალი
15 საათი
26 მაისი
2000 (ტევადობა 10 000)

## სამგურალი 1:2 მერანი

1:0 ძაგნიძე (4), 1:1 ქორიძე (9), 1:2 დავითნიძე (80)
**სამგურალი:** ხაჩირაშვილი, ჯავახაძე (ფრანგიშვილი 60), ბურნაძე, ლ. ქობულაძე, მახვილაძე, ძაგნიძე, ვოსკანოვი, გ. კილასონია, გიორგობიანი, მ. ჯინჭარაძე, სუხიაშვილი (ახალაძე 77)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; კობერიძე, დარსაძე, გ. ჯანელიძე, ლ. გიორგაძე
**მერანი:** ლომაია, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (დანელია 80), ჩუხუა (დევიძე 86), გ. კვეტენაძე (დ. ჭელიძე 84), ხუციშვილი, ს. დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; თოლორდავა, ცქიფურიშვილი
**გაფრთხილება:** ალადაშვილი (21), ვოსკანოვი (21), ძაგნიძე (33), ასპინძელაშვილი (44), ჩუხუა (48), ფრანგიშვილი (75)
**მსაჯები:** გ. ასკაროღლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

## სამმაგი მსხვერპლი

**ვახტანგ ბზიკაძე წყალტუბოდან**

ეს რა დაგვემართა, თასის გათამაშებიდან რა ვაგლახად გამოვვარდითო, ჩიოდნენ კვირას მერანელები. წასული ამბავია, მაგრამ ერთხელაც ვთქვათ — „მერანი“ 0:3, 2:1 „არსენალს“ დაეჩაგვრინა. „სამგურალმა“ კი „ვიტ ჯორჯიას“ მცხეთაში 0:2 წაგება გაუბათილა და პენალტების სერიაში სძლია.

ერთი სიტყვით, წყალტუბოელები ჩემპიონატის განახლებას ოპტიმისტურად შეხვდნენ, მაგრამ კვირას „მერანთან“ საშინაო მარცხით წაუხდათ ხასიათი. თუმცა, მანამდე კიდევ ერთხელ გაიხარეს იმერლებმა, მეოთხე წუთზე ძაგნიძის გოლით რომ დაწინაურდნენ.

ასეთი ძლიერი გუნდი წყალტუბოში არ გვახსოვსო, ამბობდნენ მრავლისმნახველი თბილისელები დავით ჯიშკარიანი, გელა ქორიძე და ჯუბა ჩუხუა. იმასაც გაიგონებდით, „სამგურალი“ „არსენალს“ სჯობსო...

მარტივი ადამიანური სისუსტეა, მძლეველს ძლეული ამჯობინო, მაგრამ ამჯერად ავჭალელებს ასეთი რამ არაობიექტურობით არ მოსვლიათ. არა, წყალტუბოელთა და არმიელთა შეფარდებაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ამჯერად მხოლოდ „სამგურალზე“ გეტყვით — გამოცდილ მერანელთა აზრი სიმართლესთან მართლაც ახლოა. ერთს ვერ დავიჩემებ, წყალტუბოს ამაზე უკეთესი გუნდი არ ჰყოლიაო, მაგრამ ბოლო ხუთწლედში გაიოზ დარსაძის გუნდი რომ გამორჩეულია, ვეჭვობ, საკამათო იყოს.

კოლექტიური ართმევა, ბურთის ფლანგიდან ფლანგზე გადატანა, გრძელი და ზუსტი პასები და დაცვიდან ბურთის საიმედოდ ატანა. განა ბევრი გუნდი დაიკვეხნის თამაშის ამ კომპონენტებში მაღალი მაჩვენებლით? „სამგურალს“ ცოტა თუ შეედრება.

გიკვირთ, არა, თუ ასეთი კარგი გუნდია, „მერანთან“ როგორ წააგოო. პასუხად ამას გეტყვით, ავჭალელებმა კვირას წყალტუბოელებს აჯობეს. თუ ასეა, მაშინ „მერანი“ კიდევ უკეთესი გუნდი ყოფილაო, იფიქრებთ. გუშინწინ ასეც გამოჩნდა, მაგრამ ცოტა ავჭალელებსაც დავაცადოთ.

ახლა უფრო დაზუსტებით ვთქვათ, რატომ წააგო კვირას სამგურალმა. მით უმეტეს, მეოთხე წუთზე იგებდა, მეტოქემ 5 წუთში გაუთანაბრა და გამარჯვების მოსაპოვებლად კიდევ 80 წუთი ჰქონდა, არადა, სულაც წააგო.

ვიდრე დასკვნის სახით ჩემს აზრს გაგიზიარებდეთ, თამაშის მთავარ მომენტებზე ვთქვათ. მით უმეტეს, ასეთი სწრაფი, დინამიური ფეხბურთი ჩვენში ძვირად სანახავი გახდა.

მე-4 წუთი: მარცხენა ფლანგიდან მეკარის ბაქანში გიორგი კილასონიას ჩაწოდებულ ბურთზე მალხაზ ჯინჭარაძემ და გიორგი ლომაიამ იბრძოლეს. ბურთს ვერც თავდამსხმელი დაეუფლა და ვერც მეკარე, გადმოვარდნილი კი გელა ძაგნიძემ კარის ჭერს ახალა. „მერანის“ მეკარე დავით ლომაია ამაოდ დაშვრა მტკიცებით, ეგ გოლი რა ჩასათვლელია, მეკარეზე თავდასხმა იყოო — „სამგურალი“ დაწინაურდა.

მე-5 წუთი: ჯუბა ჩუხუამ მახვილაძისთვის ართმეული ბურთი საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეჭრილ დავითაშვილს შეუყოლა, მან კი შორეული კუთხის ნაცვლად პირდაპირ დაარტყა და ხარიხას გადააცილა.

მე-9 წუთი: გელა ქორიძემ 23-25 მეტრიდან მოულოდნელი, მოჭრილი დარტყმა „დააქუხა“, ხაჩირაშვილის [illegible] კონტროლო ნახტომმა ვერ უშველა, ბურთი ძელიდან შევარდა კარში.

მე-14 წუთი: ძაგნიძის ფლანგური ჩაწოდება კარისკენ თავით მიმართა მალხაზ ჯინჭარაძემ, მაგრამ გიორგი ლომაიამ საოცარი რეაქციით გამოაძრო 2 მეტრიდან დარტყმული ბურთი.

22-ე წუთი: ლომაიამ ერთხელაც იხსნა „მერანი“ — გიორგი კილასონიას ძლიერად დარტყმული ბურთი ძელის დახმარებით კუთხურზე მოიგერია.

63-ე წუთი: ძაგნიძემ გიორგობიანის გრძელი პასი ვერ გამოიყენა, არცთუ მახვილი კუთხიდან კარს ააცილა.

72-ე წუთი: გიორგი კილასონიას ჩაწოდებული ბურთი ჯინჭარაძემ თავით გადააცილა ხარიხას.

76-ე წუთი: ცენტრალურ ხაზთან ბრძოლისას დავითნიძემ სუხიაშვილს მარცხენა ხელზე უნებლიედ დააბიჯა ფეხი — წყალტუბოელს სამი თითი მოტყდა და, ცხადია, თამაში ვერ გააგრძელა.

77-ე წუთი: ქორიძემ ხუციშვილის კარგი პასი კარს დროულად ვერ დაუმიზნა და ბურთი ხაჩირაშვილმა მოიგერია.

მე-80 წუთი: გიორგი დავითნიძემ ბურთი მინდვრის ცენტრიდან ატარა, ყველა პასს ელოდა და არავინ გადაელობა — თბილისელმა მცველმა კი დარტყმა ირჩია და ჭვინტით გაარტყა ხარიხას, საიდანაც ბურთი ხაზსშიგნით დაეცა.

დარჩენილ ათ წუთში სტუმრებმა სამჯერ შეისვენეს — ყველა შეცვლა გამოიყენეს და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეს. გადაღლილმა წყალტუბოელებმა კი ფაციფუცში თავისი ვეღარ გაიტანეს.

მასპინძლები დაღლამ აზარალა. ოთხი დღის წინ „ვიტ ჯორჯიას“ ძლევას დიდი ძალა შეალიეს — ოთხი ტაიმის თუ საპენალტო ლატარიის ნერვული დაძაბულობა უმტკივნეულოდ ვერ გადაიტანეს და თასის ნახევარფინალში გასვლა საშინაო მატჩში დაკარგულ 3 ქულად დაუჯდათ.

მომავალ ტურში, რუსთავში, „სამგურალს“ ალბათ ვერც სუხიაშვილი დაეხმარება და ვერც დაშავებული მცველი გივი ჯანელიძე. სამჯერ გაფრთხილებულ ვოსკანოვს კი ნამდვილად მოისაკლისებს.

თბილისი
28 თებერვალი
15 საათი
შევარდენი
1000 (ტევადობა 10 000)

## ლოკომოტივი 1:1 კოლხეთი

1:0 გოდერძიშვილი (67პ), 1:1 ქობულაძე (87)
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, კ. მელქაძე, ბარნოვი, ზ. არჩვაძე, მარღიშვილი (კოტორაშვილი 58), შ. ხუჯაძე, კაციაშვილი, გოგობერიშვილი (ბაქრაძე 82), გოდერძიშვილი, წივწივაძე
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; ვ. კილასონია, ქოიავა, ნ. მელაძე, გილაური
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, შალამბერიძე, ღალანიძე, კალანდაძე, მ. ქობულაძე, ამაშუკელი, შავგულიძე (ჩადუნელი 64), ე. გვასალია
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, ბულუხია, ებრალიძე, ანჯაფარიძე
**გაფრთხილება:** გოროზია (23), ე. გვასალია (67)
**გაძევება:** გოროზია (43)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); ზ. ლაცაბიძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

## ათიანის ბედისწერა

**ხვიჩა სანიკიძე**

...თემურ მახარაძე თანამსაჯ პაატა დოგრაშვილისკენ გაემართა. სათადარიგო არბიტრმა უკან გამოაბრუნა. რკინიგზელთა მთავარი მწვრთნელი აქამდე, ალბათ, არავის ენახა ასეთი აღელვებული. მახარაძის ბედი „კოლხეთთან“ თამაშზე ეკიდა, მას მხოლოდ მოგება სჭირდებოდა. იცოდა — მეათე ფრეს არ აპატიებდნენ...

67-ე წუთი: სტუმართა საჯარიმოში არეულობა იყო. „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი, ყოფილი კოლხი ჰამლეტ წივწივაძე თამაშგარეში იმყოფებოდა. დოგრაშვილმა ალამი ასწია და მთავარ მსაჯს ანიშნა. ავთო შალამბერიძემ მატჩის მსვლელობა არ შეაჩერა. სწორედ ამ დროს ბურთს გოდერძიშვილი დაეუფლა და მცველმაც ფეხი გამოსდო. პენალტი. აქ კი აირია მონასტერი. კაცნაკლულმა ფოთელებმა გადაწყვეტილება გააპროტესტეს, მაგრამ შალამბერიძე შეუვალი იყო. თერთმეტმეტრიანი დაზარალებულმა გოდერძიშვილმა დაარტყა და იმ დღეს ჩინებულად მოთამაშე სტუმართა მეკარე მამუკა გვასალიას შანსი არ დაუტოვა — 1:0.



არბიტრი ავთო შალამბერიძე ერთს ამბობს, თანამსაჯი მეორესო, ჩიოდნენ კოლხები: გიორგი ჩადუნელი, ჯონი შალამბერიძე და ელდარ გვასალია

კვირას „შევარდენზე“ ორი დებიუტი ვიხილეთ. გია ტყებუჩავამ პირველ ოფიციალურ მატჩში უთავკაცა „კოლხეთს“. დებიუტი შედგა. ათმა კოლხმა მასპინძლების მწვავე შეტევებს გაუძლო და მეტოქეს ქულა აართვა. მათმა ყოფილმა თანაგუნდელმა ჰამლეტ წივწივაძემაც ჩემპიონატში პირველად დაიცვა „ლოკომოტივის“ ღირსება, მაგრამ კლუბის მეპატრონეები მისი გარჯით უკმაყოფილონი დარჩნენ.

მატჩის შემდეგ რკინიგზელთა ერთ-ერთი მესვეური გასახდელში შევიდა და ფეხბურთელებს მიმართა, ვინც იცით გუნდიდან უნგრეთში წასული გოგოლაძისა და დაუშვილის გზა-კვალი, სასწრაფოდ დაურეკეთ და გადაეცით, რომ კლუბში დაბრუნდნენ...

შეხვედრის პირველ ათ წუთში მასპინძლებს ორჯერ მაინც უნდა გაეტანათ, მაგრამ გოდერძიშვილმა და ხუჯაძემ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. სტუმრები კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. მახარაძემ ტაქტიკური გადაადგილება მოიშველია — სათამაშო სქემიდან აშკარად ამოვარდნილ, მარცხენა ფლანგზე გამწესებულ ხუჯაძეს და მარჯვენა მცველის ფუნქციადაკისრებულ გიორგი ბალაშვილს ადგილები გააცვლევინა. აქამდე „ლოკომოტივი“ ერთფეროვნად მარჯვნიდან უტევდა. იქ მოქმედი კაციაშვილიც კარგად ირჯებოდა, მაგრამ სტუმართა თავკაცმა ალღო აუღო ყოველივეს და მცველთა ყურადღებაც მარცხნივ მიმართა.

35-ე წუთზე მასპინძლები გოლს გადაურჩნენ. სტუმრებმა კუთხურიდან რომ ჩამოაწოდეს, შავგულიძემ თავური დაარტყა და კარის ხაზზე მდგომმა მარღიშვილმა ასევე თავით მოიგერია. დამატებაზე შალამბერიძემ გაისროლა ძლიერად, მაგრამ ბალაშვილმა ბურთს ფეხი დაუხვედრა და ტრაექტორია შეუცვალა. აქ კი გვასალიამ აჯობა ყველას და თავით შეეცადა ბურთის კარისკენ გაგზავნას, მაგრამ ოდნავ არაზუსტად.

რამდენიმე წუთში გოროზიამ დააღალატა სტუმრები. 23-ე წუთზე უხეშობისთვის გაფრთხილებულმა მოედნის ცენტრში განზრახ ითამაშა ხელით და მსაჯს მეორე ყვითელიც გამოსტყუა.

კაცნაკლული ფოთელები მეორე ნახევარში დაცვაში როდი ჩაჯდნენ. კარგი ფიზიკური მომზადების ხარჯზე შეტევებსაც ახორციელებდნენ და უკანაც დროულად ჩადიოდნენ.

53-ე წუთზე ჯანელიძე გამოსვლაზე შეცდა და ქობულაძეს მიზანმა უმტყუნა.

ერთი წუთის შემდეგ კი ფოთელებს გაუღიმათ ბედმა. ბალაშვილმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და წივწივაძემ 5 მეტრიდან ოდნავ ააცილა თავური.

თამაში გაიხსნა და ტემპმა იმატა. მსაჯებიც აირივნენ კოლხთა ჯინაზე. მახარაძემ კოტორაშვილი შეუშვა მინდორზე და „ლოკომოტივმაც“ გაილაღა. ზემოთ ნახსენები პენალტის შემდეგ მასპინძლებს ხუთჯერ მაინც უნდა დაელაშქრათ სტუმართა კარი, მაგრამ გოდერძიშვილმა ორჯერ, წივწივაძემ, კოტორაშვილმა, კაციაშვილმა ვერ იხეირეს.

შეხვედრის დამთავრებამდე წუთები რჩებოდა. „კოლხეთი“ ვა-ბანკზე წავიდა. მისთვის ხომ სულერთი იყო, 0:1-ს წააგებდა თუ 0:2-ს. ათმა კოლხმა შეძლო ის, რაზეც, ალბათ, აღარავინ ფიქრობდა. ღალანიძემ საჯარიმოში შესასვლელად გამზადებული ქობულაძე მონახა და ზუსტი პასი მიაწოდა. მანაც გამოსვლაზე დაიჭირა ჯანელიძე და დინჯად შეაგორა ბურთი ბადეში — 1:1. ფოთელებმა უზომოდ გაიხარეს.

და მაინც, იყო თუ არა ეს შედეგი ლოგიკური? რა თქმა უნდა. მიუხედავად „ლოკომოტივის“ უპირატესობისა, „კოლხეთმა“ უფრო კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სწრაფი აზროვნება და შეთანხმებული სათამაშო დისციპლინა — აი, ამ კომპონენტებით აჯობეს ზღვისპირელებმა მეტოქეს.

ეს ქულა ნამდვილად ალალია ათი კოლხისთვის, რომლებმაც მეათე ჩემპიონატში მეათე ფრეს დააჯერეს მასპინძლები. მეათე ფრე კი, იქნებ, საბედისწეროც გამოდგეს თემურ მახარაძისთვის...

საქართველოს ჩემპიონატი

# 16 ტური

## მთავარია მონაწილეობა

ლანჩხუთი
28 თებერვალი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
550 (ტევადობა 22 000)

### გურია 1:1 სიონი

0:1 კვეკვესკირი (2ს.კ.), 1:1 კვეკვესკირი (29)
გურია: ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, ჭიაბრიშვილი (გულორდავა 71), შავშიშვილი, სვანიძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე, ძოძუაშვილი
სათადარიგონი: გოგუა; ბოლქვაძე, მაჩიტიძე, ბერძენიშვილი
სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე (ლ. გაგუა 39), ჩალაძე, გოგოლაძე, ე. ჯაფარიძე, სულთანოვი, მოსეშვილი
სათადარიგონი: თ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე
გაფრთხილება: მახარაძე (35), გოდერძიშვილი (36), ჯაფარიძე (59), ძოძუაშვილი (68)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ს. შალამბერიძე, მ. მაისურაძე; კ. თბილელი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

ალბათ გახსოვთ, შარშანდელ სეზონში რა გაჭირვებით შეინარჩუნა ორივე გუნდმა ადგილი რჩეულთა შორის. ისიც გემახსოვრებათ, რომ გურულებმა მაშინ გადათამაშების უპრინციპულეს ბრძოლაში სძლიეს გუშინწინ სტუმრებულ „სიონს", რომელმაც თავისმხრივ ხაშურის „ივერიასთან" პენალტების სერიაში იმარჯვა და წლევანდელი სეზონის პირველივე მატჩში ბოლნისში დაუპირისპირდა იგივე „გურიას", სადაც მხოლოდ მსაჯის უზომოდ წამატებულ წუთებში დაალწია თავი მარცხს. ეს ჩემპიონატის დასაწყისში მოხდა.

პირველი წრის ფინიშისთვის „სიონმა" მეტნაკლებად გამოასწორა სიტუაცია და ცხრილის შუაგულისკენ აიჩოჩა, მაშინ როცა გურულები ოდენ ათი ქულის ამარა დარჩნენ და ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერებად მოინათლნენ.

ეს კი არა ფედერაციის ლოიალურობა რომ არა ესეც არ იქნებოდა, რადგან „გურია" სულაც დაშლის საფრთხის წინაშე იდგა და ასეთი გაურკვეველი სიტუაცია გუშინწინდელ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრეც გამოჰყვა. მაშინ როცა სხვა გუნდებს (მათ შორის „სიონსაც"), მეორე წრისთვის სამზადისი კარგა ხნის დაწყებული ჰქონდათ, გურულები უსაქმოდ იყვნენ და პატრონის ძიებაში საშველ-სახიდებელიც არ ჩანდა. ამასობაში რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე დაინტერესდა გუნდით, მაგრამ ეს საქმე როგორღაც გაიჯანჯლა და მიზეზთა გამო სულაც ჩაშლის საფრთხეც დაემუქრა. მხოლოდ ამ თამაშამდე ხუთიოდე დღით ადრე შედგა რაიონის ხელმძღვანელებთან ფეხბურთელების შეხვედრა.

ცნობილი გახდა კლუბის ახალი პრეზიდენტის ვინაობაც. ეს პიროვნება იქნება საქრკინიგზის ექსპედიციის უფროსი გიორგი მიქელაძე, რომელსაც როგორც გაირკვა, „გურიას" შემადგენლობის გაახალგაზრდავება მოუთხოვია. ჰოდა, ზემოთთქმულ შეხვედრაზე ფეხბურთელებმა წამოყენებულ პირობებზე უარი განაცხადეს და იძულებულნი გახდნენ გუნდიდან წასულიყვნენ. მოკლედ ძველი შემადგენლობა ფაქტობრივად დაიშალა. კლუბის მესვეურები დაფაცურდნენ, მიდგნენ — მოდგნენ და მეორე წრის დაწყებამდე ორი დღით ადრე „გურია" 17-19 წლის ბიჭებით დააკომპლექტეს, რომელთაგან უმეტესობა „ლოკომოტივის" ფარმ-კლუბიდან არიან, ორი ფეხბურთელი „დინამომ" გაანათხოვრა. ამათ ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის რამდენიმე აღზრდილი დაემატა და აჰა, გუნდიც შეიქმნა. გუნდი, რომელიც ჩემპიონატში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას (ფედერაციისთვის ეს უმთავრესია) და კლუბის მესვეურებსაც მისი რჩენა გაცილებით იაფი დაუჯდებათ. აი, შედეგზე რა მოგახსენოთ. ისე კი, ლანჩხუთში იმ აზრსაც შეეჩვივნენ, რომ „გურია" შესაძლოა გავარდეს და ასეთი სიტუაციის შემხვედვარე ეს ადვილი შესაძლებელიცაა.

აგერ მესამე წელია „სიონს" გურულებისთვის არ მოუგია და სწორედ ახლა გაუჩნდა დიდი შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა. ამას ვინ ჩივის, იღბალს უმადლოდნენ ქვემოქართლელები, სულაც რომ არ წააგეს.

თვით მატჩი დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა და საგოლე მომენტებითაც მწირი გახლდათ. გასაგებია უცბად შეკოწიწებულ მასპინძელთა ახალბედა გუნდს კაცი მეტს ვერ მოთხოვს, მაგრამ სტუმრებს რაღა მოუვიდათ? „სიონის" ასეთი სუსტი თამაში, განსაკუთრებით პირველ ტაიმში ერთობ მოულოდნელი იყო. არადა მატჩის დებიუტი მათთვის ისეთი იყო, კაცი უკეთეს ვერ ინატრებდა. უკვე მეორე წუთზე ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს, „გურიას" ერთადერთმა ძველმა წარმომადგენელმა (გოგუა სათადარიგოთა შორის იყო) ზაზა კვეკვესკირმა, მოსეშვილთან ჭიდილში თავი დაუხვედრა და საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი. ასეთ შოკისმომგვრელ დასაწყისს ახალგაზრდა მასპინძლები წესით უნდა დაეთრგუნა. პირიქით კი მოხდა. მათ უსიამოვნება სწრაფად დაივიწყეს, მედგრად შეუტიეს და პირველ 15 წუთში ორჯერ გატანაც შეეძლოთ. პირველად ეს მეათე წუთზე მოხდა, როცა ხანგრძლივი შეტევის შემდეგ, ბურთი კარიდან ხუთ მეტრში ეულად მყოფ შოთა მახარაძეს „ლოკომოტივის" თავკაც თემურ მახარაძეს მიუვიდა, რომელსაც უცილობლად გატანა მართებდა, მაგრამ დაიბნა, უხეიროდ დაარტყა და დალაქიშვილმა ნახტომში აულო. ხუთ წუთში ენუქიძემ საჯარიმოში შაკიაშვილი ლამაზი ფინტით გააბითურა და შორეულ კუთხეში მოხდენილადაც დაარტყა. ეგ არის, რომ კვლავ დალაქიშვილის დიდებულმა თამაშმა იხსნა „სიონი". აი, 29-ე წუთზე კი ბოლნისელთა კარის დარაჯი შეცდა. ავტოგოლის ავტორის ზაზა კვეკვესკირის 22 მეტრიდან ცოცხალ კედელზე გადავლებული ჯარიმის ხელში დაჭერა მოინდომა, მაგრამ ბურთი გაუვარდა და ანგარიშიც გაყაიმდა. ამას კვლავ მასპინძელთა სრული უპირატესობა მოჰყვა და ტაიმის ბოლოსთვის ძოძუაშვილს მიეცა გატანის იშვიათი შანსი, თუმცა გამოუცდელობამ და კლასის სიმცირემ თავის ჰქნა. მან ახლოდან სასწაულებრივ ააცდინა. თამაშის განახლების შემდეგ თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. მეტოქეებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ბრძოლა ძირითადად მოედნის შუაგულში მიმდინარეობდა და ერთი საგოლე მომენტი რაღაა, ისიც კი არ შექმნილა.

მოკლედ, „გურიას" ახალწვეულებმა პირველი გამოცდა ასე თუ ისე ჩააბარეს. თუმცა მეტოქეს უფრო ძლიერად რომ ეთამაშა, ალბათ, მათ აშკარად გაუჭირდებოდათ. მთავარი გამოცდა კი, გურულებს მომავალ ტურში თბილისში ელით, უშუალო კონკურენტ თსუ-თან. ისე კი ამათ ძველი შემადგენლობიდან თუ ვინმე არ დაემატათ, უეჭველია, სასურველი შედეგი არ იქნება.

თბილისი. „შევარდენი". 28 თებერვალი. 15 საათი

### ლოკომოტივი 1:1 კოლხეთი

# დოგრაშვილი ერთი თვით მოკვეთეს

ასეა. სასამართლოში შეგნებულად წარდგენილი ცრუ ჩვენებისთვის მოსამართლეს სრული უფლება აქვს, დამნაშავე პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. თუმცა ჩვენ ხომ სასამართლოსთან არაფერი გვაქვს საერთო.

საქმე გუშინწინ „შევარდენის" სტადიონზე მომხდარი ფაქტის განხილვას ეხება. კერძოდ, ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველ მატჩში თბილისის „ლოკომოტივი" ფოთის „კოლხეთს" მასპინძლობდა. შეხვედრის 67-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ქუთაისელმა არბიტრმა ავთო შალამბერიძემ ფოთელთა კარში სავსებით სამართლიანი პენალტი დანიშნა, თუმცა მანამდე...

მანამდე შალამბერიძის დამხმარე პაატა დოგრაშვილს — ალამი უკვე აღმართული ჰქონდა. რაც იმას მოასწავებდა, რომ მასპინძელთა თავდამსხმელი, ყოფილი კოლხი ჰამლეტ წივწივაძე თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. თანამსაჯმა ალამიც ასწია და შალამბერიძესაც ანიშნა ამის თაობაზე, მაგრამ მან არ, ან ვერ შეამჩნია ეს. იქვე საჯარიმოში გოდერძიშვილი წააქციეს და პენალტიც დაინიშნა. ამან ალაშფოთა სტუმრები, რომლებიც ჯერ მთავარ, შემდეგ კი გვერდით მსაჯს მისცვივდნენ. არაფერმა გაჭრა. დოგრაშვილმაც გადათქვა ყოველივე.

შეხვედრას მსაჯთა და საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკოც ესწრებოდა. ბუნებრივია, მომხდარი ფაქტი მას აალელვებდა — სულ ცოტა ხნის წინ ხომ მკაცრი გამოცდები ჩაუტარა ქვეშევრდომთ.

მილჩენკომ ეს განაცხადა:

— ჩვენმა კომიტეტმა საფუძვლიანად განიხილა ყოველივე და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო — ქუთაისელ მსაჯ პაატა დოგრაშვილს ერთი თვით აეკრძალა უმაღლესი ჯგუფის შეხვედრათა მომსახურეობა. ამით იგი, ფაქტობრივად, გავაფრთხილეთ, რომ თუ კიდევ განმეორდება ასეთი შემთხვევა, მაშინ საერთოდ მოვკვეთთ მსაჯობიდან.

„შევარდენზე" მყოფმა მოსეირეებმა, რომლებმაც თვალნათლივ იხილეს ეს ეპიზოდი, ფოთელთა მხარე დაიჭირეს. მილჩენკომ კი ეს თქვა:

— დოგრაშვილის დანაშაული ისაა, რომ თავად უარყო ყოველივე, ესე იგი, დამალა — ალამი ასწია და წამსვე ჩამოუშვა. არადა, გვერდით მსაჯს იმდენ ხანს უნდა ეჭიროს ალამი, სანამ მთავარი არბიტრი არ დაინახავს.

ერთი სიტყვით, ასეა — პაატა დოგრაშვილს ერთი თვით აეკრძალა უმაღლეს ჯგუფში მსაჯობა. განაჩენი გამოტანილია და კასაციას არ ექვემდებარება.

გიორგი ვაშაკიძე



პაატა დოგრაშვილი კოლხ ელდარ გვასალიას (№9) და კალანდაძეს იგერიებს

ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ისევ ფრე?
## ეგრე სად არის, ძმაო!

თბილისის „ლოკომოტივის" მომოჭარბებული ამბიციების შესახებ ყველამ კარგად იცის. თუკი რკინიგზის დეპარტამენტის საშეფო გუნდი მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში უთავდამსხმელობას და საერთოდ, მოკლე სათადარიგო სკამს უჩიოდა, მეორე წრეში ვითარება შეიცვალა და ახლა რკინიგზელების შემადგენლობაში 30 კაცამდე ირიცხება.

შედეგი კი ისევ ძველებური დარჩა — „ლოკომოტივმა" „კოლხეთი" მიიღო და ჩვეული ფრეც გააგორა. ფრე ფრედ, ამგვარი შედეგი და ისიც „ლოკომოტივიდან", არავის გაუკვირდება ჩვენში, მაგრამ როგორც „სარბიელის" კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, თემურ მახარაძისა და მისი გუნდის გარჯით ფრიად უკმაყოფილონი დარჩენილან რკინიგზის დეპარტამენტში და მწვრთნელი და ერთ-ერთი ახალწვეული დაუბარებიათ კიდეც საშეფოში.

— რა თქმა უნდა, შედეგით უკმაყოფილონი დავრჩით და სწორედ ეს იყო ხსენებული შეხვედრის მიზეზი, მაგრამ განსაკუთრებული და კატეგორიული არაფერი ყოფილა, ისიც სათქმელია, რომ „ლოკომოტივს" ძირითადი შემადგენლობის ოთხი მოთამაშე აკლდა და ამანაც იქონია შედეგზე გავლენა — განაცხადა ჩვენთან საუბარში ბატონმა ტარიელ ღვაბერიძემ.

კონსტანტინე გოგიშვილი

## კაიდარაშვილი ტერნოპოლელია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი, გორელი თავდამსხმელი, ალექსანდრე კაიდარაშვილი სათამაშოდ უკრაინაში დარჩა.

ალეკოს გადაბირება ჩვენშიც არაერთ გუნდს სურდა, ყველაზე მონდომებული კი თბილისური „ვიტ ჯორჯია" გახლდათ, მაგრამ თავად კაიდარაშვილმა, აქ წვალებას ნორმალურ პირობებში ბურთაობა მიჯობსო.

გორელი ჯერ თურქეთის გზას დაადგა და იქაური უმაღლესი ლიგის „სამსუნსფორში" ისინჯებოდა, თუმცა ჩვენებურის იქ ყოფნისას თავად თურქული კლუბი სხვაგან ყოფილა შეკრებაზე. არ გამოვიდა ის საქმე და ალეკოც სლოვაკეთში ჩაიყვანეს. უკრაინული უმაღლესი ლიგის ტერნოპოლის „ნივა" სლოვაკეთში გადიოდა შეკრებას, ტერნოპოლელთა თავკაციც შედეგიან თავდამსხმელს დაეძებდა.

კაიდარაშვილი უკრაინელებთან ვარჯიშს შეუდგა. ხუთი საკონტროლო შეხვედრიდან ოთხში თავიც ისახელა და მწვრთნელსაც თავი მოაწონა.

უკრაინული კლუბის ხელმძღვანელებს ბევრიც არ უფიქრიათ. გასულ კვირაში ახალწვეულს წინ კონტრაქტი დაუდეს და თანამშრომლობა შესთავაზეს.

ტერნოპოლის „ნივა" და ალექსანდრე კაიდარაშვილი ერთმანეთს ერთი წლით დაუკავშირდნენ. მერე კი ბედისა და ყისმათის ამბავია. ვიქონიოთ იმედი, რომ კაიდარაშვილი არცთუ ძლიერ უკრაინულ კლუბს ტრამპლინად გამოიყენებს. ჯერჯერობით კი უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატს კიდევ ერთი ქართველი ლეგიონერი შეემატა.

დავით დადიანი

## გუნთაძე ავად გამხდარა

ფეხბურთის ფედერაცია არასახარბიელო დღეშია ჩავარდნილი. ნორმატივების ჩაუბარებლობამ თუ სხვადასხვა სახის ტრავმებმა არაერთი არბიტრი დატოვა უსაქმოდ.

ფედერაციამ კვალიფიციური არბიტრები მოისაკლისა. პირველ ჯგუფში ახალგაზრდები სჭარბობენ გამოცდილებს. ერთი შეხედვით, შეიძლება ყოველივე კანონზომიერიც კია, მაგრამ ტურის რვა მატჩს ოცდათორმეტი მსაჯი ხომ უნდა. ჰოდა, არ გვყავან საკმაო რაოდენობის მსაჯები.

„არსენალი" — „დინამოს" ავლაბრული მატჩი, წესისა და რიგის მიხედვით, ფიფას არბიტრ ოთარ გუნთაძეს უნდა განესაჯა. თავიდან ასე იყო განსაზღვრული. გუნთაძეც გულმოდგინედ ემზადებოდა თამაშისთვის, მაგრამ უეცრად გრიპი შეეყარა, გაციებას ფილტვების ანთებაც დაერთო და ფედერაციასაც თავსატეხი გაუჩნდა.

ბუნებრივია, ავადმყოფი მსაჯი შეხვედრას ვერ მოემსახურებოდა, ჰოდა, მილჩენკომ და კომპანიამ მის შემცვლელად თამაზ ლაცაბიძე დაიგულა.

თავად ოთარი კი მინდორზე სასტვენით ხელში, სავარაუდოდ, სამიოდ კვირაში გამოვაო — გვითხრეს ფედერაციაში.

მამუკა ქვანტალიანი

## ყველგან, ოღონდ აქ არა

თბილისის „ლოკომოტივიდან" უცხოეთს წასულები — კახა გოგოლაძე და კახი დაუშვილი ჯერაც უგუნდოდ არიან. ადრეც ვიუწყებოდით, რომ ისინი უნგრულ „ფერენცვაროშში" აპირებდნენ დამკვიდრებას, მაგრამ ვერ შეძლეს თავი მოეწონებინათ იქაურებისთვის და უკან გამობრუნება მოუხდათ.

ამჟამად ორივე მათგანი მოლდოვაში იმყოფება და ერთ-ერთ მოლდოვურ კლუბში ვარჯიშობს. ისე კი ამბობენ, მოლდოვა საქართველოს ჰგავსო და იმედია, სააკლიმატიზაციო პრობლემები არ გაუჩნდებათ რკინიგზელებს.

საკითხავი ეს არის, რა თაფლი უსვია ასეთი ამ მოლდოვას, ერთი-მეორეს რომ ასწრებენ ყოფილი ლოკომოტიველები იქ ჩასვლას, რითი ჯობიან „ზიმბრუ" ან „შერიფი" ჩვენს „დინამო" — „ტორპედოს" — კლასით, შანსით თუ...

გიგა გოგია

# ინგლისი

XXVII ტური

### ნიუკასლი 1:1 არსენალი

0:1 ანელკა (36), 1:1 ჰამანი (77)
ნიუკასლი: გივენი, შარვე, ჰოუი, დაბიზასი, დომი, ჰამანი, სოლანო (ქეცბაია 59), სპიდი, ბრედი (ლი 59), საჰა, შირერი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვინტერბერნი, გარდე (ჰიუზი 3), პარლოუ, ვიეირა, ოვერმარსი (აპსონი 84), ანელკა, ბერხკამპი
გაფრთხილება: ჰამანი, დაბიზასი, ოვერმარსი, ბერხკამპი
მსაჯი: რიდი

### ჩელსი 2:1 ლივერპული

1:0 ლებეფი (7პ), 2:0 გოლდბეკი (38), 2:1 ოუენი (77)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ლებეფი (ლამბურდი 33), ლე სო (ნიუტონი 82), პეტრესკუ, მორისი, დი მატეო, გოლდბეკი, ფლო (ფორსელი 85), ძოლა
ლივერპული: ჯეიმსი, ჰეგემი (მაკმანამანი 9), კვარმე, მატეო, ბები, ბიორნებიუ, ბერგერი (რიდლე 80), რედნაპი, ინსი (ფერი 48), ოუენი, ფაულერი
გაფრთხილება: ლე სო, ფაულერი
მსაჯი: დარკინი

### ჩარლტონი 0:0 ნოტინგემი

ჩარლტონი: როისი, მილსი, პაუელი, ჯონსი, ტილერი, რედფირნი, რობინსონი, ბრაუნი, კინსელა, ჰანტი (მენდონკა 72), პრინგლი
ნოტინგემი: კროსლი, ჟანი, სტინსასი, ჩეტლი, ბონალაირი, ჯემილი, სტოუნი, ედვარდსი, პალმერი, ვან ჰოიდონკი, დარშევილი (შიპერლი 63)
გაფრთხილება: ტილერი, რობინსონი, პალმერი, დარშევილი
მსაჯი: ლოჯი

### ტოტენჰემი 1:1 დერბი

0:1 ბარტონი (46), 1:1 შერვუდი (69)
ტოტენჰემი: უოქერი, ტარიკო, ვეგა, კემპბელი, ედინბურგი, ანდერტონი, ფროინდი, შერვუდი, ჟინოლა, ივერსენი, არმსტრონგი (დომინგესი 67)
დერბი: ჰოულტი, ლაურსენი, კარბონარი, შნური, დორიგო (ჰარპერი 79), ერანიო (პრაიორი 41), კერსლი, ბოჰინენი, ბაიანო (ჰანტი 73), ბარტონი, ვანჩოპე
გაფრთხილება: ედინბურგი, ფროინდი, კერსლი, ვანჩოპე, ბარტონი
გაძევება: ედინბურგი (90)
მსაჯი: ვინტერი

### ევერტონი 1:1 უიმბლდონი

0:1 ეკოკუ (14), 1:1 ჯეფერსი (57)
ევერტონი: მირე, ბოლი, დაკურტი, უოტსონი, ანსუორსი, ბარმბი, მატერაცი, უეირი, ოსტერი (ბრენჩი 83), კადამარტერი, ჯეფერსი
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი, ერლი, ეკოკუ, რობერტსი, გეილი, ჰიუზი, იუელი (ერდლი 32)
გაფრთხილება: რობერტსი, თეთჩერი
მსაჯი: ბერი

### მანჩესტერი 2:1 საუთჰემპტონი

1:0 კინი (79), 2:0 იორკი (83), 2:1 ლე ტისიე (90)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ბერგი, იონსენი, ფ. ნევილი (ირვინი 78), ბექემი, ბათი (კინი 46), სქოულზი, გიგზი, იორკი, სოლსკიაერი (კოული 67)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, მონკუ (ბენალი 50), ლუნდეკვამი, კოლეტერი, მერსდენი, ოუკლი, ბრიჯი, ჰიუზი, ბიტი, ოსტენსტადი (ლე ტისიე 67)
გაფრთხილება: კოლეტერი, ლე ტისიე
მსაჯი: ჯონსი

### შეფილდ უენსდეი 3:1 მიდლსბრო

1:0 ბუსი (11), 2:0 სონერი (77), 2:1 მასტო (78), 3:1 ბუსი (80)
შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, ტომი, უოქერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი, სონერი, რუდი, ბუსი, კარბონე
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი (ჰარისონი 90), კუპერი, პალისტერი, ვიკერსი, გორდონი, მასტო, გესქოინი (მედისონი 46), თაუნსენდი, რიკარდი, ბეკი
გაფრთხილება: ჰინჩკლიფი, კარბონე, გესქოინი, თაუნსენდი, მედისონი, შვარცერი
მსაჯი: რილი

### ვესტ ჰემი 2:0 ბლექბერნი

1:0 პირსი (28), 2:0 დი კანიო (31)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, ფერდინანდი, პირსი, ლომასი, ლამპარდი, ბერკოვიჩი, ფოე, კელერი, დი კანიო, სინკლერი
ბლექბერნი: ფილანი, მაკატირი, პიკოკი, ბრუმსი, დევიდსონი, გილესპი, დანი (კროფტი 64), იანსენი (დეივისი 51), უილკოქსი (დაფი 55), ბლეიკი, უორდი
გაფრთხილება: ფოე, პიკოკი, მაკატირი
მსაჯი: დანი

### ასტონ ვილა 1:4 ქოვენთრი

0:1 ალოიზი (25), 0:2 ბოტენგი (51), 1:2 დაბლინი (55პ), 1:3 ალოიზი (73), 1:4 ბოტენგი (84)
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, უოტსონი (ბერი 44), შიმეცა, ტეილორი (დრეპერი 29 (კოლიმორი 55), მერსონი, გრეისონი, ჰენდრი, დაბლინი, ჯოაკიმი
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, ბაროუზი, უილიამსი, შოუ, მაკალისტერი, ფროგატი, ბოტენგი, ტელფერი, ჰაკერბი (მაკშეფრი 90), ალოიზი
გაფრთხილება: გრეისონი, ჰენდრი, საუთგეიტი, დაბლინი, უილიამსი
მსაჯი: რენი

### ლესტერი 1:2 ლიდსი

0:1 კიუელი (24), 0:2 სმიტი (60), 1:2 კოტი (76)
ლესტერი: კელერი, ალერტონი, ელიოტი, კამარკი, ჯაპი, იმპი (გუნლაუგსონი 66), იზეტი, სევიჯი, ლენონი, ჰესკი (მარშალი 46)
ლიდსი: მარტინი, ჰარტე, რადებე, უეზეროლი, ჰაალანდი, კორსტენი, კიუელი, ჰოფკინი, ბოუერი, ჰასელბაინკი (რიბეირო 90), სმიტი
გაფრთხილება: სევიჯი, ალერტონი, გუნლაუგსონი, სმიტი, ჰარტე
მსაჯი: ბარბერი

# ლამაზი გოლები და ჰოკეი




REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ლივერპული 2:1. მასპინძელთა ესპანელმა მცველმა ალბერტ ფერერმა (ქვევით) რობი ფაულერი არ დაინდო

კვირას „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ორი ლამაზი გოლი გავიდა, ჯერ ჰოლანდიურ-ფრანგული კომბინაციის შედეგად, მერე ქართულ-გერმანული.

ინგლისის ასოციაციის თასის შარშანდელი ფინალისტების შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ნიუკასლში ჩასული ჩემპიონი სამი ქულის აღებას გეგმავდა, სჯობდა კიდეც მასპინძლებს, მაგრამ საბოლოოდ ლონდონში მხოლოდ ქულის ამარა დაბრუნდა.

„არსენალმა" თავიდანვე შეუტია, თუმცა არც ჯორდები იყვნენ ხელდაკრეფილნი — გრიპმოშუშებული შირერი და ფრანგი საჰა პერიოდულად აწუხებდნენ დედაქალაქელთა ხანდაზმულ, გამოცდილ და მძლავრ დაცვის ხაზს.

პირველი გოლი, სტადიონზე მისული 37 ათასი ქომაგის სამწუხაროდ, შეიგივენის კარში გავიდა — „არსენალმა" „ნიუკასლის" შეტევა ჩაშალა და სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, ბურთი ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა მიიღო, კარგი პასით ფრანგი თანაგუნდელი ნიკოლა ანელკა მოძებნა, რომელიც მასპინძელთა კარის დარაჯთან ერთი-ერთზე აღმოჩნდა, გივენი ოსტატურად მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ეს 19 წლის ფორვარდის მე-13 გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში და ამ 13 ბურთიდან ანელკამ უმეტესობა ბოლო მატჩებში შეაგდო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ფრანგმა ძალიან მოუმატა, შესანიშნავ ფორმაშია და უკვე „არსენალის" მთავარ დამრტყმელ ძალად ითვლება.

მეორე ტაიმი ასევე სტუმრების უპირატესობით დაიწყო, ეს „ნიუკასლის" მენეჯერმა რუუდ გულიტმაც შენიშნა და მინდორზე ორი ახალი ფეხბურთელი შეუშვა — ქეცბაია და ლი. ახალმა სისხლმა „ნიუკასლზე" დადებითად იმოქმედა — თამაში ასე თუ ისე გათანაბრდა და სულ მალე ზემოხსენებული 37 ათასი გულშემატკივარი აღტაცებული წამოხტა სკამიდან. არა მარტო იმიტომ, რომ გულიტის შეგირდებმა საპასუხო გოლი გაუტანეს ჩემპიონობისთვის მებრძოლ ჩემპიონს; არამედ იმიტომ, რომ გოლი ძალიან კარგი სანახავი გამოდგა. მოედნის სიღრმიდან ბურთი ქართველმა ნახევარმცველმა მიიღო, ერთი შეხებით გერმანელ ჰამანს დაუტოვა და ამ უკანასკნელმაც „არსენალის" სახელგანთქმული მცველები პატარა ბავშვებივით აპამპულავა. ჯერ ერთი მოატყუა, მერე ორი ერთად, ხოლო როდესაც მისკენ თითქმის მთელი ლონდონური არმია დაიძრა, ბურთს ზერელედ წაჰკრა ფეხის წვერი და მრავლისმნახველ სიმენს კიდევ ერთი ანახა.

ქეცბაიას თავადაც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მისი შორიდან დარტყმული ბურთი სიმენმა აიღო. სხვა მხრივ სახიფათო მომენტები ძირითადად „ნიუკასლის" კართან იქმნებოდა, მაგრამ ბოლოს „მეთოფეები" მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. ერთიც არის, ჩემპიონს აშკარად ეტყობა ემანუელ პეტის არყოფნა. მსოფლიოს ჩემპიონი რამდენიმე ხნის წინაც იყო დაშავებული და ლონდონელებმაც სწორედ მაშინ დაკარგეს ჰაერივით საჭირო ქულები. ასეა ახლაც — პეტი არ არის, ვენგერის გუნდს უჭირს და თუ ასე გააგრძელა, ძნელი დასაჯერებელია, ტიტული შეინარჩუნოს.

„არსენალის" პრობლემებით მშვენივრად ისარგებლეს „მანჩესტერმა" და „ჩელსიმ". პირველმა „ოლდ ტრეფორდზე" აუტსაიდერი „საუთჰემპტონი" მიიღო და 2:1 მოუგო. ამავე ანგარიშით „ჩელსიმ" შინ „ლივერპული" დაამარცხა. თანაც ორივე 2:0-ს იგებდა და მხოლოდ მაშინ გაუშვეს გოლი, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ამ ორი შეხვედრიდან უფრო საინტერესო ლონდონურ „სტემფორდ ბრიჯზე" გამართული მატჩი იყო და ყურადღებასაც მასზე შევაჩერებთ.

— სანამ მინდორზე გავიდოდნენ, ჩემს ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ ყველაფერი უნდა გაელოთ და მარტო გამარჯვებაზე ეფიქრათ. საბედნიეროდ, მათ გაამართლეს ჩემი იმედები და მეტოქეს აშკარად აჯობეს. დღესდღეობით „ჩელსი" ძალიან კარგ ფორმაშია — ამბობდა „ლივერპულის" ძლევის შემდეგ მასპინძელთა დისკვალიფიცირებული მოთამაშე-მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი.

„ჩელსიმ" მართლაც მაგრად აჯობა მერსისაიდულ კლუბს და ცოტა ზუსტი რომ ყოფილიყო, შეარცხვენდა კიდეც. მე-7 წუთზე ლივერპულელმა ფილ ბებიმ საკუთარ საჯარიმოში უაზროდ მოჰკიდა ხელი ბურთს და შემდგომში ტრავმის გამო შეცვლილმა ფრანკ ლებეფმაც პანელტიდან ანგარიში გახსნა. მეორე გოლი ლამაზი გამოდგა — იტალიელმა ძოლამ ქუსლით რუმინელ პეტრესკუს დაუტოვა ბურთი, მან ჩააწოდა და დანიელმა გოლდბეკმაც შეუჩერებლად დაარტყა — ბურთი დევიდ ჯეიმსის ორ ქვედა კიდურს შორის რაკეტასავით შევარდა და ტაბლოზე ერთიანი ორიანით შეიცვალა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბიარნე გოლდბეკი იმ დღეს საუკეთესო იყო ორივე გუნდში, გარდა გოლისა, მან ბევრიც ირბინა (შინაარსიანად), ერთი ორჯერ შორიდანაც სახიფათოდ დაარტყა და ჯეიმსის კარის ძელიც შეაზანზარა.

კი გაქვითა ერთი ბურთი მაიკლ ოუენმა მინდორზე წამოწოლილი ფაულერის კარგი პასის შემდეგ, მაგრამ „ლივერპულისთვის" ესეც ბევრი იყო — ჟერარ ულიეს გუნდი, განსაკუთრებით უკანა ხაზი, უფრო ჰოკეის თამაშობს, ვიდრე ფეხბურთს.

ჰოკეისტთა რიგებში თავისუფლად შეიძლება ასტონვილელთა გარკვეული ნაწილიც ჩაირიცხოს, სხვა რა გზა აქვთ, ორი თვის წინ ლიდერები იყვნენ, ახლა კი ყოვლად უმსგავსო „ქოვენთრისთან" აგებენ 1:4-ს.

**დავით ძოვზირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 28 | 16 | 9 | 3 | 63:29 | +34 | 57 | 15 | 10 | 4 | 1 | 35:15 | +20 | 34 | 13 | 6 | 5 | 2 | 28:14 | +14 | 23 |
| 2 | ჩელსი | 27 | 14 | 11 | 2 | 41:22 | +19 | 53 | 14 | 9 | 5 | 0 | 21:8 | +13 | 32 | 13 | 5 | 6 | 2 | 20:14 | +6 | 21 |
| 3 | არსენალი | 27 | 13 | 11 | 3 | 35:13 | +22 | 50 | 13 | 8 | 5 | 0 | 21:4 | +17 | 29 | 14 | 5 | 6 | 3 | 14:9 | +5 | 21 |
| 4 | ლიდსი | 27 | 12 | 9 | 6 | 41:26 | +15 | 45 | 13 | 8 | 3 | 2 | 21:6 | +15 | 27 | 14 | 4 | 6 | 4 | 20:20 | 0 | 18 |
| 5 | ასტონ ვილა | 27 | 12 | 8 | 7 | 38:31 | +7 | 44 | 14 | 8 | 2 | 4 | 25:21 | +4 | 26 | 13 | 4 | 6 | 3 | 13:10 | +3 | 18 |
| 6 | ვესტ ჰემი | 27 | 11 | 7 | 9 | 31:38 | -7 | 40 | 14 | 8 | 3 | 3 | 20:19 | +1 | 27 | 13 | 3 | 4 | 6 | 11:19 | -8 | 13 |
| 7 | ლივერპული | 27 | 11 | 6 | 10 | 50:34 | +16 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 33:16 | +17 | 25 | 14 | 4 | 2 | 8 | 17:18 | -1 | 14 |
| 8 | დერბი | 27 | 9 | 11 | 7 | 26:25 | +1 | 38 | 13 | 5 | 5 | 3 | 13:12 | +1 | 20 | 14 | 4 | 6 | 4 | 13:13 | 0 | 18 |
| 9 | უიმბლდონი | 26 | 9 | 10 | 7 | 30:36 | -6 | 37 | 13 | 7 | 5 | 1 | 18:11 | +7 | 26 | 13 | 2 | 5 | 6 | 12:25 | -13 | 11 |
| 10 | შეფილდი | 26 | 10 | 5 | 11 | 34:25 | +9 | 35 | 13 | 6 | 3 | 4 | 16:8 | +8 | 21 | 13 | 4 | 2 | 7 | 18:17 | +1 | 14 |
| 11 | ნიუკასლი | 27 | 9 | 8 | 10 | 35:36 | -1 | 35 | 14 | 7 | 3 | 4 | 21:17 | +4 | 24 | 13 | 2 | 5 | 6 | 14:19 | -5 | 11 |
| 12 | მიდლსბრო | 27 | 7 | 12 | 8 | 34:39 | -5 | 33 | 13 | 4 | 8 | 1 | 16:10 | +6 | 20 | 14 | 3 | 4 | 7 | 18:29 | -11 | 13 |
| 13 | ტოტენჰემი | 26 | 7 | 12 | 7 | 30:32 | -2 | 33 | 13 | 5 | 6 | 2 | 20:17 | +3 | 21 | 13 | 2 | 6 | 5 | 10:15 | -5 | 12 |
| 14 | ლესტერი | 26 | 7 | 9 | 10 | 26:36 | -10 | 30 | 13 | 5 | 3 | 5 | 18:20 | -2 | 18 | 13 | 2 | 6 | 5 | 8:16 | -8 | 12 |
| 15 | ევერტონი | 27 | 6 | 10 | 11 | 20:29 | -9 | 28 | 14 | 3 | 8 | 3 | 9:7 | +2 | 17 | 13 | 3 | 2 | 8 | 11:22 | -11 | 11 |
| 16 | ჩარლტონი | 27 | 6 | 9 | 12 | 31:37 | -6 | 27 | 14 | 4 | 5 | 5 | 18:13 | +5 | 17 | 13 | 2 | 4 | 7 | 13:24 | -11 | 10 |
| 17 | ქოვენთრი | 27 | 7 | 6 | 14 | 28:38 | -10 | 27 | 13 | 5 | 4 | 4 | 17:14 | +3 | 19 | 14 | 2 | 2 | 10 | 11:24 | -13 | 8 |
| 18 | ბლექბერნი | 27 | 6 | 8 | 13 | 27:38 | -11 | 26 | 13 | 5 | 3 | 5 | 15:16 | -1 | 18 | 14 | 1 | 5 | 8 | 12:22 | -10 | 8 |
| 19 | საუთჰემპტონი | 26 | 6 | 5 | 15 | 26:50 | -24 | 23 | 13 | 5 | 2 | 6 | 20:22 | -2 | 17 | 13 | 1 | 3 | 9 | 6:28 | -22 | 6 |
| 20 | ნოტინგემი | 27 | 3 | 8 | 16 | 22:54 | -32 | 17 | 13 | 1 | 6 | 6 | 11:24 | -13 | 9 | 14 | 2 | 2 | 10 | 11:30 | -19 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 16 |
| ოუენი (ლივერპული) | 16 |
| კოული (მანჩესტერი) | 13 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 13 |
| ანელკა (არსენალი) | 13 |

### XXVIII ტური

6 მარტი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | - | შეფილდი (0:1) |
| ბლექბერნი | - | ევერტონი (0:0) |
| ქოვენთრი | - | ჩარლტონი (1:1) |
| დერბი | - | ასტონ ვილა (0:1) |
| ლიდსი | - | ტოტენჰემი (3:3) |
| ლივერპული | - | მანჩესტერი (0:2) |
| მიდლსბრო | - | ჩელსი (0:2) |
| ნოტინგემი | - | ნიუკასლი (0:1) |
| საუთჰემპტონი | - | ვესტ ჰემი (0:1) |
| უიმბლდონი | - | ლესტერი (1:1) |

## პირველი დივიზიონი

XXXIII ტური

### კრისტალ პალასი 1:0 ბარნსლი

1:0 მულინსი (24)

### ბოლტონი 1:3 ქრიუ

0:1 ჯონსონი (18), 0:2, 0:3 ჯეკი (33, 46), 1:3 ჰოლდსვორსი (55პ)

### ბრედფორდი 1:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 ჯეკობსი (3)

### ბრისტოლი 0:1 იფსვიჩი

0:1 ნეილორი (57)

### გრიმსბი 0:3 ბირმინგემი

0:1 ნდლოვუ (36), 0:2 ადებოლა (85), 0:3 როვეტი (90)

### ნორვიჩი 1:1 შეფილდ იუნაიტედი

1:0 ლეველინი (20), 1:1 დევლინი (55)

### ოქსფორდი 0:0 სანდერლენდი

### პორტსმუთი 4:0 პორტ ვეილი

1:0 მაკლაფლინი (29პ), 2:0, 3:0, 4:0 ვიტინჰემი (36, 39, 89)

### სტოკპორტი 0:0 ქუინზ პარკი

### ტრანმერი 4:0 ბერი

1:0 ალემი (23), 2:0 ობრაიენი (55), 3:0 ტეილორი (67), 4:0 კუმასი (79)

### ვულვზი 2:2 ჰადერსფილდი

1:0 რობინსონი (10), 1:1 გრეი (59), 2:1 გრეი (64 ს.კ.), 2:2 ჰამილტონი (90)

### უოტფორდი 0:1 სვინდონი

0:1 ჰოუ (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 33 | 20 | 10 | 3 | 65:22 | 70 |
| ბრედფორდი | 33 | 18 | 7 | 8 | 58:34 | 61 |
| • იფსვიჩი | 33 | 18 | 7 | 8 | 44:20 | 61 |
| ბოლტონი | 32 | 16 | 11 | 5 | 57:37 | 59 |
| ბირმინგემი | 33 | 16 | 9 | 8 | 49:29 | 57 |
| უოტფორდი | 34 | 14 | 11 | 9 | 49:44 | 53 |
| ვულვზი | 33 | 13 | 10 | 10 | 49:35 | 49 |
| გრიმსბი | 32 | 14 | 7 | 11 | 34:34 | 49 |
| ვესტ ბრომვიჩი | 34 | 13 | 8 | 13 | 56:53 | 47 |
| ნორვიჩი | 32 | 12 | 11 | 9 | 46:42 | 47 |
| შეფილდ იუნ. | 32 | 12 | 10 | 10 | 50:50 | 46 |
| ჰადერსფილდი | 33 | 12 | 10 | 11 | 45:52 | 46 |
| ტრანმერი | 33 | 9 | 15 | 9 | 45:44 | 42 |
| კრ. პალასი | 33 | 10 | 10 | 13 | 44:54 | 40 |
| ბარნსლი | 33 | 9 | 13 | 11 | 39:39 | 40 |
| სტოკპორტი | 33 | 9 | 13 | 11 | 39:39 | 40 |
| სვინდონი | 33 | 10 | 9 | 14 | 44:53 | 39 |
| პორტსმუთი | 33 | 9 | 11 | 13 | 46:50 | 38 |
| ქუინზ პარკი | 33 | 8 | 10 | 15 | 35:44 | 34 |
| ოქსფორდი | 33 | 8 | 9 | 16 | 34:54 | 33 |
| პორტ ვეილი | 33 | 9 | 4 | 20 | 33:60 | 31 |
| ბერი | 33 | 7 | 10 | 16 | 28:50 | 31 |
| ბრისტოლი | 33 | 5 | 13 | 15 | 42:61 | 28 |
| ქრიუ | 33 | 6 | 8 | 19 | 38:66 | 26 |

# გერმანია

XX ტური

**ფრაიბურგი 0:0 ვოლფსბურგი**

ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, ჰერმელი, დიარა, რიტპიჩი (ტ. ჰოფმანი 46), გიუნეში (ვასმერი 76), ბაია, პავლინი (**ცქიტიშვილი** 63), **კობიაშვილი**, ვაისჰაუპტი, ბენ სლიმანი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, კრიგერი, ტომსენი, გრაინერი, ნოვაკი (კოვაჩევიჩი 90), რეინა, მალტრიცი, დამაიერი, პრეგერი, იუსკოვიაკი (ბაუმგარტი 70)
გაფრთხილება: შუმანი, ბაია, ტომსენი, მალტრიცი, დიარა
გაძევება: დიარა (88)
მსაჯი: ბუხჰარტი

**ჰანზა 0:4 ბაიერნი**

0:1 ელბერი (69), 0:2 იანკერი (79), 0:3 ელბერი (87), 0:4 მათეუსი (90)
ჰანზა: პიკენჰაგენი, განსაუგე (აგალი 77), ვაილანდტი, ჰოლეჩეკი, ლანგე, ვიბრანი, იასერი, მილინკოვიჩი (ბრაიტკროიცი 80), ემარა (დოვე 70), მაიაკი, ნოიველი
ბაიერნი: კანი, მათეუსი, ბაბელი, ლინკე, შტრუნცი (შოლი 68), იერემისი, ეფენბერგი, ლისარასუ, ციკლერი (სალიჰამიჯიჩი 68), იანკერი (დაეი 82), ელბერი
გაფრთხილება: ლანგე, მათეუსი, მაიაკი, განსაუგე, ბაბელი, შტრუნცი, იერემისი
მსაჯი: ცერი

**ჰამბურგი 0:0 ლევერკუზენი**

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, პანადიჩი, ფოგელი, ბაბატცი, გროთი, კურტიანუ (იეპსენი 89), ერნსტი (გრავესენი 68), ჰოლერბახი, იებოა, დემბინსკი
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჰაპე, ლედვონი, ნ. კოვაჩი (ლენჰოფი 80), რამელო, ბაინლიხი, ზე რობერტო, კირსტენი (რაიხენბერგერი 80), რინკი (მეიერი 80)
გაფრთხილება: ჰოლერბახი, ჰოოგმა, ჰაპე, ლედვონი, ნ. კოვაჩი, ფოგელი
გაძევება: ფოგელი (83)
მსაჯი: ალბრეხტი

**ლაუტერნი 1:1 შტუტგარტი**

0:1 ბობიჩი (60), 1:1 რამზი (65)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, კოხი, ჰრუტკა, ბუკი, რატინიო, ხრისტოვი (რიდლი 46), რამზი, ვაგნერი, რიშე, რაიხი
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ვერლაატი, კელერი, კარნელი (ლისტეში 81), სოლდო, ბალაკოვი, ჯორჯევიჩი, ბობიჩი (როსტი 69), რისტიჩი (ენდრესი 71)
გაფრთხილება: რატინიო, ვერლაატი, ტიამი
გაძევება: ტიამი (64)
მსაჯი: კრუგი

**მიუნხენი 0:0 დუისბურგი**

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ზელიჩი, კურცი, გრაილიხი, ჩერნი, ბორიმიროვი (აგოსტინო 69), მალცი (ოუაკილი 71), ჩიჟეკი, ჰელდტი, შროტი, ვინკლერი (ჰობში 60)
დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი, კომლიენოვიჩი, ვოლერტი (შრამი 86), ვოლტერსი, ტიოფტინგი, ჰაიტო, ჰირში, ნოინი, ოსტჰოფი (ბაიერლე 65), შპისი (ანდერსენი 74)
გაფრთხილება: ჩიჟეკი, გრაილიხი, ჰაიტო, ვოლტერსი, ჰირში, ოსტჰოფი
მსაჯი: კოოპი

**დორტმუნდი 3:0 ნიურნბერგი**

1:0 მიოლერი (11), 2:0 შაპუიზა (54), 3:0 ბუტი (62)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, კოლერი, კ. ბაუმანი, რიკენი (ტანკო 71), ნერლინგერი, ვ. ბუტი (ჰენგენი 82), დედე, მიოლერი, სალუ (ბარბარესი 84), შაპუიზა
ნიურნბერგი: კიოპკე, ნიკლი, ვან ეკი, შტორცენჰოფეკერი, ვისინგერი, იუშკიჩი (ოეხლერი 66), დრილერი, გერბერი, რაინჰარდტი, ჩირიჩი (სკოოგი 75), კუკა
გაფრთხილება: ნიკლი, იუშკიჩი, რაინჰარდტი
მსაჯი: კესლერი

**შალკე 0:0 ჰერტა**

შალკე: რეკი, ა. მიულერი, დე კოკი, ვან ჰოგდალემი, აიგენრაუხი, ალპუგანი, კმეჩი, ბიუსკენსი, ჰამი (ვოლფი 81), გუსენსი (ანდერბრიუგე 73), მაქსი
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, ნოიენდორფი (ვან ბურიკი 57), სვერისონი, კოვიჩი (ტომი 67), შმიდტი, დარდაი, ტრეჩოკი, ჰარტმანი, პრეეტცი, არაჩიჩი
გაფრთხილება: კოვიჩი, ნოიენდორფი, პრეეტცი
მსაჯი: ვაკი

**ვერდერი 1:1 ბოხუმი**

0:1 კუნცი (20), 1:1 აილტონი (84)
ვერდერი: ბრაზასი, ვიდნერი, ბენკენი, სკრიპნიკი, ტრარესი, დაბროვსკი (ვეტენდორფი 46), ვიკი, აილტსი, ჰერცოგი, ბოგდანოვიჩი (აილტონი 80), ბოდე
ბოხუმი: ფ. ერნსტი, სუნდერმანი, კრახტი, ვალდოხი, მაჰდავიკია (შტიკროტი 46), გაუდინო, შინდცილორცი, ბასტურკი (ტოპლაკი 57), რაისი, კუნცი (დრინჩიჩი 67), ბუკლი
გაფრთხილება: ბოგდანოვიჩი, ბუკლი, შტიკროტი, დრინჩიჩი
მსაჯი: შტარკი

**აინტრახტი 0:0 გლადბახი**

აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, ბინდევალდი, პედერსენი, ბრინკმანი, უ. შნაიდერი, იანსენი (გებჰარდტი 75), ბ. შნაიდერი, ბონუა, სობოჩიკი (ნვოსუ 81), ფიორტოფტი (ვესტერტალერი 63)
მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, კლინკერტი, ასანინი, ებერლი, სოპიჩი, დაისლერი (ჩიქუინო 90), ფრონცეკი, ვიტეჩეკი, გიოქთანი (ჰაგნერი 78), ფელდჰოფი (პოლსტერი 78)
გაფრთხილება: ბ. შნაიდერი, ბონუა, კლინკერტი, გიოქთანი, ფრონცეკი
მსაჯი: ფრიოლიხი

# ბუნდესლიგაში მშვიდობა გამეფდა




REUTERS როსტოკიდან

ჰანზა — ბაიერნი 0:4. წაქცეული კარსტენ იანკერის (№19) ამ დარტყმის შემდეგ მეორე გოლი გავიდა

**ბუნდესლიგის** ჩემპიონატის მეოცე ტური გამორჩეული გახლდათ მიმდინარე სეზონში. ამ ტურში გამართული ცხრა მატჩიდან შვიდი ფრედ დასრულდა. აქედან ხუთში გოლი საერთოდ არ გასულა (სულ ტურში 11 გავიდა), ხოლო დანარჩენ ორში მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს თითო-თითო ბურთი გაუტანეს და შესაბამისად მატჩებიც 1:1 დასრულდა. მხოლოდ ორმა გუნდმა შეძლო სამი ქულის მოპოვება და ძნელი მისახვედრი არ არის, ერთი მათგანი მიუნხენის „ბაიერნი" რომ იქნებოდა.

პირველ წრეში მიუნხენელებმა „ოლიმპიაშტადიონზე" 6:1 გაანადგურეს როსტოკის „ჰანზა". როსტოკელი გულშემატკივრები დიდი ამბით ელოდნენ საპასუხო მატჩ-რევანშს, მაგრამ პასუხად „ბაიერნისაგან" კიდევ ერთი იმედგაცრუება იგემეს. ბავარიელებმა თავიდანვე პრესინგს მიმართეს. ამან შედეგი უმალ გამოიღო. „ჰანზას" მცველები ხშირად ცდებოდნენ და სტუმრებიც მომენტს მომენტზე ქმნიდნენ. თუმცა პირველ ტაიმში მიუნხენელებმა ამით ვერ ისარგებლეს. არადა, ელბერს, ეფენბერგს და იანკერს არაერთხელ შეეძლოთ თავის გამოჩენა. ერთ ეპიზოდში ელბერი მეკარესთან პირისპირ გავიდა, ისიც მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმული განსაუგემ კარის ხაზიდან გამოიტანა.

მეორე ტაიმის ბოლო ოცდახუთ წუთში კი „ბაიერნმა" „ჰანზას" პატარა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. მიუნხენელთა გააქტიურება მინდორზე მეჰმეტ შოლის გამოსვლას მოჰყვა. შოლს ბოლო ცხრა თვის განმავლობაში მძიმე ტრავმა აწუხებდა და მოთმინებით მკურნალობდა. ტრავმამოშუშებულს კი ჰიტცფელდი უმალ ენდო და 68-ე წუთზე წლევანდელ ჩემპიონატში პირველად შეუშვა მინდორზე. ერთი წუთის შემდეგ კი ანგარიშიც გაიხსნა — ბაბელის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი იანკერმა თავით ელბერს გადაუგდო, ამანაც უძლიერესი დარტყმით პიკენჰაგენს შანსი არ დაუტოვა. ამას მასპინძლებმა სწრაფი შეტევით უპასუხეს, მაგრამ საჯარიმოში ეულად დარჩენილმა აგალიმ ახლოდან თავით ისე დაარტყა, კაცს მისი მხედველობის ვარგისიანობაში ეჭვი შეეპარებოდა. 79-ე წუთზე ელბერმა იანკერს ვალი დაუბრუნა, მანაც პარტნიორის პასი შეირგო და წაქცეულმა ბურთი მასპინძელთა კარის ბადეში გაახვია. მატჩის მიწურულს ბავარიელებმა ორი ერთმანეთზე ულამაზესი გოლი გაიტანეს. 89-ე წუთზე მათეუსის ძლიერი პასის შემდეგ „ჰანზას" მეკარემ კარი დატოვა და ბურთის პირითა ხაზის იქით გადაშვება მოინდომა, მაგრამ შეცდა. ელბერმაც ბურთს ხაზთან მიუსწრო, გაისწორა და დაახლოებით კუთხურის ალმიდან მოჭრილი დარტყმით ჩაახვია. ბოლო წუთზე კი ეფენბერგმა ჯარიმიდან მათეუსს ჩააწოდა ბურთი, ამანაც შეუჩერებლივ უძლიერესად დაარტყა და პიკენჰაგენს ახლო კუთხეში გაუტანა.

მატჩის შემდეგ ჰიტცფელდს განსაკუთრებული კმაყოფილება არ გამოუთქვამს: „პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გოლი ვერ შევაგდეთ, მეორეში პირიქით — ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ოთხი გოლი გავიტანეთ. მიუხედავად 12-ქულიანი სხვაობისა, ჩემპიონობამდე ბევრი გვიკლია და დამშვიდების უფლება სულაც არ გვაქვს."

ისევ ვერ მოიგო ჩვენებურთა „ფრაიბურგმა". წინა ტურში „ლევერკუზენთან" მოპოვებული ქულა ფოლკერ ფინკეს გუნდს თუ წარმატებად ჩაეთვალა, ამჟამად პირიქით მოხდა. მთელი თამაშის განმავლობაში ორივე გუნდს შეეძლო გატანა, მაგრამ ამაოდ. 63-ე წუთზე ფინკემ პავლინი ცქიტიშვილით შეცვალა. სწორედ ლევანს მიეცა 90-ე წუთზე გოლის გატანის ურეალურესი შანსი, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულს მიზანმა ოდნავ უმტყუნა.

მატჩისშემდგომ ინტერვიუში ფინკე უხასიათოდ გამოიყურებოდა, თქვა კიდეც, ასეთი თამაშით კმაყოფილი როგორ უნდა ვიყოო.

„ბაიერნთან" ათქულიანი ჩამორჩენა თორმეტამდე გაზარდა „ლევერკუზენმა", რომელიც შაბათს „ჰამბურგს" სტუმრობდა. ისე, ლევერკუზენელები ღმერთს უნდა უმადლოდნენ ეს სხვაობა ცამეტამდე რომ არ გაიზარდა. პირველ ტაიმში ჯერ ერნსტის დარტყმულმა ბურთმა შეაზანზარა სტუმართა კარის ძელი, შემდეგ გროთისამ. პანადიჩმაც მცირე მანძილით ააცილა თავით მატიშეკის კარს. სანაცვლოდ ლევერკუზენელები ერთხელაც ვერ დაემუქრნენ „ჰამბურგს".

სტუმართა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა გუნდის სუსტი თამაში იმითლა გაამართლა, ძალიან ბევრი ორთაბრძოლები იყო და ასეთ მატჩებში შესაძლებლობის გამოვლენა ჭირსო.

მეორე ადგილზე ასვლის კარგი შანსი ვერ გამოიყენა „კაიზერსლაუტერნმა". „შტუტგარტთან" საშინაო შეხვედრაში ვერც გერმანიის ჩემპიონი გამოიყურებოდა შესაფერისად. ოტო რეჰაგელმა ტრავმირებული მარშალის ნაცვლად თავდასხმაში რაიხს რიშე შეუწყვილა, რომელმაც აშკარად ვერ გაწია ბუნდესლიგის შარშანდელი ბომბარდირის მაგივრობა. მთელი პირველი ტაიმის მანძილზე მასპინძლებს ერთი რეალური მომენტიც არ შეუქმნიათ, 44-ე წუთზე ჯარიმიდან ვაგნერის სახიფათოდ დარტყმულს თუ არ ჩავთვლით, თავად კი არაერთხელ გადაურჩნენ გოლს.

ანგარიში კი მე-60 წუთზე ფრედი ბობიჩმა გახსნა, რომლის ძლიერად დარტყმულსაც რაინკემ ვერაფერი მოუხერხა. თუმცა წონასწორობა მალე აღსდგა. ხუთი წუთის შემდეგ თავდამსხმელის ფუნქცია ირანელმა რამზიმ ითავა, ახლოდან თავით ზუსტად დაარტყა. ამ ორ გოლს შორის მსაჯმა გვინეელი მცველი პაბლო ტიამი გაუძევა სტუმრებს.

ძალიან საინტერესო თამაში ჩატარდა ფრანკფურტში, სადაც აუტსაიდერმა „აინტრახტმა" ბოლო ადგილზე მყოფ „მიონხენგლადბახს" უმასპინძლა. სამართალი რომ ყოფილიყო, ეს მატჩი 0:0 კი არა, 0:3 მაინც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ფორტუნა გლადბახელებს იმ დღეს ნამდვილად არ სწყალობდათ. გიოქთანს, ფელდჰოფს, სოპიჩს, შეცვლაზე შესულ პოლსტერს უამრავჯერ შეეძლოთ „აინტრახტის" კარის დალაშქვრა, მაგრამ ბურთმა არა და არ ინება კარის ხაზის გადაკვეთა.

21-ე ტური პარასკევს დაიწყება, თუმც მანამდე გერმანიაში მოუთმენლად ელიან ერთ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას — ხვალ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ერთმანეთს „ბაიერნი" და „კაიზერსლაუტერნი" ხვდებიან. მიუნხენს ოტო რეჰაგელის გუნდი მთავარი ბომბარდირის ოლაფ მარშალის გარეშე ეწვევა, მასპინძლებს კი, ალბათ, გრიპშეყრილი მარიო ბასლერი არ ეყოლებათ.

ვანო ოქროპირიძე

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 20 | 16 | 2 | 2 | 50:13 | +37 | 50 | 10 | 9 | 1 | 0 | 32:8 | +24 | 28 | 10 | 7 | 1 | 2 | 18:5 | +13 | 22 |
| 2 | ლევერკუზენი | 20 | 10 | 8 | 2 | 41:19 | +22 | 38 | 10 | 5 | 4 | 1 | 19:8 | +11 | 19 | 10 | 5 | 4 | 1 | 22:11 | +11 | 19 |
| 3 | ლაუტერნი | 20 | 11 | 5 | 4 | 32:29 | +3 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 22:14 | +8 | 24 | 9 | 4 | 2 | 3 | 10:15 | -5 | 14 |
| 4 | მიუნხენ 1860 | 20 | 10 | 6 | 4 | 36:25 | +11 | 36 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:9 | +9 | 20 | 10 | 4 | 4 | 2 | 18:16 | +2 | 18 |
| 5 | ჰერტა | 20 | 10 | 3 | 7 | 29:19 | +10 | 33 | 9 | 8 | 0 | 1 | 18:3 | +15 | 24 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | -5 | 9 |
| 6 | დორტმუნდი | 20 | 9 | 5 | 6 | 31:21 | +10 | 32 | 11 | 9 | 1 | 1 | 24:5 | +19 | 28 | 9 | 0 | 4 | 5 | 7:16 | -9 | 4 |
| 7 | ვოლფსბურგი | 20 | 7 | 8 | 5 | 35:29 | +6 | 31 | 10 | 5 | 3 | 2 | 23:12 | +11 | 18 | 10 | 2 | 5 | 3 | 12:17 | -5 | 11 |
| 8 | ვერდერი | 20 | 6 | 7 | 7 | 29:27 | +2 | 25 | 11 | 2 | 5 | 4 | 17:17 | 0 | 11 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:10 | +2 | 14 |
| 9 | ჰამბურგი | 19 | 6 | 7 | 6 | 23:23 | 0 | 25 | 11 | 5 | 4 | 2 | 15:10 | +5 | 19 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:13 | -5 | 6 |
| 10 | შტუტგარტი | 20 | 6 | 7 | 7 | 26:27 | -1 | 25 | 9 | 5 | 2 | 2 | 17:9 | +8 | 17 | 11 | 1 | 5 | 5 | 9:18 | -9 | 8 |
| 11 | ფრაიბურგი | 20 | 5 | 9 | 6 | 22:24 | -2 | 24 | 11 | 2 | 6 | 3 | 10:11 | -1 | 12 | 9 | 3 | 3 | 3 | 12:13 | -1 | 12 |
| 12 | შალკე 04 | 20 | 5 | 7 | 8 | 21:31 | -10 | 22 | 10 | 3 | 4 | 3 | 11:11 | 0 | 13 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:20 | -10 | 9 |
| 13 | ბოხუმი | 19 | 5 | 5 | 9 | 23:34 | -11 | 20 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 11 | 2 | 3 | 6 | 12:22 | -10 | 9 |
| 14 | დუისბურგი | 20 | 4 | 8 | 8 | 20:32 | -12 | 20 | 9 | 4 | 4 | 1 | 13:9 | +4 | 13 | 11 | 0 | 4 | 7 | 7:23 | -16 | 4 |
| 15 | აინტრახტი | 20 | 4 | 6 | 10 | 22:33 | -11 | 18 | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 12 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:19 | -10 | 6 |
| 16 | ჰანზა | 20 | 3 | 8 | 9 | 27:39 | -12 | 17 | 11 | 3 | 5 | 3 | 18:18 | 0 | 14 | 9 | 0 | 3 | 6 | 9:21 | -12 | 3 |
| 17 | ნიურნბერგი | 20 | 2 | 10 | 8 | 21:37 | -16 | 16 | 9 | 0 | 8 | 1 | 11:15 | -4 | 8 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:22 | -12 | 8 |
| 18 | გლადბახი | 20 | 2 | 5 | 13 | 20:46 | -26 | 11 | 9 | 2 | 1 | 6 | 11:20 | -9 | 7 | 11 | 0 | 4 | 7 | 9:26 | -17 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| პრეეტცი (ჰერტა) | 12 |
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 11 |

### XXI ტური

5 მარტი
დუისბურგი - ჰანზა (0:3)
ნიურნბერგი - შალკე (2:2)
6 მარტი
ვოლფსბურგი - ჰამბურგი (1:1)
ჰერტა - ლაუტერნი (3:4)
ბაიერნი - ფრაიბურგი (2:0)
ბოხუმი - დორტმუნდი (1:0)
გლადბახი - მიუნხენი (1:3)
შტუტგარტი - აინტრახტი (1:1)
7 მარტი
ლევერკუზენი - ვერდერი (2:2)

## მეორე ბუნდესლიგა

XX ტური

**ვატენშაიდი 4:2 ზანქტ პაული**

1:0 დიკტიარი (12), 1:1 სტევანოვიჩი (19), 1:2 პუშმანი (27), 2:2 სანე (31), 3:2 ფეინბიერი (47), 4:2 სანე (54)

**კარლსრუე 0:1 მაინცი**

0:1 ჰოკი (70)

**კიოლნი 0:2 ჰანოვერი**

0:1 მორინასი (23), 0:2 კერუნდოლო (71)

**კიკერსი 2:2 ფორტუნა**

1:0 რასპე (68პ), 1:1 რენი (73), 1:2 კონეცკე (84), 2:2 აზიზი (88)

**ბერლინი 2:2 ობერჰაუზენი**

0:1 პრიომერი (45), 0:2 ა. ვებერი (53), 1:2 ფრიგარდი (72), 2:2 ლუინსმანი (73)

**ფიურტი 0:0 კოტბუსი**

**ურდინგენი 4:1 დიუსელდორფი**

1:0 სასივარევიჩი (5), 2:0 ვან დერ ჰაარი (8), 3:0 ზედი (17 ს.კ.), 3:1 ტარე (34), 4:1 ვან დერ ჰაარი (40)

**უნტერჰახინგი 2:0 გიუტერსლო**

1:0 სეიფერტი (13), 2:0 ლუსტი (75)

**არმინია 5:0 ულმი**

1:0 ლაბადია (32პ), 2:0 ბომე (59), 3:0 მაული (62), 4:0 ლაბადია (65), 5:0 რუდლევიჩი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმინია | 20 | 12 | 3 | 5 | 35:20 | 39 |
| უნტერჰახინგი | 20 | 12 | 3 | 5 | 27:14 | 39 |
| ფიურტი | 20 | 11 | 5 | 4 | 27:15 | 38 |
| ულმი | 20 | 10 | 7 | 3 | 41:32 | 37 |
| კარლსრუე | 20 | 11 | 1 | 8 | 35:26 | 34 |
| ბერლინი | 19 | 10 | 4 | 5 | 32:24 | 34 |
| ფორტუნა | 20 | 8 | 7 | 5 | 33:28 | 31 |
| ჰანოვერი | 20 | 9 | 3 | 8 | 27:22 | 30 |
| მაინცი | 20 | 8 | 5 | 7 | 27:28 | 29 |
| კიკერსი | 20 | 8 | 4 | 8 | 21:28 | 28 |
| კიოლნი | 20 | 6 | 6 | 8 | 23:32 | 24 |
| ობერჰაუზენი | 20 | 4 | 10 | 6 | 23:29 | 22 |
| ზანქტ პაული | 19 | 5 | 4 | 10 | 24:32 | 19 |
| კოტბუსი | 20 | 3 | 9 | 8 | 19:24 | 18 |
| დიუსელდორფი | 20 | 3 | 9 | 8 | 26:34 | 18 |
| ურდინგენი | 20 | 3 | 7 | 10 | 23:31 | 16 |
| ვატენშაიდი | 20 | 3 | 7 | 10 | 14:25 | 16 |
| გიუტერსლო | 20 | 3 | 6 | 11 | 25:38 | 15 |

# აქა ფილოსოფიური ამბავი ლაციოსი და სხვათა

## იტალია

XXIII ტური

### ვიჩენცა 1:2 ლაციო

0:1 კონსეისაო (48), 1:1 კარდონე (67), 1:2 მიხაილოვიჩი (90)
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, აურელიო, დიჩარა, კარდონე (მორაბიტო 80), სკენარდი, დი კარლო, დაბო, ამბროზეტი (სკარლატო 65), ოტერო, ნეგრი (ძაული 65)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი (პანკარო 75), კონსეისაო (ლომბარდო 86), მანჩინი, სტანკოვიჩი, ნედვედი, სალასი (კოუტუ 92), ვიერი
გაფრთხილება: ნეგრო, სტოვინი, სკენარდი, პანკარო, ნესტა, ძაული, დიჩარა, სალასი
გაძევება: სტანკოვიჩი (82)
მსაჯი: რაკალბუტო

### ბარი 1:1 კალიარი

0:1 ნექროიზი (81), 1:1 დ. ანდერსონი (83პ)
ბარი: მანჩინი, ნექროიზი, გარსია, ინოჩენტი, დე აშენტისი, დ. ანდერსონი, ბრესანი, მარკოლინი (გუერერო 61), ოსმანოვსკი, ძამბროტა, კნუდსენი (სპინეზი 54)
კალიარი: სკარპი, ძანონჩელი, გრასადონია, ვილა, ვაზარი (მაცეო 77), ბერეტა, ძანეტი, დე პატრე, მაკელარი, კალონი (ონილი 68), მუცი
გაფრთხილება: გარსია, მუცი, მაკელარი
მსაჯი: ბრაში

### ემპოლი 0:1 სამპდორია

0:1 პეკია (33)
ემპოლი: სერენი, კამარა, ბალდინი, ფუსკო, კრიბარი (ბონომი 46), ბიზოლი, პანე, მორონე (ჩერბონე 58), ტონეტო (კარპარელი 46), მარტუშელო, დი ნაპოლი
სამპდორია: ფერონი, ჰუგო (მანინი 77), გრანდონი, საკიჩი, ბალერი, დორივა, პეკია, ლაილი, ორტენა (კატე 79), მონტელა (ვერგასოლა 65), პალმიერი
გაფრთხილება: მონტელა, ბალდინი, ჰუგო, მარტუშელო, დი ნაპოლი, საკიჩი
მსაჯი: პელეგრინო

### სალერნიტანა 1:1 ფიორენტინა

1:0 დი ვაიო (75), 1:1 ტორიჩელი (86)
სალერნიტანა: ივანი, ბოლიჩი, დელ გროსო, ფუსკო, ფრეზი, ვანუჩი (ჯამპაულო 59), გატუზო, ბრედა, ბერნარდინი (კოლოუსეკი 69), მ. როსი, დი ვაიო (კიანეზე 89)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ტორიჩელი, პადალინი (ფირიკანო 28), ჰაინრიხი, რუი კოშტა, კოისი, ფიჩინი, ოლივეირა (ესპოზიტო 64), რობიატი (ფალკონე 53), ედმუნდო
გაფრთხილება: რუი კოშტა, ტორიჩელი, გატუზო, ფირიკანო, მ. როსი, ივანი
მსაჯი: ტრეოსი

### რომა 1:0 მილანი

1:0 პაულუ სერჟიო (64)
რომა: კიმენტი, კუადრინი (ვომე 62), ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო (გაუტიერი 86), დელვეკიო, ტოტი
მილანი: აბიატი, სალა (ჯუნტი 76), კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ნგოტი, გულიელმინპიეტრო, ბობანი (განცი 60), ბირჰოფი, ლეონარდო (მორფეო 60)
გაფრთხილება: ძაგო, მალდინი, სალა, პაულუ სერჟიო, ბობანი, ლეონარდო
მსაჯი: ბეტინი

### ვენეცია 1:0 უდინეზე

1:0 რეკობა (83პ)
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი (მარანგონი 70), პავანი, ლუპი, დალ კანტო, კარნაშალი, მიკელი, იაკინი (ვალტოლინა 76), პედონე, რეკობა (ბალარინი 91), მანიერო
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, ვალემი, ბაკინი, ლოკატელი (პოჯი 74), სოსა, ამოროზო
გაფრთხილება: კარნაშალი, მანიერო, ვალტოლინა, ბაკინი, კალორი, პედონი, ჟენო
მსაჯი: ფარინა

### პარმა 3:1 პერუჯა

1:0, 2:0 კიეზა (31პ, 44), 2:1 ბუკი (60), 3:1 კრესპო (81)
პარმა: ბუფონი, სარტორი, სენსინი, ტურამი, სტანიჩი, ფუზერი, ფიორე, ვანოლი, ბალბო (ლონგო 71), კრესპო, კიეზა (ასპრილია 56)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო (სტრადა 77), მატრეკანო, რივასი, კოლონელო, პეტრაკი, ოლივე, ლეკპოსუო (მაცანო 59), რაპაიჩი, ნაკატა, კავიედესი (ბუკი 56)
გაფრთხილება: ილარიო, სარტორი
მსაჯი: ბორიელო

### ინტერი 0:0 იუვენტუსი

ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, სიმიჩი, გალანტე, ძანეტი, სიმეონე, კოე, ვინტერი, ჯორკაეფი (პირლო 60), სამორანო (ვენტოლა 68), რ. ბაჯო
იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ტუდორი, ფერარა, მირკოვიჩი (დი ლივიო 89), კონტე, დეშამპი, დავიდსი, ზიდანი, ესნაიდერი (ინძაგი 59), ანრი (ფონსეკა 74)
გაფრთხილება: ფერარა, მირკოვიჩი, ზიდანი
მსაჯი: ტომბოლინი

### პიაჩენცა 5:0 ბოლონია

1:0, 2:0 ს. ინძაგი (20პ, 37პ), 3:0 რასტელი (43), 4:0 პიოვანი (84პ), 5:0 ს. ინძაგი (86)
პიაჩენცა: ფიორი, საკეტი, პოლონია, დელი კარი, მანიგეტი (პიოვანი 74), ლამაჩი (ბუზო 81), სტატუტო, მაცოლა (კრისტალინი 46), სტროპა, ს. ინძაგი, რასტელი
ბოლონია: ანტონიოლი, ლუკიჩი, ბოზელი, მანგონე, ტარანტინო, რინალდი, მაინი (მაროკი 46), ინგესონი, ბეტარინი, კ. ანდერსონი (სანჩესი 73), კოლივანოვი
გაფრთხილება: ბოზელი, საკეტი, ანტონიოლი, ბეტარინი, მანგონე
გაძევება: ბოზელი (51)
მსაჯი: დე სანტისი

REUTERS მილანიდან



ინტერი — იუვენტუსი 0:0. აქეთ სიმეონე (მარცხნივ) ცდილობდა, იქით ზიდანი, მაგრამ გოლი არ გასულა

ჩემპიონი რომ გახდე, ჯერ ერთი სხვებზე ძლიერი უნდა იყო, მეორეც იღბალი უნდა გქონდეს. ასეა ყველგან, ინგლისში, ესპანეთში, არგენტინაში, ბრაზილიაში, მალიში და ალბათ საქართველოშიც. მაშ იტალია რაღად უნდა იყოს გამონაკლისი?

თან, იტალია ფეხბურთში ისეთი ქვეყანაა, რომ მისი ლიდერი და მომავალი ჩემპიონი, ძალიან ძლიერი გუნდი უნდა იყოს.

ალბათ მიგვიხვდით, რომის გუნდ „ლაციოზე“ გვაქვს საუბარი. „ლაციომ“ სერია A-ს პირველობის 23-ე ტურში, ვიჩენცაში 2:1 მოიგო და უკვე ოთხი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს.

დიახ, „ლაციო“ ძალიან ძლიერი გუნდია და იქნებ ამიტომაც არის იღბლიანი. შესაძლოა ძლიერიცაა და იღბლიანიც, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მაგრამ ჯობს ფილოსოფიურ კატეგორიებზე ლაპარაკს მოვეშვათ და ფაქტებს მივყვეთ. ფაქტები ასეთია: რომაელებმა ვიჩენცაში პენალტი ვერ გაიტანეს და დეიან სტანკოვიჩიც გაუძევეს მოედნიდან, მაგრამ გამარჯვება მაინც მათ დარჩათ. თან, გადამწყვეტი, სამი ქულის მომტანი გოლი მათ 90-ე წუთზე გაიტანეს.

ანგარიში 1:1 იყო, როდესაც ჩილემამა თავდამსხმელს, მარსელო სალასს, თერთმეტი მეტრიდან მეკარე ბრივიომ ბურთი არ გაატანინა. ეს ამბავი მატჩის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე მოხდა. თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე კი სტანკოვიჩი გაუყენეს გასახდელის გზას.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ „ლაციო“ მაინც მოიპოვებდა ბოლო 13 შეხვედრაში მე-11 გამარჯვებას?

90-ე წუთზე ჯარიმების ვირტუოზმა სინიშა მიხაილოვიჩმა მადლიანად ამოსცხო ბურთს, რომელიც „ვიჩენცას“ კედლისკენ გაფრინდა, იქ, მცველს, ჯაკომო დიკარას ფეხში მოხვდა და მასპინძელთა კარის ბადე საწვიმარი ლაბადასავით შემოიხვია ტანზე.

იღბალია თუ ძლიერება?

თუმცა, როგორც დაგპირდით ფილოსოფიურ მსჯელობას არ მოვყვებით. მხოლოდ და მხოლოდ ცხრილს დავხედავთ, სადაც „ლაციოს“ გასწვრივ უკვე 48 ქულა წერია, მომდევნო გუნდის, „პარმას“ გასწვრივ კი 44. იმდენივე უწერია ყოფილ ლიდერს და უძლიერესს, „ფიორენტინას“.

„პარმამ“ „პერუჯას“ 3:1 მოუგო, „ფიორენტინამ“ კი სალერნოში 86-ე წუთზე, ყოფილი იუვენტუსელის, მორენო ტორიჩელის გოლით იხსნა თავი დამარცხებისგან.

„ფიორენტინა“ ერთი კაცის გუნდი ყოფილა. ერთი მხრივ ის ძალიან მდიდარია გაბრიელ ბატისტუტა რომ ჰყავს, მეორე მხრივ კი სწორედ ამითაა ღარიბი. აბა, სხვა რა ვუწოდოთ იმ მდგომარეობას, დღეს რომ შეიქმნა ფლორენციელთა გუნდში? სანამ ბატიგოლად წოდებული არგენტინელი ფეხზე იდგა, ფლორენციელები იგებდნენ და იგებდნენ, ხოლო როგორც კი ბოროტმა ტრავმამ დიდი ვარსკვლავი წააქცია, გუნდში რაღაც მოიშალა, მოირყა, გაქრა.

წაფორხილდა „მილანიც“. გუნდი, რომელიც ზედიზედ 10 შეხვედრაში არ მარცხდებოდა, ბოლოს და ბოლოს დამარცხდა. ის დამარცხდა, რადგან „ლაციო“ არ არის და კიდევ იმიტომ, რომ მისი მეტოქე გახლდათ „რომა“, თამაში კი „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიმდინარეობდა.

აქ კი მივადექით საქართველოში ასე პოპულარულ, კორუფციისა და გარიგება-მორიგების თემას. გთავაზობთ ორ ვერსიას.

ერთი: „რომა“, მოგეხსენებათ „ლაციოს“ თანაქალაქელია, თანასტადიონელი და ძველი მოძულე. აქედან გამომდინარე იგი ყველა ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ მტერი, როგორც ჩვენში იტყვიან, ჩაძიროს. მაგრამ, ვინაიდან, იტალიურ ფეხბურთში ასეთები, კვლავ როგორც ჩვენში იტყვიან, არ მოსულა, „რომა“ არავის არაფერს უთმობს და აგერ უკვე ორი ტურია, „ლაციოს“ მთავარ კონკურენტებს ახრჩობს — წინა ტურში ფლორენციაში ითამაშა 0:0, ახლა კი, აგერ, „მილანი“ დასცა ბეჭებზე.

მეორე: „რომა“ და „ლაციო“ გარიგდნენ, ჰოდა, „რომაც“, რაღაცით (ვთქვათ მატერიალური წახალისებით) დაინტერესებული მიდგა და გზას უკაფავს დროებით მეგობარს.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ „რომა“ „ლაციოსთან“ ყოველგვარი გარიგების, მეტიც მასზე ფიქრის გარეშე, თავისთვის იგებს, იმიტომ, რომ სპორტის დედააზრი მოგებაა, აქ არ განვიხილავთ. ეს ვერსია არაფრით ეთავსება მეოცე საუკუნის მიწურულის ქართულ აზროვნებას.

მილანური გაზეთი „გაძეტა დელო სპორტი“ კი პირველ გვერდზე დიდი ასოებით წერდა: „გრაცე რომა“. ეს ჩვენებურად „გმადლობთ რომას“ ნიშნავს და ირონიულად მიუთითებს იმას, რომ ზდენეკ ზემანის გუნდმა სვენ გორან ერიკსონისას კონკურენტები დაუფერთხა.

„ჩვენ უტეხი ხასიათი გამოვავლინეთ“ — უთქვამს ერიკსონს ვიჩენცაში გამარჯვების შემდეგ.

ხვალ კი, ბატონებო, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“, ინგლისის დიდი გუნდი, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ინტერს“ ელის. ამ ვეებერთელა შეხვედრის წინ მილანელმა „შავ-ლურჯებმა“ შინ, „სან სიროზე“ „იუვენტუსს“ უმასპინძლეს და ერთობ დაბალ, თანაც ულამაზო შეხვედრაში ვერ გაიტანეს და არც გაუშვიათ.

„ინტერი“ რომ იტალიის ჩემპიონი ველარ გახდება, ფაქტია.

„არა უშავს, ამიერიდან ჩემპიონთა ლიგაზე ვიფიქრებთ. იქ მანჩესტერში ერთი გოლი გვჭირდება“ — თქვა მილანელთა მეკარემ ჯანლუკა პალიუკამ.

აი, „პიაჩენცამ“ „ბოლონიას“ 5:0 როგორ მოუგო, გაუგებარია.

**პაპუნა ქედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 23 | 14 | 6 | 3 | 46:22 | +24 | 48 | 11 | 8 | 3 | 0 | 28:9 | +19 | 27 | 12 | 6 | 3 | 3 | 18:13 | +5 | 21 |
| 2 | პარმა | 23 | 12 | 8 | 3 | 43:22 | +21 | 44 | 12 | 7 | 4 | 1 | 22:9 | +13 | 25 | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | +8 | 19 |
| 3 | ფიორენტინა | 23 | 13 | 5 | 5 | 38:20 | +18 | 44 | 12 | 10 | 2 | 0 | 24:4 | +20 | 32 | 11 | 3 | 3 | 5 | 14:16 | -2 | 12 |
| 4 | მილანი | 23 | 12 | 7 | 4 | 34:25 | +9 | 43 | 12 | 9 | 2 | 1 | 23:12 | +11 | 29 | 11 | 3 | 5 | 3 | 11:13 | -2 | 14 |
| 5 | უდინეზე | 23 | 10 | 6 | 7 | 31:29 | +2 | 36 | 12 | 7 | 4 | 1 | 19:8 | +11 | 25 | 11 | 3 | 2 | 6 | 12:21 | -9 | 11 |
| 6 | ინტერი | 23 | 10 | 5 | 8 | 43:30 | +13 | 35 | 11 | 8 | 1 | 2 | 33:14 | +19 | 25 | 12 | 2 | 4 | 6 | 10:16 | -6 | 10 |
| 7 | რომა | 23 | 9 | 8 | 6 | 43:31 | +12 | 35 | 12 | 9 | 3 | 0 | 29:8 | +21 | 30 | 11 | 0 | 5 | 6 | 14:23 | -9 | 5 |
| 8 | იუვენტუსი | 23 | 9 | 7 | 7 | 26:23 | +3 | 34 | 11 | 7 | 2 | 2 | 15:7 | +8 | 23 | 12 | 2 | 5 | 5 | 11:16 | -5 | 11 |
| 9 | ბოლონია | 23 | 8 | 8 | 7 | 28:25 | +3 | 32 | 12 | 5 | 4 | 3 | 19:12 | +7 | 19 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:13 | -4 | 13 |
| 10 | ვენეცია | 23 | 7 | 7 | 9 | 22:30 | -8 | 28 | 12 | 6 | 4 | 2 | 14:10 | +4 | 22 | 11 | 1 | 3 | 7 | 8:20 | -12 | 6 |
| 11 | ბარი | 23 | 5 | 12 | 6 | 26:31 | -5 | 27 | 12 | 4 | 7 | 1 | 12:9 | +3 | 19 | 11 | 1 | 5 | 5 | 14:22 | -8 | 8 |
| 12 | კალიარი | 23 | 7 | 5 | 11 | 31:35 | -4 | 26 | 11 | 6 | 3 | 2 | 20:12 | +8 | 21 | 12 | 1 | 2 | 9 | 11:23 | -12 | 5 |
| 13 | პერუჯა | 23 | 7 | 4 | 12 | 30:42 | -12 | 25 | 11 | 7 | 2 | 2 | 22:15 | +7 | 23 | 12 | 0 | 2 | 10 | 8:27 | -19 | 2 |
| 14 | სამპდორია | 23 | 5 | 8 | 10 | 22:40 | -18 | 23 | 11 | 4 | 6 | 1 | 14:10 | +4 | 18 | 12 | 1 | 2 | 9 | 8:30 | -22 | 5 |
| 15 | პიაჩენცა | 23 | 5 | 7 | 11 | 32:38 | -6 | 22 | 11 | 5 | 4 | 2 | 23:15 | +8 | 19 | 12 | 0 | 3 | 9 | 9:23 | -14 | 3 |
| 16 | სალერნიტანა | 23 | 5 | 5 | 13 | 23:39 | -16 | 20 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 16 | 11 | 1 | 1 | 9 | 8:24 | -16 | 4 |
| 17 | ვიჩენცა | 23 | 4 | 8 | 11 | 12:29 | -17 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 9:11 | -2 | 16 | 12 | 0 | 4 | 8 | 3:18 | -15 | 4 |
| 18 | ემპოლი* | 23 | 3 | 8 | 12 | 19:39 | -20 | 15 | 11 | 3 | 3 | 5 | 12:16 | -4 | 12 | 12 | 0 | 5 | 7 | 7:23 | -16 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 18 |
| კრესპო (პარმა) | 15 |
| სინიორი (ბოლონია) | 13 |

### XXIV ტური

7 მარტი

პერუჯა - ემპოლი (0:2)
ბარი - ინტერი (3:2)
სამპდორია - იუვენტუსი (0:2)
ფიორენტინა - პარმა (0:2)
მილანი - პიაჩენცა (1:1)
უდინეზე - რომა (0:4)
ლაციო - სალერნიტანა (0:1)
ბოლონია - ვენეცია (2:0)
კალიარი - ვიჩენცა (1:2)

## სერია B

XXIV ტური

### რეჯანა 0:2 პესკარა

0:1, 0:2 პალუმბო (8, 76)
რეჯანა: აბატე, პონცო, ძინი (პარიზი 46), კევოლი, სკარპონი, ნერი, ნემსაძე, კაპელაჩი (ჯენტილინი 64), კარბონე, მასპერო (ალეგრეტი 46), მარჯოტა

### ჯენოა 6:1 ტერნანა

1:0 ფრანკიოზო (6), 2:0 მანეტი (18), 3:0 ნაპი (24), 3:1 დალ მორო (29), 4:1 ფრანკიოზო (36), 5:1 ნაპი (54), 6:1 მაროკო (61)

### ფ. ანდრია 1:0 კოზენცა

1:0 კორადი (68)

### ჩეზენა 1:0 ლუკეზე

1:0 კომანდინი (18პ)

### ბრეშა 0:1 კიევო

0:1 ფრანჩესკინი (60)

### ატალანტა 1:1 ნაპოლი

0:1 სკაპოლო (62), 1:1 კაჩა (76)

### რეჯინა 1:1 რავენა

1:0 არტიკო (44პ), 1:1 კრისტანტე (58)

### ვერონა 5:2 კრემონეზე

1:0 პიოვანელი (8პ), 2:0 ბროსკი (12), 2:1 კოლაუტო (20), 3:1 კამარატა (73პ), 4:1 გუიდონი (81), 4:2 ჯირარდელო (85პ), 5:2 გუიდონი (92)

### ტრევიზო 3:1 მონცა

1:0 ბეგეტო (1), 2:0 ლანტინოტი (3), 2:1 კორდონე (40), 3:1 მოსკელი (62)

### ტორინო 3:1 ლეჩე

1:0 ფერანტე (31პ), 2:0, 3:0 არტისტიკო (53, 60), 3:1 კასალე (62პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 24 | 14 | 7 | 3 | 43:19 | 49 |
| ტრევიზო | 24 | 12 | 10 | 2 | 38:22 | 46 |
| ტორინო | 24 | 13 | 5 | 6 | 37:20 | 44 |
| ატალანტა | 24 | 10 | 9 | 5 | 29:19 | 39 |
| ბრეშა | 24 | 10 | 9 | 5 | 27:18 | 39 |
| ლეჩე | 24 | 11 | 6 | 7 | 29:22 | 39 |
| რავენა | 24 | 10 | 8 | 6 | 33:30 | 38 |
| რეჯინა | 24 | 9 | 10 | 5 | 27:21 | 37 |
| პესკარა | 24 | 10 | 6 | 8 | 31:29 | 36 |
| ნაპოლი | 24 | 8 | 10 | 6 | 24:21 | 34 |
| ჯენოა | 24 | 8 | 6 | 10 | 34:32 | 30 |
| კიევო | 24 | 7 | 8 | 9 | 22:29 | 29 |
| მონცა | 24 | 7 | 7 | 10 | 20:26 | 28 |
| ჩეზენა | 24 | 6 | 8 | 10 | 21:27 | 26 |
| კოზენცა | 24 | 7 | 5 | 12 | 24:34 | 26 |
| ტერნანა | 24 | 4 | 12 | 8 | 21:33 | 24 |
| ლუკეზე | 24 | 4 | 9 | 11 | 18:25 | 21 |
| ფ. ანდრია | 24 | 5 | 6 | 13 | 15:31 | 21 |
| რეჯანა | 24 | 3 | 10 | 11 | 22:33 | 19 |
| კრემონეზე | 24 | 3 | 7 | 14 | 23:47 | 16 |

# ბარსელონა: დაგვეხსენ, კლაუდიო!

## ესპანეთი

XXIV ტური

### ბარსელონა 2:4 ვალენსია

0:1 ილიე (4), 1:1 კლუივერტი (30), 1:2 კ. ლოპესი (37), 2:2 კლუივერტი (79), 2:3 ანგულო (82), 2:4 კ. ლოპესი (87)
ბარსელონა: ჰესპი, აბელარდო, სერხი, ფ. დე ბური, გვარდიოლა (სელადესი 75), ოსკარი (ზენდენი 60), კოკუ, რ. დე ბური (ანდერსონი 83), ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, როში (შვარცი 86), ხუანფრანი (პოპესკუ 46), მენდიეტა, ფარინოსი, კ. ლოპესი, ილიე (სორია 63), ანგულო
გაფრთხილება: აბელარდო, კოკუ, კლუივერტი, მენდიეტა, კ. ლოპესი
მსაჯი: გარსია არანდა

### ბეტისი 3:2 რეალი

1:0 ფერნანდო (13), 1:1 რაული (29), 2:1 კანიასი (68), 2:2 მორიენტესი (75), 3:2 იტო (90)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მერინო, ოტერო, ფილიპესკუ, ალექსისი (იტო 61), კანიასი, ბენხამინი, ფერნანდო (გალვესი 70), ფინიდი, დენილსონი (ოლი 78)
რეალი: ილგნერი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, იერო, ივან კამპო (სავიო 70), კარანკა (სანჩისი 9), ზეედორფი, ხაიმე, რაული (კარემბუ 87), მიატოვიჩი, მორიენტესი
გაფრთხილება: ოტერო, ფილიპესკუ, იტო, პანუჩი, იერო, ხაიმე
გაძევება: პანუჩი
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### ბილბაო 0:0 სელტა

ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა (რობერტო რიოსი 53), ლარასაბალი, ფერეირა (ხორხე პერესი 76), ლარაინსარი, ი. გერერო, კარლოს გარსია, ალკისა, ხავი გონსალესი (ესკუერო 74), ხ. ეჩებერია, ურსაისი
სელტა: დუტრუელი, კასერესი, ოსკარ ვალესი, ეგენი, ჯოროვიჩი, ხოსემა, მაზინიო, კარპინი (კაირესი 80), რევივო (ტომასი 67), პენევი, სანჩესი (ფრან კაინოსი 90)
გაფრთხილება: ლარაინსარი, კარლოს გარსია, ჯოროვიჩი, ხოსემა, კარპინი, ფრან კაინოსი
მსაჯი: ბრიტო არსეო

### რასინგი 2:0 ალავესი

1:0 მუნიტისი (40), 2:0 ვიქტორ სანჩესი (82პ)
რასინგი: სებალოსი, მელბერგი, ნერუ, არსენო, ხელი (სალვა 44), ტაისი, ისმაელი, ვიქტორი, შუსტიკოვი (ვივარ დორადო 85), ბესჩასტნიხი (მაგალანეში 67), მუნიტისი
ალავესი: ტიტო, ივან როჩა (ბერტისი 79), კარმონა, ბელსუე, ხოსეტე, პაბლო გომესი (ასკოიტია 51, ვიტამინა სანჩესი 63), გერარდი, დესიო, მანიო, სალინასი, ვიქტორ სანჩესი
გაფრთხილება: ვიქტორი, შუსტიკოვი, ბესჩასტნიხი, ივან როჩა, კარმონა
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### ატლეტიკო 0:0 ოვიედო

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, ხელი, სერენა, სოლარი (ლარდინი 51), ბარახა, ვენტურინი (მენა 65), ჟუნინიო, ვალერონი, ხოსე მარი (ტევენე 84)
ოვიედო: ესტებანი, მანელი, პომპეი (ხაიმე 54), ბანიო, პაულო ბენტო, ონოპკო, ივან ანია, ესკურსა, ნადი, დელი ვალდესი (ფაბიო პინტუ 84), დუბოვსკი (რაბანიროვი 78)
გაფრთხილება: ბარახა, ვალერონი, ნადი, დელი ვალდესი, დუბოვსკი
გაძევება: ბარახა
მსაჯი: ჯაპონ სევილია

### ვალიადოლიდი 4:1 სალამანკა

1:0 პეტერნაკი (38პ), 1:1 ჯოვანელა (48), 2:1 ტურიელი (52), 3:1, 4:1 ალბერტო (82, 87)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, პენია, ტორეს გომესი, ჩემა (კამინერო 73), ვისკაინო, ტურიელი (ემილიო 86), აროლდ ლოსანო, პეტერნაკი, ვიქტორი (ალბერტო 76)
სალამანკა: სტელეა, კორინო, პავლიჩიჩი, ლანა, ნუნო ლუისი, მუნტეანუ (აისპურუა 38), ედუ ალონსო, როხერიო (კარდეტი 62), ჯოვანელა, ველისკა, კასარტელი
გაფრთხილება: ვიქტორი, კასარტელი
გაძევება: სტელეა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### ვილიარეალი 2:2 ესპანიოლი

1:0 ალფარო (39), 2:0 ალბერტო (77), 2:1 დე ლუკასი (79), 2:2 ივან ელგერა (90)
ვილიარეალი: პალოპი, ტელესი, პასკუალი, ტაშევსკი, იორდაჩე (აიტორ არეგი 51), რობერტო, ალბელდა, კრაიოვეანუ (კრისტიანსენი 81), ალფარო (დიასი 65), ალბერტო, მოიზესი
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო (გალკა 46), სერხიო, ივან ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, მარტინ პოსე, ნან რიბერა (დარიო სილვა 46), ბენიტესი (დე ლუკასი 58)
გაფრთხილება: პასკუალი, ალბელდა, მოიზესი, ნანდო, გალკა, ივან ელგერა
გაძევება: პასკუალი, ალბელდა, მოიზესი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

### მალიორკა 1:1 ტენერიფე

1:0 დანი (14), 1:1 ალექსისი (41)
მალიორკა: როა, სივიერო, ფერნანდო ნინიო, მარსელინო, ოლაისოლა, პინედა (კარერასი 80), პაუნოვიჩი, სტანკოვიჩი, ფ. სოლერი, დანი, ბიაჯინი (კარლოსი 46)
ტენერიფე: მონო მონტოია, ლორენი, ალექსისი, ლუსენჰოფი, ხავი ლოპესი, ბასავილბასო, დანი, ჩანო, ხუანელე (ფელიპე 88), პინილია (იოკანოვიჩი 89), მაკაი (დომინგუში 90)
გაფრთხილება: სტანკოვიჩი, კარლოსი, ალექსისი, ბასავილბასო
გაძევება: ჩანო
მსაჯი: დუდენ იბანესი

### დეპორტივო 0:1 სოსიედადი

0:1 იდიაკესი (90)
დეპორტივო: სონგო, არმანდო, რომერო, შურერი, მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო, ზიანი (ჯალმინია 56), დონატო, პაულეტა (მანხარინი 78), ტურუ ფლორესი
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, გომესი, პიკაბეა, ანტია, ლოპეს რეკარტე, დე პაულა (ცვიტანოვიჩი 75), იარეგი, არამბურუ (ფუენტესი 61), სა პინტუ (იდიაკესი 75), კოვაჩევიჩი
გაფრთხილება: ალბერტო, სა პინტუ
მსაჯი: ესკინას ტორესი

### სარაგოსა 3:1 ესტრემადურა

1:0 მილოშევიჩი (34), 2:0 გარიტანო (55), 2:1 ველამასანი (61პ), 3:1 მარკოს ვალესი (78)
სარაგოსა: მონდრაგონი, პაკო, პაბლო, აგუადო, სუნდგრენი (სოლანა 66), გარიტანო (არაგონი 66), ხოსე იგნასიო (გ. ლოპესი 66), კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, მარკოს ვალესი
ესტრემადურა: ამადორი, ფელიქსი, კალა, ოსკარი, დავიდი, პოლი (მანუელი 59), ვიოდო, ტონი ველამასანი (პედრო ხოსე 73), ტორილი (დურე 52), ესპოზიტო, გაბრიჩი
გაფრთხილება: მანუელი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი



REUTERS ბარსელონადან

ბარსელონა — ვალენსია 2:4. არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა „ბარსელონას" სამ მატჩში ექვსი გოლი გაუტანა

ტოშაკს ველოდით, იგი კი არ გამოჩნდა. „რეალს", სევილიაში „ბეტისთან" სათამაშოდ რომ ჩასულიყო, ახალი მწვრთნელი კი არა, ჰიდინკის თანაშემწე თავკაცობდა. უელსელი ჯონ ტოშაკი ამ დროს ტრიბუნაზე მჯდარა. თამაშს ზემოდან ადევნებდა თვალყურს. უეჭველია, კარგს ვერაფერს დაინახავდა. როგორც ჩანს, ბრიტანელი მწვრთნელის ხელმეორე დაბრუნება „რეალში" ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრისას მოხდება. არავინ იცის, როგორ დასრულდება „რეალის" და კიევის „დინამოს" პაექრობა. ფაქტია, რომ ფავორიტად შერაცხულ მადრიდელებს უკრაინელთა დამარცხება ძალიან გაუჭირდებათ.

ევროტურნირებამდე კი „რეალი" ესპანეთის ჩემპიონატში მარცხდება. თან ზედიზედ მესამედ! აგებს „ბეტისთან", რომელთანაც სამეფო კლუბი პირველ წრეში, მადრიდშიც დამარცხდა.

ძალიან ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ჩვენდა ჭირად, მხოლოდ ორი მათგანი გამოვიყენეთო — იტყვის მატჩის შემდგომ ტოშაკი. ამას არაფერს დააყოლებს და ავტობუსში გაუჩინარდება. ახალ თავკაცს ახალი არაფერი უთქვამს. ის, რომ „რეალი" ქმნის და ვერ იყენებს, ძველი ამბავია. წინაალმდეგ შემთხვევაში, პრიმერა დივიზიონში ზედიზედ სამ მატჩს არ წააგებდა. ნათქვამია, ახალი ცოცხი კარგად გვისო. სამეფო კლუბში ძალიან ბევრი ჭუჭყია, იქაურობას კი სისუფთავისა ჯერ არაფერი ეტყობა. როდემდე გაგრძელდება ასე, არავინ იცის.

საერთოდ, თუ დავაკვირდებით, ეს ტური ლიდერთათვის არ იყო მაინცდამაინც კარგი. „რეალმა" წააგო, „დეპორტივომაც". „მალიორკამ", „სელტამ" და „ბილბაომ" მხოლოდ ქულა მოიპოვეს. დამარცხდა ჩემპიონი „ბარსელონაც", რომლისთვისაც „ვალენსიასთან" შინ წაგებული მატჩი წლეულს ჩემპიონატში პირველი მარცხი გახლდათ.

გულშემატკივრები „ბარსელონა" — „ვალენსიას" მატჩს მოუთმენლად ველოდით. სხვა თუ არაფერი, ეს გუნდები ბოლო ათ დღეში მესამედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და „ბარსელონას" ერთხელაც ვერ მოეგო. მეტიც, ფრედაც ვერ დაესრულებინა მატჩი.

„ბარსელონას" ქომაგები იმედოვნებდნენ, რომ კატალონიელები, ბოლოს და ბოლოს, დაამარცხებდნენ „ვალენსიას". კამპნოუელთა ერთმა თავგადაკლუბის ქომაგმა ისიც მითხრა, მაგ მატჩის შედეგი წინასწარ ვიცი, ბარსელონელებმა „ვალენსიას" თასის ორივე მატჩი „მისცეს", ახლა „ვალენსია" ვალს დააბრუნებსო. მან იმდენად დამაჯერებლად წარმოთქვა ეს სიტყვები, კინაღამ შევცდი და ვირწმუნე, მაგრამ განა შეიძლება, ესპანეთის ჩემპიონატზე საუბრობდე და ალება-მიმცემობის თემა წამოჭრა? შეიძლება, ოღონდ ხუმრობით, „ბარსელონა" — „ვალენსიას" შეხვედრაში კი სახუმარო არაფერი იყო.

შაბათის მატჩს ბევრი რამ უსწრებდა წინ. „ვალენსიას" „ბარსელონა" ორჯერ დაემარცხებინა. ორჯერვე თასზე და ორივე შეხვედრაში საკმაოდ დაძაბულ ორთაბრძოლაში. 4:3 და 3:2 თავისთავად მიუთითებს შეხვედრის მხვლელობაზე. ნუთუ კატალონიელებს „ვალენსია" არ უნდა დაემარცხებინათ? ალბათ, კი, მაგრამ მაინც რატომ?

შეხვედრა დაიწყო თუ არა, ნათელი გახდა, რომ „ვალენსია" არავისთვის არაფრის „მიმცემი" არ იყო. სტუმართა რუმინელმა ლეგიონერმა, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ულამაზესი გოლის ავტორმა ადრიან ილიემ მეოთხე წუთზევე გახსნა ანგარიში. „გალათასარაის" ყოფილი თავდამსხმელის მიერ დარტყმულმა ბურთმა ჰესპს ჩაუარა და კატალონიელთა კარის ბადე შეარხია.

ტაიმის შუაგულში პატრიკ კლუივერტმა გაათანაბრა — 1:1.

და ჰორიზონტზე გამოჩნდა კლაუდიო ლოპესი, ფეხბურთელი, რომელიც ლუის ვან გაალის გუნდის რისხვად იქცა. ალბათ, იშვიათად მომხდარა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, როცა ერთი ფეხბურთელი ათი დღის განმავლობაში ერთ კლუბს სამ შეხვედრაში დაპირისპირებია და ყველა შემთხვევაში ორ-ორჯერ დაულაშქრავს მეტოქის კარი. კლაუდიო ლოპესმა ეს შეძლო. ბარსელონელებმა არგენტინელი თავდამსხმელი ვერ გააჩერეს ამ სიტყვის რა გინდა რა მნიშვნელობით, ვერც ჩემპიონატის და ვერც სათასო მატჩებში.

37-ე წუთზე „ვალენსია" კვლავ დაწინაურდა და ბურთი სწორედ „პოხოდ" ცნობილმა კლაუდიო ლოპესმა შეაგდო. ამას მოჰყვა ბარსელონელთა მეორე გოლი, შემდეგ ისევ სტუმრები დაწინაურდნენ და მაშინ, როცა გულშემატკივრებს ანგარიში საბოლოო ეგონათ, ისევ არგენტინელმა თავდამსხმელმა იხეირა. კვლავ დუბლი, ზედიზედ მესამე და სამ მატჩში მეექვსე გოლი „ბარსელონას" კარში. დამერწმუნებით ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება.

განვლილმა სამმა შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ „ბარსელონას" უკანახაზელებმა ლოპესთან გამკლავება ვერ შეძლეს. ვერც ფრენკ დე ბურმა, ვერც სერხიმ, ვერც აბელარდომ და ვერც მათ, ვინც არგენტინელი ფორვარდის წინააღმდეგ ითამაშა, მას ვერაფერი დააკლეს. თავად კი შერცხვნენ. 25 წლის სამხრეთამერიკელმა თავდამსხმელმა კატალონიელები აშკარად დაჩაგრა.

საკითხს ძალიან ნუ გავამწვავებთ და ცოტა ვიხუმროთ: „ბარსელონამ" ვალენსიელებთან განვლილი სამი შეხვედრიდან ორი მოიგო, ერთიც ფრედ დაასრულა. როგორ? უბრალოდ — თუ გუნდს ამარცხებდა, კლაუდიო ლოპესთან პირწმინდად აგებდა: კატალონიელებმა სამივე მატჩი ასეთი ანგარიშებით წააგეს — 2:3, 3:4, 2:4. თუ ამ თამაშებს არგენტინელის ორ-ორ გოლს გამოვაკლებთ, გამოვა, რომ ლუის ვან გაალის გუნდმა პირველ შეხვედრაში „ვალენსია" 2:1 დაამარცხა, მეორეში 3:2, ხოლო მესამედ „დაინდო" მეტოქე და ფრედ 2:2 ეთამაშა. თავის მხრივ ლოპესმა 6:0 მოუგო „ბარსელონას". ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ის, რომ კატალონიელებმა ლოპესი ვერ გააჩერეს და მისგან ექვსი გოლი გაუშვეს, სახუმარო ნამდვილად არაა.

— ჩვენ არ ვიყავით მზად ლოპესთან საბრძოლველად. იგი შესანიშნავი თავდამსხმელია და დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონს გაცილებით ძლიერ კლუბში შეხვდება — განაცხადა ლუის ვან გაალმა. სხვათა შორის, „ბარსელონას" მწვრთნელს 80-იან წლებში თბილისშიც უთამაშია. მაშინ იგი როტერდამის „სპარტას" კაპიტნობდა.

ერთიც: ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ბარსელონას მეორე კლუბი „ესპანიოლი" მორიგ ტურში „ვალიადოლიდს" ცარიელ სტადიონზე უმასპინძლებს. გუნდი გულშემატკივართა ხულიგნობის გამო დაისაჯა. თასზე „ატლეტიკოსთან" შინ 1:4 წაგებული შეხვედრის შემდეგ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აურზაური ატეხილა და...

**ლაშა გოდუაძე**

## მეორე დივიზიონი

XXVI ტური

### ტოლედო 0:1 რაიო

0:1 ლორენსი (74)

### ბარსელონა B 1:2 ლეიდა

0:1 რადულოვიჩი (38), 1:1 გაბრი (58), 1:2 ესკოდა (84)

### ოსასუნა 2:1 კომპოსტელა

0:1 სიონი (44), 1:1 სიგანდა (60), 2:1 პალაციოსი (63)

### ლას პალმასი 1:1 მალაგა

1:0 სოკორო (81), 1:1 კატანია (90)

### ლეგანესი 3:0 ორსენსე

1:0, 2:0, 3:0 კოდინა (4, 44, 79)

### სპორტინგი 3:2 მალიორკა B

1:0 პეროვიჩი (4), 2:0 ჩერიშევი (7), 2:1 ტრისტანი (44), 3:1 პეროვიჩი (60), 3:2 რამონი (65)

### ეიბარი 3:1 ატლეტიკო B

0:1 დიკა (62), 1:1 იტურინო (73), 2:1 ჩარკოსი (79 ს.კ.), 3:1 კიკო (85)

### ალბასეტე 2:0 ლოგრონიესი

1:0 ვულევიჩი (6), 2:0 ლუკე (59)

### ბადახოსი 1:0 სევილია

1:0 რევილა (76)

### ერკულესი 0:0 ნუმანსია

### მერიდა 0:0 რეკრეატივო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაიო | 26 | 13 | 9 | 4 | 39:30 | 48 |
| ლას პალმასი | 26 | 12 | 10 | 4 | 39:20 | 46 |
| მალაგა | 26 | 12 | 10 | 4 | 40:28 | 46 |
| ნუმანსია | 26 | 13 | 6 | 7 | 44:23 | 45 |
| ოსასუნა | 26 | 12 | 9 | 5 | 34:21 | 45 |
| სევილია | 26 | 11 | 7 | 8 | 33:31 | 40 |
| ტოლედო | 26 | 11 | 7 | 8 | 32:30 | 40 |
| მერიდა | 26 | 10 | 9 | 7 | 30:21 | 39 |
| ატლეტიკო B | 26 | 10 | 9 | 7 | 40:33 | 39 |
| ლეიდა | 26 | 10 | 9 | 7 | 2825 | 39 |
| კომპოსტელა | 26 | 9 | 10 | 7 | 34:27 | 37 |
| რეკრეატივო | 26 | 10 | 7 | 9 | 23:20 | 37 |
| ბადახოსი | 26 | 9 | 7 | 10 | 22:21 | 34 |
| ლოგრონიესი | 26 | 8 | 9 | 9 | 32:36 | 33 |
| ალბასეტე | 26 | 8 | 8 | 10 | 19:23 | 32 |
| მალიორკა B | 26 | 9 | 4 | 13 | 30:36 | 31 |
| ლეგანესი | 26 | 7 | 9 | 10 | 26:31 | 30 |
| სპორტინგი | 26 | 7 | 8 | 11 | 26:35 | 29 |
| ეიბარი | 26 | 7 | 4 | 15 | 20:36 | 25 |
| ერკულესი | 26 | 6 | 6 | 14 | 22:40 | 24 |
| ბარსელონა B | 26 | 5 | 5 | 16 | 26:43 | 20 |
| ორენსე | 26 | 4 | 4 | 18 | 20:49 | 16 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 24 | 13 | 5 | 6 | 50:29 | +21 | 44 | 13 | 8 | 2 | 3 | 35:19 | +15 | 26 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:10 | +5 | 18 |
| 2 | მალიორკა | 24 | 12 | 6 | 6 | 26:16 | +10 | 42 | 13 | 9 | 3 | 1 | 17:5 | +12 | 30 | 11 | 3 | 3 | 5 | 9:11 | -2 | 12 |
| 3 | ვალენსია | 24 | 12 | 4 | 8 | 36:25 | +11 | 40 | 11 | 7 | 2 | 2 | 18:7 | +11 | 23 | 13 | 5 | 2 | 6 | 18:18 | 0 | 17 |
| 4 | სელტა | 24 | 10 | 9 | 5 | 44:27 | +19 | 39 | 11 | 7 | 4 | 0 | 28:10 | +18 | 25 | 13 | 3 | 5 | 5 | 16:17 | -1 | 14 |
| 5 | დეპორტივო | 24 | 10 | 8 | 6 | 33:26 | +7 | 38 | 13 | 8 | 3 | 2 | 23:11 | +12 | 27 | 11 | 2 | 5 | 4 | 10:15 | -5 | 11 |
| 6 | ბილბაო | 24 | 11 | 5 | 8 | 30:29 | +1 | 38 | 12 | 6 | 4 | 2 | 18:12 | +6 | 22 | 12 | 5 | 1 | 6 | 12:17 | -5 | 16 |
| 7 | რეალი | 24 | 11 | 4 | 9 | 46:39 | +7 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 26:15 | +11 | 20 | 13 | 5 | 2 | 6 | 20:23 | -3 | 17 |
| 8 | სოსიედადი | 24 | 10 | 6 | 8 | 33:29 | +4 | 36 | 12 | 8 | 3 | 1 | 23:9 | +14 | 27 | 12 | 2 | 3 | 7 | 10:20 | -10 | 9 |
| 9 | სარაგოსა | 24 | 10 | 6 | 8 | 35:32 | +3 | 36 | 12 | 6 | 2 | 4 | 21:18 | +3 | 20 | 12 | 4 | 4 | 4 | 14:14 | 0 | 16 |
| 10 | ოვიედო | 24 | 9 | 8 | 7 | 31:33 | -2 | 35 | 12 | 6 | 3 | 3 | 14:11 | +3 | 21 | 12 | 3 | 5 | 4 | 17:22 | -5 | 14 |
| 11 | ბეტისი | 24 | 9 | 7 | 8 | 25:28 | -3 | 34 | 12 | 6 | 3 | 3 | 14:14 | 0 | 21 | 12 | 3 | 4 | 5 | 11:14 | -3 | 13 |
| 12 | ატლეტიკო | 24 | 9 | 6 | 9 | 39:30 | +9 | 33 | 13 | 7 | 4 | 2 | 27:8 | +19 | 25 | 11 | 2 | 2 | 7 | 12:21 | -9 | 8 |
| 13 | ესპანიოლი | 24 | 7 | 11 | 6 | 27:26 | +1 | 32 | 11 | 4 | 6 | 1 | 12:9 | +3 | 18 | 13 | 3 | 5 | 5 | 15:17 | -2 | 14 |
| 14 | რასინგი | 24 | 7 | 8 | 9 | 30:32 | -2 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 19:14 | +5 | 18 | 12 | 2 | 5 | 5 | 11:18 | -7 | 11 |
| 15 | ვალიადოლიდი | 24 | 8 | 5 | 11 | 25:30 | -5 | 29 | 13 | 7 | 2 | 4 | 17:11 | +6 | 23 | 11 | 1 | 3 | 7 | 8:19 | -11 | 6 |
| 16 | ვილიარეალი | 24 | 7 | 7 | 10 | 30:36 | -6 | 28 | 13 | 5 | 5 | 3 | 20:16 | +4 | 20 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:20 | -10 | 8 |
| 17 | სალამანკა | 24 | 6 | 4 | 14 | 20:40 | -20 | 22 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:11 | +5 | 21 | 13 | 0 | 1 | 12 | 4:29 | -25 | 1 |
| 18 | ალავესი | 24 | 5 | 6 | 13 | 20:37 | -17 | 21 | 12 | 4 | 4 | 4 | 12:10 | +2 | 16 | 13 | 1 | 2 | 9 | 8:27 | -19 | 5 |
| 19 | ესტრემადურა | 24 | 5 | 6 | 13 | 16:38 | -22 | 21 | 11 | 4 | 1 | 6 | 8:14 | -6 | 13 | 13 | 1 | 5 | 7 | 8:24 | -16 | 8 |
| 20 | ტენერიფე | 24 | 3 | 11 | 10 | 22:36 | -14 | 20 | 12 | 1 | 7 | 4 | 10:15 | -5 | 10 | 12 | 2 | 4 | 6 | 12:21 | -9 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 14 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 13 |
| რივალდო (ბარსელონა) | 13 |

### XXV ტური

7 მარტი

ალავესი - მალიორკა (1:2)
ტენერიფე - ატლეტიკო (0:2)
ოვიედო - დეპორტივო (0:4)
სოსიედადი - ვილიარეალი (1:1)
ესპანიოლი - ვალიადოლიდი (1:2)
სალამანკა - ბარსელონა (1:1)
ვალენსია - ბილბაო (0:2)
სელტა - ბეტისი (3:0)
რეალი - სარაგოსა (4:3)
ესტრემადურა - რასინგი (1:3)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## ჰოლანდია

XXII ტური

**ეინდჰოვენი 2:0 ბრედა**

1:0 ვან ნისტელროოი (26), 2:0 ვან დერ ვერდენი (61)

ეინდჰოვენი: ლოდევაიკსი, ვან დერ ვერდენი, დირქსი, ნიკიფოროვი, ოიენი, ბრუგინკი, ვან დერ დოლენი (კოლკა 62), ფუქსი, ხოხლოვი (ლუციუსი 74), ნილისი, ვან ნისტელროოი (დე ბილდე 82)

ბრედა: კარელსე, ვან ასი, ცვინენბერგი, ბიში, გუდელი, ჰანსენი (მილიჩიჩი 65), კერსტიმი, შროიდერი, შუკოვი, სტიუარტი, ა. არველაძე (ვან დერ ვეერტი 65)

**აიაქსი 5:1 სპარტა**

0:1 ნიუვენბერგი (4), 1:1, 2:1 შ. არველაძე (27, 30), 3:1 გორი (70), 4:1 ჰუქსტრა (81), 5:1 გრონკიაერი (86)

აიაქსი: ვან დერ სარი, მელხიოტი, ბლინდი (რუდი 75), მენსა, სიერი, გორი, ლიტმანენი (კნოპერი 83), ვიჩხე, გრონკიაერი, შ. არველაძე (ვამბერტო 46), ჰუქსტრა

**ფეიენოორდი 2:1 ჰერენვენი**

1:0 ტომასონი (48), 1:1 სამარჯიჩი (85), 2:1 ტომასონი (90)

**ნაიმეგენი 1:1 მაასტრიხტი**

0:1 ვრიესდე (2), 1:1 რენფურმი (90)

**როდა 8:2 ალკმაარი**

1:0 პეეტერსი (5), 2:0 ჩუჩანგი (6), 3:0 ნიგაარდი (23), 4:0 პეეტერსი (25), 5:0 ვან უდტი (29), 6:0 ვან დერ ლუერი (35), 7:0 ნიგაარდი (53), 8:0 ვრედე (66პ), 8:1 ბუსატა (78), 8:2 ვიკერი (80)

**ტილბურგი 1:0 უტრეხტი**

1:0 ბომბარდა (68)

**კამბური 2:2 ვალვაიკი**

0:1 როიზერი (35), 1:1 ვან დერ ჰეიდენი (35), 2:1 ვან რიისვაიკი (42), 2:2 კუროვიჩი (73)

შოთამ ჯერ გააყაიმა, მერე კი დააწინაურა კიდეც „აიაქსი". ქართველმა თავდამსხმელმა, რომელსაც თითქმის მთელი სეზონის მანძილზე ტრავმა სტანჯავდა, როგორც იქნა, ჩვეულად ითამაშა და ორი გოლიც გაიტანა. საბოლოოდ მის „დუბლს" ამსტერდამელებმა კიდევ სამი გოლი დაუმატეს და მეტოქე გაანადგურეს კიდეც.

მეოთხე წუთზე „აიაქსი" ჩამორჩა — ჯონ ნიუვენბერგმა ვან დერ სარის კარის დალაშქვრით „სპარტა" დააწინაურა. სხვათა შორის, როტერდამელებმა ანგარიში დარენ ფერგიუსონის, „მანჩესტერ იუნაიტედის" შოტლანდიელი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონის ვაჟის ძალისხმევით გახსნეს. მერე რაც მოხდა, თავშიც ვთქვით.

მიუხედავად იმისა, რომ შოთა არველაძის „აიაქსმა" მეტოქე გაანადგურა, მდგომარეობა მაინც ვერ გაიუმჯობესა — ჰოლანდიის ჩემპიონი და თასის მფლობელი „აიაქსი" ლიდერ „ფეიენოორდს" გვარიანად ჩამორჩება.

„ფეიენოორდმა", 1980-81 წლების სეზონის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში თბილისის „დინამოსგან" ძლეულმა კლუბმა, ძლივს დაამარცხა „ჰერენვენი". როტერდამელთათვის სამი ქულა დანიელი თავდამსხმელის იონ დალ ტომასონის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა განაპირობა. სხვათა შორის, დალ ტომასონი გასულ სეზონში თემურ ქეცბაიას თანაკლუბელი გახლდათ ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედში".

როტერდამის „ფეიენოორდი" ქვეყნის ჩემპიონატს დამაჯერებლად ლიდერობს და, ალბათ, ჩემპიონიც გახდება. ლეო ბენჰაკერის კლუბს ამ სეზონში ერთადერთი წაგება აქვს — „ალკმაართან".

„ალკმაარი", რომელიც მიმდინარე სეზონში ერთადერთი კლუბია, რომელმაც „ფეიენოორდთან" გამარჯვება შეძლო, საშინლად შერცხვა. კერკრადეში „როდამ" 8:2 დაამარცხა მეტოქე, თან პირველ 35 წუთში ექვსი გოლი გაუტანა. რომ არა ალკმაარელთა შეუპოვარი ხასიათი, „როდა" საკლუბო რეკორდსაც დაამყარებდა — აქამდე ყველაზე დიდი ანგარიშით კერკრადელებმა 1963-64 წლების სეზონში იმარჯვეს. მაშინ როდამ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე — 8:1 დაამარცხა.

ირაკლი ილაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 21 | 16 | 4 | 1 | 48:17 | 52 |
| ვიტესი | 22 | 13 | 5 | 4 | 43:27 | 44 |
| როდა | 21 | 12 | 4 | 5 | 44:26 | 40 |
| აიაქსი | 22 | 10 | 8 | 4 | 44:21 | 38 |
| ეინდჰოვენი | 22 | 10 | 7 | 5 | 51:37 | 37 |
| ტვენტე | 23 | 10 | 6 | 7 | 33:31 | 36 |
| ჰერენვენი | 22 | 9 | 8 | 5 | 35:28 | 35 |
| ტილბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 38:37 | 34 |
| ალკმაარი | 22 | 8 | 10 | 4 | 35:35 | 34 |
| უტრეხტი | 22 | 8 | 5 | 9 | 38:38 | 29 |
| ნაიმეგენი | 23 | 7 | 8 | 8 | 32:37 | 29 |
| სიტარდი | 22 | 6 | 6 | 10 | 26:35 | 24 |
| კამბური | 21 | 5 | 7 | 9 | 24:38 | 22 |
| მაასტრიხტი | 22 | 5 | 7 | 10 | 27:37 | 22 |
| გრააფსხაპი | 22 | 4 | 10 | 8 | 21:33 | 22 |
| სპარტა | 22 | 4 | 3 | 15 | 23:46 | 15 |
| ბრედა | 22 | 3 | 4 | 15 | 23:40 | 13 |
| ვალვაიკი | 23 | 2 | 6 | 15 | 24:46 | 12 |

## შოტლანდია

XXVI ტური

**სელტიკი 2:1 დანდი იუნაიტედი**

0:1 დოდსი (25), 1:1 ბარლი (74), 2:1 ლარსონი (78)

**დანდი 0:1 სენტ ჯონსტონი**

0:1 გრანტი (7)

**ჰართსი 0:2 აბერდინი**

0:1 ბერნარდი (53), 0:2 ვინესი (71)

**მოზერველი 1:1 დანფერმლაინი**

1:0 მაკკალოჩი (46), 1:1 ბრიტონი (86)

**კილმარნოკი 0:5 რეინჯერსი**

0:1 მაკკენი (5), 0:2 უოლესი (75), 0:3 იოჰანსონი (85), 0:4, 0:5 უოლესი (87, 90)

ჰენრიკ ლარსონმა კვლავ გაიტანა. ამჯერად სამი და ოთხი არა, მაგრამ ერთი და მუშა. მისმა გოლმა სელტიკისა" და „დანდი იუნაიტედის" შეხვედრის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, ბილი დოდსმა გამოიჩინა თავი. „სელტიკიც" დაცვაში გადასულ მეტოქეს ეკვეთა და დიდი ოფლის ღვრის შემდეგ გამოსტაცა მეტად საჭირო სამი ქულა. ანგარიში ტრავმამოშუშებულმა კრეიგ ბარლიმ გაქვითა, ოთხ წუთში კი შვედმა ლარსონმა გაიბრწყინა და თავისი გუნდი დროებით დაუახლოვა ლიდერ „რეინჯერსს". დროებით იმიტომ, რომ მეორე დღეს, კვირას, „რეინჯერსი" „კილმარნოკს" ეწვია და საქვეყნოდ შეარცხვინა — 5:0 მოუგო.

როგორც იქნა, ძველებურად გაინავარდა გლაზგოელთა ინგლისელმა ფორვარდმა როდ უოლესმა, რომელიც მიმდინარე სეზონის დასაწყისში, სანამ ლარსონი აიწყვეტდა, ბომბარდირთა სიას ედგა სათავეში.

— ძალიან მიხარია, რომ ნავსი გავტეხე. პატარა ჩავარდნა მქონდა, თუმცა იმედი მაქვს, წარუმატებელი პერიოდი უკან ჩამოვიტოვე. რაც შეეხება „რეინჯერსს", დარწმუნებული ვარ, მის ჩემპიონობაში. ჩვენი შეჩერება ფანტასტიკის სფეროდან გახლავთ — თქვა იმედიანად „კილმარნოკის" კარში სამი გოლის გამტანმა უოლესმა.

შედეგად „რეინჯერსი" კვლავ პირველია და კვლავ 10 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ჩემპიონ „სელტიკს". კარგა ხანს ლიდერებში „მოსეირნე" „კილმარნოკი" კი მეოთხე საფეხურზე დაქვეითდა და წინ სტუმრად „დანდის" მძლეველი „სენტ ჯონსტონი" გაუშვა.

ნოდარ ძასრაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 26 | 18 | 5 | 3 | 61:22 | 59 |
| სელტიკი | 26 | 14 | 7 | 5 | 62:24 | 49 |
| სტ. ჯონსტონი | 26 | 11 | 9 | 6 | 32:33 | 42 |
| კილმარნოკი | 25 | 11 | 8 | 6 | 31:20 | 41 |
| მოზერველი | 26 | 7 | 9 | 10 | 25:38 | 30 |
| აბერდინი | 26 | 8 | 6 | 12 | 29:43 | 30 |
| დანდი | 26 | 7 | 6 | 13 | 22:43 | 27 |
| დანდი იუნ. | 26 | 6 | 8 | 12 | 27:31 | 26 |
| ჰართსი | 26 | 6 | 6 | 14 | 22:38 | 24 |
| დანფერმლაინი | 25 | 2 | 14 | 9 | 19:38 | 20 |

## ტაილანდის მეფის თასის გათამაშება



REUTERS

ბრაზილია — ჩრდ. კორეა 7:1. როდრიგო გრალმა (№9) აზიელებს მეოთხე გოლი გაუტანა

ფინალი

**ბრაზილია 7:1 ჩრდ. კორეა**

1:0 მორეირა (12), 2:0 შმიდტი (20), 2:1 ჩონ ვონი (30), 3:1 სანტოსი (40), 4:1 გრალი (60), 5:1 პერეირა (71), 6:1 შმიდტი (74), 7:1 პერეირა (89)

მატჩი III ადგილისთვის

**ტაილანდი 3:1 უნგრეთი**

0:1 იოვანოვიჩი (5), 1:1 აჩარაიოტონი (60), 2:1 ჩიმანი (64), 3:1 აჩარაიოტონი (72)

ტაილანდში ბრაზილიელთა გამარჯვებით დასრულდა ტრადიციული მეფის თასის გათამაშება. სამხრეთამერიკელთა უპირატესობა მეტოქეებთან თითქმის ყველა შეხვედრაში თვალშისაცემი გახლდათ. ფინალში მითუმეტეს.

ჯგუფურ ტურნირში გამარჯვების შემდეგ ბრაზილიელებმა არც მეორეადგილოსანი ჩრდილოეთ კორეა დაინდეს და ფინალში გამანადგურებელი ანგარიშით იმარჯვეს. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილია მეფის თასის გათამაშებაში 20 წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრებით თამაშობდა, აზიელებმა მათ ვერაფერი დააკლეს.

მესამე ადგილზე გავიდა მასპინძელი ტაილანდი. მათ უნგრეთის ნაკრების სახელით მოასპარეზე უნგრეთის კლუბების ნაკრებს მესამე ადგილისთვის მატჩში მოუგეს.

შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირში სათამაშოდ ტაილანდელებმა საქართველოც მიიწვიეს, მაგრამ შემდეგ ქართველებს პირო გაუტეხეს და ბრაზილიელები დაპატიჟეს.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, არიგო საკი, ტურინში დაიბარეს და დოპინგთან დაკავშირებით დაკითხეს. გამომძიებლებს ეროვნული გუნდისა და სტიმულატორების ურთიერთობის ამბავი აინტერესებდათ. ადრეც დაგვიწერია, რომ იტალიური დოპინგ სკანდალის გამოძიებას სათავეში მაგისტრი რაფაელე გარინელო უდგას. მან ზაფხულიდან მოყოლებული, ოცზე მეტი ადამიანი დაკითხა. დაკითხულთა შორის ბევრი ცნობილი ფეხბურთელიც გახლდათ.

**ინგლისური „ჩელსი" შოტლანდიური „სელტიკის" ფეხბურთელის, მეკარე სტიუარტ კერის შეძენითაა დაინტერესებული და ამ დღეებში გლაზგოელებს მილიონ გირვანქას ანუ 1,6 მილიონ დოლარს შესთავაზებს. კერი 22 წლის გოლკიპერია, რომელიც „ჩელსის" სელექციონერებს მოუვიდათ თვალში. ლონდონელები შოტლანდიელი ახალგაზრდით რუსი დმიტრი ხარინის შეცვლას აპირებენ. ხარინს სეზონის ბოლოს „ჩელსისთან" გაფორმებული კონტრაქტის ვადა ეწურება.**

**იტალიელმა** ფორვარდმა პიერლუიჯი კაზირაგიმ გასულ კვირას მუხლის ოპერაცია გაიკეთა. საფეხბურთო სტატისტიკოსები ირწმუნებიან, რომ ეს ფეხბურთელის მეექვსე ოპერაციაა სამი თვის განმავლობაში. „სკუადრა აძურას" ყოფილი თავდამსხმელი ამ სეზონში ველარ ითამაშებს. მან პირველად გასულ ნოემბერს დაიზიანა მუხლის მყესები. ბოლო ოპერაცია რთული მაინც არ გამოდგა. იგი ერთ საათსაც არ გაგრძელებულა. კაზირაგი, მოგეხსენებათ, „ჩელსიში" თამაშობს.

**კორეელი ფეხბურთელი ჩოი თუ „ვესტ ჰემში" ვერ გადავა, მაშინ მას „პერუჯა" აიყვანს. კორეის ეროვნული გუნდის ფეხბურთელი ლონდონურ კლუბთან ურთიერთობას ამ კვირაში გაარკვევს. მასთან ერთად ინგლისში გადასვლა სურს მის თანამემამულეს კიმ დო კეუნსაც. დადებითი პასუხის შემთხვევაში „ვესტ ჰემი" მათში ოთხ მილიონ გირვანქას გადაიხდის. აღსანიშნავია, რომ ლონდონელებმა ფულის გადახდის ერთობ ორიგინალურ ხერხს მიაგნეს. ისინი კორეის ტელევიზიას თავისი იმდენი მატჩის ტრანსლაციას დაუთმობენ უფასოდ, რომ ჯამში ოთხი მილიონის ტოლფასი გამოვიდეს. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თუ „ვესტ ჰემი" აზიელ მოთამაშეებს დაიწუნებს, მათ, უფრო სწორად კი ხოის, იტალიური „პერუჯა შეიძენს. სერია A-ს ეს კლუბი აღმოსავლელი ფეხბურთელებისადმი მას მერე განეწყო დადებითად, რაც იაპონელი ჰიდეტოში ნაკატა შეიძინა.**

**ფრანგი** ნახევარმცველის, მსოფლიოს ჩემპიონის, ემანუელ პეტის დაშავებული მუხლი მოსალოდნელზე ნელა შუშდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ევრო 2000-ის შესარჩევ, უახლოეს შეხვედრას და კლუბის, ლონდონის „არსენალის" სამ მატჩს გამოტოვებს. საფრანგეთის ნაკრების უახლოესი შეხვედრა კი 27 მარტს პარიზში გაიმართება. სამფეროვანთა მეტოქე იქნება უკრაინის ეროვნული გუნდი.

**ჩრდილოირლანდიელი სტივ ლომასი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ქართველ გიორგი ქინქლაძესთან ერთად „მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა, დღეს კი ლონდონური „ვესტ ჰემის" კაპიტანია, „ბლექბერნ როვერსის" ინტერესის საგნად ქცეულა. ლომასს, როგორც ამბობენ, ლონდონში სურს დარჩენა, მაგრამ ბლექბერნელები „ვესტ ჰემის" შესაცდენად ოთხ მილიონ გირვანქას აფრიალებენ და თუ ხრიკმა გაუმართლათ, ტანმაღალ თავდამსხმელს პრემიერლიგაში დასარჩენად ბრძოლისთვის გამოიყენებენ.**

**ინგლისური** „ლივერპულის" ნორვეგიელი ნახევარმცველი ოივინდ ლეონარდსენი ინტერნეტს მიჯდომია და მთელი დედამიწის წასაკითხად დაუწერია, ახალ გუნდს ვეძებ და იქნებ ვინმე გამომეხმაუროთო. ნორვეგიის ნაკრების მოთამაშე „ლივერპულში" ლონდონის „უიმბლდონიდან" 5 მილიონ გირვანქად გადავიდა, მაგრამ ახალ გუნდში ფეხი ვერ მოიკიდა. ლეონარდსენმა შეიძლება მართლაც მიაგნოს ახალ კლუბს, მაგრამ იმხელა ხელფასის მიღება, „ლივერპულში", თუნდაც სარეზერვო გუნდში თამაშისთვის რომ უხდიან, ერთობ გაუძნელდება. თავის მხრივ, „ლივერპულიც" გრძნობს, რომ გამოუსადეგარ მოთამაშეებს უდიდეს ხელფასებს უხდის და მომავალში მდგომარეობის შეცვლას აპირებს.

**ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელი, რობი კინი, „ტოტენჰემ ჰოთსპურს" ისე მოსწონს, რომ მასთან ხელახლა აპირებს კონტრაქტის შესახებ საუბარს. გასულ ნოემბერს, „ტოტენჰემმა", კინთან დაკავშირებით ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბს, „ვულვერჰემპტონ უონდერერზს" მიმართა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. თუმცა „ტოტენჰემი" იხტიბარს არ იტეხს და იმ თანხას, რომელიც „ვულვერჰემპტონს" შემოდგომაზე შესთავაზა, აორმაგებს — 7 მილიონ გირვანქამდე ზრდის. გაიყიდება თუ არა 19 წლის ირლანდიელი, იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა მისი გუნდი სეზონის ბოლოს პლეი ოფში მოხვედრას. თუ „ვულვერჰემპტონს" პრემიერლიგისკენ მიმავალი გზა მოეჭრა, „ტოტენჰემი" უეჭველად მოინადირებს მოთამაშეს.**

**კოლუმბიელ** ვარსკვლავს, ფაუსტინო ასპრილიას კატეგორიულად განუცხადეს, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის კრიტიკას თავი დაანებეო. ასპრილიას ბუზღუნის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაშის შემდეგ იტალიისკენ მიმავალ თვითმფრინავში მხოლოდ და მხოლოდ ეკონომკლასის ბილეთი აუღეს. ასპრილია რომ ჭირვეული კაცია, დიდი ხანია ცნობილი გახლავთ. გეხსომებათ, გასულ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მან კოლუმბიელთა მაშინდელ მწვრთნელზე, ერნან დარიო გომესზე თქვა მწარე-მწარეები, რის გამოც ნაკრების ბანაკიდან დაიფრინეს. მას მერე, რაც გომესი ხავიერ ალვარესმა შეცვალა, ასპრილია კვლავ გამოჩნდა ნაკრებში და გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც 3:3 დასრულდა, ორი გოლიც გაიტანა, მაგრამ „პარმას" ფეხბურთელი არა და არ ცხრება. „კოლუმბიის ნაკრებში თამაში ტანჯვაა. ხალხი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ალვარო ფინას გარს რომ აკრავს, ყველა უბედურების თავი და თავია" — განაცხადა თავდამსხმელმა და დასძინა, რომ ნაკრებში თამაშისთვის პრემიად მხოლოდ 200 დოლარი მისცეს.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20

## საფრანგეთი

XXV ტური

**მარსელი 1:0 სტრასბური**

1:0 პირესი (46)

**ნანტი 0:0 ბორდო**

**პსჟ 0:1 ლიონი**

0:1 კავეგლია (80 პ)

**მონპელიე 2:3 მონაკო**

0:1 ჟიული (33), 0:2 ტრეზეგე (41), 0:3 ელუა (52), 1:3, 2:3 რობერი (82 პ, 88)

**რენი 2:1 ნანსი**

1:0 ლე რუ (51), 2:0 გუსე (78), 2:1 კასკარინო (90)

**ოსერი 1:2 ლანსი**

0:1 ნუმა (9), 0:2 ბრუნელი (36), 1:2 კლოსი (52)

**ბასტია 1:1 ტულუზი**

1:0 პრენსი (59), 1:1 ოსეანუ (65)

**მეცი 1:1 სოშო**

0:1 ბუჟე (40), 1:1 შემელი (43)

**ლე ავრი 0:1 ლორიანი**

0:1 ლოკო (54)

რამდენიმე ტურის წინ „პარი სენ ჟერმენის“ მორიგი მარცხისას ვწერდი, რომ დედაქალაქის გუნდს, ალბათ, მეორე დივიზიონში დაქვეითება მაინც არ ეწერა. თუმცა ახლა სიტუაცია აშკარად უარესობისკენ შეიცვალა. პსჟ-მ კიდევ ერთხელ წააგო, ამჯერად შინ „ლიონთან“, გათამაშების ცხრილში მე-12 ადგილზე ჩამოქვეითდა და გავარდნის პირველ კანდიდატ „ლორიანს“ ოთხად ოთხი ქულითღა უსწრებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პარიზულ კლუბში საკმაოდ არაჯანსაღი ვითარებაა შექმნილი და მისი დარჩენილი კალენდარიც მეტად არასახარბიელოა, ვნახავთ, რომ ელიტაში ყოფნა-არ ყოფნის საკითხი მართლაც მეტად აქტუალურია.

მარტში პარიზელები ჩემპიონატის ორ და ლიგის თასის ერთ მატჩს ითამაშებენ, რაც მათ წისქვილზე ნაღდად არ ასხამს წყალს, რადგან ჯერ კიდევ შეუთამაშებელ ახალ ფეხბურთელებს გაცილებით მეტი პრაქტიკა სჭირდებათ. ამასთანავე ვერც შინ „ნანტთან“ და ვერც ოსერში იოლად ქულას ვერ მოიპოვებენ. ლიგის თასის ნახევარფინალში გასასვლელად კი „მონპელიეს“ ჯობნაც ძნელი იქნება, არადა, ევროთასზე გასასვლელად პსჟ-ს ეს გზაღა დარჩა. თუმცა ევროპის პერსპექტივამ პარიზელებს თავიანთი მთავარი მიზანი — I დივიზიონში დარჩენა არ უნდა დაავიწყოს.

# ჟორჟე ბჭობდა, სიმონე იცინოდა

REUTERS პარიზიდან



პსჟ — ლიონი 0:1. მარტოსულმა სიმონემ (მარცხნივ) „ლიონის“ დაცვას ვერ აჯობა

„ზოგს თავისი უხეირო თამაში ტეხს მორალურად, ზოგსაც უსაფუძვლო კრიტიკა. ჩვენზე საშინლად მოქმედებს ჟურნალისტებისა და გულშემატკივრების გამოხტომები“ — ამბობს პსჟ-ს სათადარიგო მეკარე დომინიკ კასაგრანდე. თუ ბერნარ ლამას შემცვლელს თავისი გუნდისადმი კრიტიკა უსაფუძვლოდ ეჩვენება, ჭკუა-გონება რიგზე ვერ ჰქონია და ესაა.

„ლიონის“ წინააღმდეგ არტურ ჟორჟემ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ორი შემტევი ფეხბურთელი — მარკო სიმონე და ბრუნო როდრიგესი დააყენა. რა თქმა უნდა, ამ სისტემას თავისი დადებითი მხარეები გააჩნია, მაგრამ მისი გამოყენება, მაგალითად, „ლორიანმა“ ბორდოში რომ გადაწყვიტოს, გასაგებია, პსჟ-მ კი — შინ? ასეთი ტაქტიკა ხომ იმას ნიშნავს, რომ გუნდს მოგებაზე მეტად არწაგება ალევებს. არადა, „პარი სენ ჟერმენს“ ნამდვილად ჰყავს მაღალი თუ არა, საშუალო კლასის ფორვარდები მაინც — მარკო სიმონე, ბრუნო როდრიგესი, მიკაელ მადარი, ქსავიე გრაველენი, ჯეიჯეი ოკოჩა, ადაილტონი...

მოკლედ, პსჟ-ს პორტუგალიელ მწვრთნელს სტუმართა დასამარცხებლად სიმონე — როდრიგესის დუეტიც საკმარისი ეგონა. მაგრამ ჟორჟე ბჭობდა, სიმონე იცინოდა. იტალიელი მინდორზე ნამდვილად ეგოისტივით იქცეოდა და ექსმეცელს მხოლოდ ხუთჯერ მიაწოდა პასი, შეცვლაზე შესულ მადარს — ერთხელ, ხოლო ასევე შეცვლაზე შესულ გრაველენსა და ადაილტონს კი არც ერთხელ. თითქოს „მილანის“ ყოფილ ფორვარდს მხოლოდ თავისი გოლი გაახარებდა. მატჩის ბოლოს, როცა მისი გუნდი უკვე აგებდა, მეტოქის საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა სიმონემ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი თანაგუნდელების „დანახვას“ მეტად მახვილი კუთხიდან დარტყმა ამჯობინა და ააცილა კიდეც. არადა, იტალიელი პარიზული კლუბის კაპიტანია, ეს კი თავისიანების წინამძღოლობას ავალებს. ამის მაგივრად მას მარტოს გადაუწყვეტია თამაში. ასე კი ვერც ის და, მით უმეტეს, ვერც პსჟ, ბევრს ვერაფერს მიაღწევენ.

მოწინააღმდეგის უაზრო თამაშით კარგად ისარგებლა „ლიონმა“, რომლის კაპიტანი ალენ კავეგლიაც თავისი პარიზელი კოლეგის სრული ანტიპოდია. ლიონელს არც დაცვაში გარჯა ეთაკილება და არც ახალგაზრდა თანაგუნდელებისთვის პასის მიცემა. შეხვედრის ბოლოს კი კლუბზე მზრუნველმა კავეგლიამ შეძლო ის, რაც თავისთვის მოთამაშე სიმონემ ვერა: ვიკაშ დორასოს წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანიდან მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა, რითიც „ლიონს“ მესამე ადგილზე გასვლის მშვენიერი პერსპექტივა მიეცა. მესამე ადგილი კი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის საშუალებას იძლევა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში საფრანგეთიდან პირდაპირ კი, ალბათ, „მარსელი“ და „ბორდო“ მოხვდებიან. მიუხედავად „ლიონის“ და „მონაკოს“ კარგი თამაშისა, ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე მათგანი ლიდერთა საჩემპიონო დავაში ჩაერიოს.

25-ე ტურში მარსელში სათამაშოდ „სტრასბური“ ჩავიდა. „ოლიმპიკს“ შინ ალზასელებისთვის 1993 წლის მარტის შემდეგ ველარ მოეგო. პირველი ტაიმი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და „სტრასბური“ იღბალს და თავის სლოვაკ მეკარე ალექსანდრ ვენსელს უნდა უმადლოდეს, რომ გოლი არ გაუშვა. კრისტოფ დიუგარის, ფაბრიციო რავანელის და ფლორიან მორისს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ „მარსელის“ თავდამსხმელები ამაოდ დაშვრნენ. ათკაციან „სტრასბურს“ (28-ე წუთზე აბიბ ბეი გააძევეს) ერთადერთი ბურთი მსოფლიოს ჩემპიონმა რობერ პირესმა შეუგდო მეორე ტაიმის დასაწყისშივე. ექსმეცელმა რავანელის მოწოდებული კუთხური სამი ქულის მომტან გოლად აქცია. ამის შემდეგაც ბევრი საშიში მომენტი შეიქმნა ვენსელის კართან, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. მოგებამ „მარსელი“ კვლავ პირველ ადგილზე ალაზევა, რადგან „ბორდომ“ ნანტში ორი ქულა დაკარგა.

თუმცა უფრო უპრიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჟირონდელებმა ერთი ქულა მოიპოვეს. შუა ხაზის სამი დისკვალიფიცირებული მოთამაშის (ბენარბია, გრენე, პავონი) არყოფნაში „ბორდომ“ მოედნის შუაგული მთლიანად „ნანტს“ დაუთმო. მასპინძლებიც მეთოდურად უტევდნენ და რამდენიმე კარგი შანსიც ჰქონდათ გამარჯვების გოლის გასატანად. ჯერ მონტერუბიოს გაუცუდდა დარტყმა (მე-16 წთ), შემდეგ კი სავინოს დარტყმული ბურთი სასწაულებრივად მოიგერია რამემ (39-ე წთ). მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად წარიმართა — „ნანტი“ უტევდა. „ბორდო“ თავს იცავდა და ოდენ კონტრიერიშებით ცდილობდა ფონს გასვლას. ამ ტაქტიკამ კინაღამ თავისი შედეგიც გამოიღო: 66-ე წუთზე ლასლანდმა თავური დაარტყა. „ნანტის“ მეკარე ლანდრო უძლური აღმოჩნდა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, მხსნელად დეროფი მოევლინა, რომელმაც ბურთი ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა. მატჩის მიწურულს სტუმართა გულშემატკივრებს და როშას და დეკრუას დარტყმების შემდეგ კი შეაყრჟოლლათ, მაგრამ, მათდა სასიხარულოდ, ვერც ერთმა ვერ გაუტანა სტუმართა მეკარე რამეს.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 25 | 16 | 6 | 3 | 43:20 | 54 |
| ბორდო | 25 | 16 | 5 | 4 | 51:20 | 53 |
| ლიონი | 24 | 12 | 8 | 4 | 34:21 | 44 |
| მონაკო | 24 | 12 | 5 | 7 | 39:26 | 41 |
| რენი | 25 | 11 | 7 | 7 | 32:31 | 40 |
| ნანტი | 25 | 10 | 9 | 6 | 33:25 | 39 |
| ლანსი | 25 | 10 | 5 | 10 | 33:33 | 35 |
| მონპელიე | 25 | 9 | 6 | 10 | 43:40 | 33 |
| ოსერი | 24 | 8 | 7 | 9 | 32:30 | 31 |
| ბასტია | 25 | 9 | 4 | 12 | 29:32 | 31 |
| მეცი | 24 | 7 | 8 | 9 | 23:30 | 29 |
| პსჟ | 25 | 7 | 7 | 11 | 23:25 | 28 |
| სტრასბური | 24 | 5 | 10 | 9 | 18:25 | 25 |
| ტულუზი | 25 | 5 | 10 | 10 | 19:35 | 25 |
| ნანსი | 24 | 6 | 6 | 12 | 22:32 | 24 |
| ლორიანი | 25 | 5 | 9 | 11 | 20:37 | 24 |
| ლე ავრი | 24 | 5 | 7 | 12 | 17:30 | 22 |
| სოშო | 22 | 3 | 9 | 10 | 19:38 | 18 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

I ტური

**ლუცერნი 0:2 ბაზელი**

0:1 გონსალვეში (33), 0:2 ფრიკი (89)

**სერვეტი 2:0 ლოზანა**

1:0 ვურენსი (72), 2:0 დიური (79)

**ციურიხი 0:2 სენტ გალენი**

0:1 კონტონი (31), 0:2 ჟაირო (58)

ციურიხი: ტრომბინი, ჰუბერი, კასტილიო, ფიშერი, დი ჯორიო (ვიდერკერი 46), ტარონე, ოპენგო (სანტ ანა 59), ლიმა, დელ სინორი (ნიქსონი 59), ბარტლეტი, შასო

**ქსამაქსი — გრასჰოპერი**

*გადაიდო*

ეროვნული ჩემპიონატი შვეიცარიაშიც განახლდა. უფრო სწორად გასულ შაბათ-კვირას ფინალური ეტაპი დაიწყო, რომელშიც რვა გუნდი მონაწილეობს. დანარჩენი ოთხი კი — „სიონი“, „იანგ ბოისი“, „ლუგანო“ და „არაუ“ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს.

ფინალურ ეტაპზე მონაწილეთაგან, ბუნებრივია, ყველაზე მეტად მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერისა“ და გოჩა ჯამარაულის „ციურიხის“ ბედი გვაინტერესებს. პირველ ტურში „გრასჰოპერი“ უყაველაშვილოდ (მიშას მსუბუქი ტრავმა აწუხებს) კვირას ნოიშატილს უნდა სწვეოდა იქაურ „ქსამაქსთან“ სათამაშოდ, მაგრამ უამინდობის გამო ეს მატჩი ხვალისთვის, 3 მარტისთვის, გადაიტანეს. ხოლო „ციურიხმა“ საკუთარ მინდორზე „სენტ გალენი“ მიიღო და როგორც გულუხვ მასპინძელს შეეფერება, შინ სამი ქულით ხელგაშლილი დაუშვა. ეს შეხვედრა, ისევე, როგორც დანარჩენი ორი, 2:0 დასრულდა.

„ციურიხმა“ თუ ასე გააგრძელა, როგორც „სენტ გალენთან“ ითამაშა, „სერვეტს“ და „გრასჰოპერს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთი კონკურენტი ჩამოშორდებათ.

ჯამარაულის გარეშე მოთამაშე „ციურიხმა“ მთელი მატჩი ძალიან ულიმღამოდ და უჯიგროდ ჩაატარა და მეტოქეს „ლეტციგრუნდის“ სტადიონზე ბოლო ოთხ წელიწადში პირველად მოაგებინა. სტუმართა გამარჯვებაში დიდი წვლილი ბრაზილიელმა გამთამაშებელმა ჟაირომ შეიტანა, რომელმაც ჯერ პირველ ტაიმში კონტინის გაატანინა გოლი, მეორეში კი თავად შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში პირველად უხელმძღვანელა „სენტ გალენს“ მარსელ კოლერმა, რომელიც ცოტა ხნის წინ დაინიშნა გუნდის მთავარ მწვრთნელად და საკმაოდ წარმატებული დებიუტიც გამოუვიდა.

თამაშის შემდეგ „ციურიხის“ თავკაც რაიმონდო პონტეს მარცხის მიზეზების ძიება არ დაუწყია, ჟურნალისტებს მოკლედ განუცხადა, ეს დღე ჩვენი არ იყო.

ჩვეულად ითამაშა ჩემპიონატის ლიდერმა „სერვეტმა“. ჟენეველებმა შინ „ლოზანას“ უმასპინძლეს, 2:0 დაამარცხეს და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს. გოლები ბოლო ოც წუთში კიგავიდა, მაგრამ მასპინძლებს მანამდეც არაერთხელ შეეძლოთ გატანა.

საკუთარ მინდორზე წააგო „ლუცერნმა“. „ბაზელისგან“ მისი სტუმრად ძლევა ბევრისთვის ცოტა მოულოდნელიც გახლდათ.

ვანო ოქროპირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 25 |
| გრასჰოპერი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 19 |
| ციურიხი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 19 |
| ლოზანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 19 |
| ბაზელი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 17 |
| სენტ გალენი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 17 |
| ქსამაქსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 16 |
| ლუცერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 14 |

## პორტუგალია

XXIV ტური

**სალგეირუში 1:1 კამპომაიორენსე**

0:1 ლაელსონი (64), 1:1 პედრუ (85)

**ფარენსე 2:0 აკადემიკა**

1:0, 2:0 კარლუშ კოშტა (27, 37)

**მარიტიმუ 2:2 შავეში**

0:1 ანდრე სილვა (26), 0:2 სება (46), 1:2 ბუნბური (55), 2:2 მორეირა (57)

**ალვერკა 0:2 ბენფიკა**

0:1 სოუნდერსი (45), 0:2 მადეირა (75)

**ბოავიშტა 0:0 პორტუ**

**რიუ ავე 1:1 ამადორა**

1:0 ვიეირა (14), 1:1 ლეალი (27)

**ბეირა მარი 2:2 სპორტინგი**

0:1 სანტუში (7), 1:1 ფარუ (16), 1:2 ედმილსონი (29), 2:2 რიკარდუ სოუზა (59)

**ლეირია 0:0 ბრაგა**

**გიმარაეში — სეტუბალი**

*წუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 24 | 16 | 5 | 3 | 55:21 | 53 |
| ბოავიშტა | 24 | 15 | 7 | 2 | 39:19 | 52 |
| ბენფიკა | 24 | 16 | 4 | 4 | 52:16 | 52 |
| სპორტინგი | 24 | 12 | 9 | 3 | 44:20 | 45 |
| ლეირია | 24 | 10 | 7 | 7 | 24:17 | 37 |
| ამადორა | 24 | 9 | 8 | 7 | 26:28 | 35 |
| სეტუბალი | 23 | 8 | 7 | 8 | 22:27 | 31 |
| სალგეირუში | 24 | 6 | 12 | 6 | 33:34 | 30 |
| გიმარაეში | 23 | 7 | 6 | 10 | 34:31 | 27 |
| ბრაგა | 24 | 6 | 9 | 9 | 29:41 | 27 |
| ფარენსე | 24 | 7 | 6 | 11 | 23:38 | 27 |
| მარიტიმუ | 24 | 6 | 8 | 10 | 28:31 | 26 |
| რიუ ავე | 24 | 5 | 9 | 10 | 19:34 | 24 |
| ბეირა მარი | 24 | 4 | 12 | 8 | 22:32 | 24 |
| შავეში | 24 | 4 | 11 | 9 | 30:44 | 23 |
| კამპომაიორენსე | 24 | 6 | 4 | 14 | 21:36 | 22 |
| ალვერკა | 24 | 4 | 10 | 10 | 18:32 | 22 |
| აკადემიკა | 24 | 4 | 6 | 14 | 24:45 | 18 |

## ბელგია

XXIV ტური

**ვესტერლო 0:2 ლიერსი**

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოფკენსი, ვან მეირი, პოორტერსი, ლეენი, ლარემანსი, დაემსი, კავენსი (ჰუისმანსი 67), სომერსი (ჰუისტრა 80), ვან დე ვეიერი (ჰააგდორენი 76)

0:1 კავენსი (6), 0:2 ვან მეირი (75)

**ბევერენი 0:6 სტანდარდი**

სტანდარდი: რუნიე (ჟილე 73), ერნსტი, რენიე, ჰელერსი, ფასოტი, კრუზი, დე კონდე (რემაკლი 69), ფოლია (ჰალდერმანი 79), ემილ მპენზა, მბო მპენზა, გოდფრუა

0:1 გოდფრუა (7), 0:2 დე კონდე (13), 0:3 ე.მპენზა (28), 0:4 გოდფრუა (29), 0:5, 0:6 ე.მპენზა (65,85)

**ბრიუგე 4:0 ლოკერენი**

1:0 ფადიგა (1), 2:0 იანკაუსკასი (36), 3:0 ილიჩი (64), 4:0 ვერმანი (86)

**მუსკრონი 2:1 ოსტენდე**

0:1 ვინდელსი (11), 1:1 კასტო (35), 2:1 ვანდოორენი (45)

**სენტ ტრუიდენი 1:4 ანდერლეხტი**

0:1 ბაზეჯიო (31), 1:1 მერტენსი (58), 1:2, 1:3 იაშჩუკი (63,89), 1:4 გოორი (90)

**შარლერუა 1:1 გენტი**

0:1 დეგრიზი (21), 1:1 ბრონიო (56)

**ეკერენი 0:2 ჰარელბეკი**

0:1 პაასი (34), 0:2 ბოდრი (71)

**ლომელი 0:3 აალსტი**

0:1 სიმონსი (42 ს.კ.), 0:2 სარლი (77), 0:3 დე ოლივეირა (80)

**კორტრაიკი — გენკი**

*გაიმართება 10 მარტს*

ჩვენებური გელა შეყილაძის „ლიერსი“ „ვესტერლოს“ ეთამაშა გასვლაზე. მატჩის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ სტუმრები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებდნენ. მათ თავდადებით შეუტიეს და კარის ცენტრში უკვე მე-6 წუთზე გახსნეს ანგარიში. ამის შემდეგ „ლიერსი“ ოდნავ მოდუნდა და მეტოქეს თამაშის გათანაბრების საშუალება მისცა, თუმცა ამას მენცოს კართან რეალური ხიფათი არ მოჰყოლია.

მეორე ტაიმში საგოლე მომენტები უხვად იყო და შეხვედრაც ლამაზად წარიმართა. მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ დამარცხებისგან თავის დასაღწევად, მაგრამ ვან მეირის გოლმა ცივი წყალი გადაასხათ და ისინიც გატყდნენ.

მოიგო მეორე ქართველის, ლაშა ჯაკობიას გუნდმა „სტანდარდმაც“, თანაც ძალიან იოლად. ტომისლავ ივიჩის შეგირდებმა სტუმრად „ბევერენი“ არ დაინდეს და ექვსი გოლი შეუგდეს. თვითონ ხორვატი მწვრთნელი ავადმყოფობის გამო თავისიანების წარმატებას არ დასწრებია და ეს, მგონი, სასიკეთოდაც წაადგა „სტანდრადს“. როგორც ცნობილია, ივიჩი დაცვითი ფეხბურთის მიმდევარია და სამი თავდამსხმელით (ძმები მპენზები და გოდფრუა) სტუმრად თამაშს თუნდაც ჩემპიონატის აუტსაიდერთან, ალბათ, ვერ გაბედავდა.

დავით სიჭინავა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 24 | 16 | 4 | 4 | 46:22 | 52 |
| გენკი | 23 | 15 | 5 | 3 | 51:26 | 50 |
| მუსკრონი | 24 | 13 | 7 | 4 | 54:36 | 46 |
| სტანდარდი | 24 | 13 | 2 | 9 | 43:27 | 41 |
| ანდერლეხტი | 23 | 12 | 5 | 6 | 45:33 | 41 |
| გენტი | 24 | 11 | 8 | 5 | 41:39 | 41 |
| სენტ ტრუიდენი | 24 | 11 | 6 | 7 | 33:28 | 39 |
| ლოკერენი | 23 | 11 | 4 | 8 | 46:39 | 37 |
| ლიერსი | 24 | 11 | 3 | 10 | 45:37 | 36 |
| ეკერენი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:36 | 34 |
| ვესტერლო | 23 | 9 | 3 | 11 | 43:42 | 30 |
| ჰარელბეკი | 24 | 7 | 8 | 9 | 31:36 | 29 |
| აალსტი | 24 | 8 | 5 | 11 | 34:41 | 29 |
| შარლერუა | 23 | 4 | 10 | 9 | 28:35 | 22 |
| ლომელი | 24 | 4 | 5 | 15 | 23:39 | 17 |
| ბევერენი | 24 | 3 | 5 | 15 | 24:47 | 14 |
| კორტრაიკი | 24 | 3 | 5 | 15 | 32:59 | 14 |
| ოსტენდე | 24 | 2 | 8 | 14 | 22:55 | 14 |

# მაგრამ, თუ და ბურუსით მოცული მატჩები

UEFA CUP

## უეფას თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩები




სარბიელის არქივიდან

„პარმა“, ბორდოელთა მწვრთნელის აზრით, მიმდინარე გათამაშების ფავორიტია

— მთავარია, მეტოქის ბადეში არ გავეხვიოთ. „პარმა“ ძლიერი კლუბია, მსოფლიო დონის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ადვილად შეუძლია, თავისი თამაში მოახვიოს მეტოქეს. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით მის დამარცხებას. მიმაჩნია, რომ „პარმა“ ამ გათამაშების ფავორიტია.

ეს სიტყვები საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის, უეფას თასის 1996 წლის გათამაშების ფინალში დამარცხებული „ბორდოს“ მწვრთნელ ელი ბოპს ეკუთვნის. მართალი გითხრათ, როდესაც მწვრთნელი მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ ასე ლელავს, გუნდი წარმატებაზე ნაკლებად უნდა ფიქრობდეს.

არადა, კაცმა რომ თქვას, განა რა გუნდია „პარმა“ ისეთი, მისი დამარცხება არ შეიძლებოდეს? ბოპი მართალია, როცა ამბობს, მეტოქე გუნდი მსოფლიოს დონის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებულიო. ეს მართლაც ასეა. თავად განსაჯეთ: იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ფაბიო კანავარო, ნახევარმცველები დინო ბაჯო და დიეგო ფუზერი, თავდამსხმელი ენრიკო კიეზა, ამას დაუმატეთ სამი არგენტინელი — ხუან ვერონი, აბელ ბალბო და ერნან კრესპო, მსოფლიოს ჩემპიონები — ლილიან ტურამი და ალან ბოგოსიანი, კოლუმბიელი თავდამსხმელი ფაუსტინიო ასპრილია და სხვანი... არა, „პარმა“ ძლიერი ფეხბურთელების ნაკლებობას ნამდვილად ვერ დაიჩივლებს, მაგრამ... ხომ საქვეყნოდაა ცნობილი, რომ მატჩს ვარსკვლავები კი არა, გუნდი იგებს. განა იშვიათად მომხდარა, საშუალო დონის კლუბს ვარსკვლავებით სავსე მეტოქე რომ დაუმარცხებია? რაღა შორს მივდივართ და განა თავად „ბორდო“ არ იყო 1996 წლის გაზაფხულზე მილანში „მილანთან“ 0:2 წაგების შემდეგ შინ 3:0 რომ მოუგო? განა ის „მილანი“ არ გახლდათ ვარსკვლავებით სავსე? ცხადია, მაშინდელ „ბორდოშიც“ უძლიერესი ფეხბურთელები თამაშობდნენ, თუნდაც ზინედინ ზიდანი და კრისტოფ დუგარი ავიღოთ, მაგრამ საერთო ჯამში „ბორდო“ „მილანთან“ ვერ მივიდოდა.

ძალიან დაძაბული მატჩი იქნება და ნურავის მოატყუებს „პარმაში“ მოთამაშე მქუხარე სახელები. „ბორდო“ კარგი გუნდია და ძალუძს იტალიური ბარიერის გადალახვა.

ბორდოელთა საუკეთესო მხარეს ნახევარდაცვა და თავდასხმა წარმოადგენს. საფრანგეთის მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერები — სილვიან ვილტორდი და ლილიან ლასლანდი სწორედ „ბორდოს“ ღირსებას იცავენ. ამას დაუმატათ შესანიშნავი გამთამაშებელი ალი ბენარბია, უძლიერესი კაპიტანი მიშელ პავონი და მივიღებთ საკმაოდ ძლიერ გუნდს. სხვათა შორის, ბოლო ორს დისკვალიფიკაციის გამო ქვეყნის პირველობაზე არ უთამაშია, თუმც ევროტურნირში, ალბათ, გაირჯებიან.

— „ბორდო“ უძნელესი ბარიერია. მისი დამარცხება ძნელი იქნება, თუმცა გამორიცხული სულაც არაა. მეტოქე შემტევ ფეხბურთს თამაშობს და ამდენად ამოცანას უფრო ართულებს. ჩემი აზრით, „ბორდო“ და „პარმა“ ერთი დონის კლუბებია. ასეთ შემთხვევაში, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, გამარჯვებული მინიმალური უპირატესობის შემდეგ გამოვლინდება — განაცხადა იტალიელთა მწვრთნელმა ალბერტო მალესანამ.

ჩვენის მხრივ ერთს დავძენთ — ერთი წლით ადრე, ვიდრე „ბორდო“ უეფას თასის ფინალში დამარცხდებოდა, „პარმამ“ უეფას თასი მოიგო. ეს 1995-ში მოხდა.

ზემოთ „ბორდო“ — „მილანის“ სამი წლისწინანდელი დაპირისპირება ვახსენეთ. მაშინ „მილანს“ ორი გოლი კრისტოფ დიუგარიმ გაუტანა. დიუგარი უეფას თასზე ახლაც თამაშობს. უბრალოდ, კლუბი შეიცვალა — იგი მარსელის „ოლიმპიკის“ თავდამსხმელია.

„მარსელი“ „სელტას“ ხვდება.

ეს შეხვედრაც, ყველა დანარჩენი მეოთხედფინალის დარად, ბურუსითაა მოცული. ვინ გაიმარჯვებს, „მარსელი“ თუ „სელტა“? ისევე როგორც პირველ წყვილში, აქაც ძნელია პროგნოზის გაკეთება.

„ბორდოს“ დარად „მარსელიც“ საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერია. ესპანეთის პირველობის ლიდერთა შორისაა „სელტაც“. პატარა ქალაქ ვიგოს ეს კლუბი წლევანდელ სეზონში ძლიერად თამაშობს, მათ შორის კი აღსანიშნავია ორი რუსი ფეხბურთელის ვალერი კარპინის და ალექსანდრ მოსტოვოის თამაში. ესპანელთა მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი ძალიან გაახარა მოსტოვოის დაბრუნებამ. ექსსაბჭოელს ტრავმა აწუხებდა. „სელტას“ ერთი მოთამაშე დაუბრუნდა, ერთიც გამოაკლდა — უკვე გადაწყვეტილია, რომ ესპანელთა ფრანგი ლეგიონერი კლოდ მაკელელე თავის ძველ კლუბს ვერ დაუპირისპირდება.

— გარკვეულწილად „სელტა“ ჰგავს კიდეც „მარსელს“, აქედან გამომდინარე, ჩვენი დაპირისპირება უფრო და უფრო საინტერესო იქნება. ჩვენც და „სელტაც“ შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ. მომავალი შეხვედრა, ვფიქრობ, დაძაბული უნდა იყოს — განაცხადა „მარსელის“ დაცვის ბურჯმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ლორან ბლანმა.

დანარჩენ ორ მეოთხედფინალურ წყვილში მადრიდის „ატლეტიკო“ იტალიის „რომას“ მასპინძლობს, აპენინებზე კი უეფას თასის ერთ-ერთ მეოთხედფინალში სერია A-ს ბოლო ტურში „პიაჩენცასგან“ 5:0 განადგურებული „ბოლონია“ საფრანგეთის ჩემპიონატის კიდევ ერთ ლიდერ „ლიონს“ იღებს.

რა შეიძლება ითქვას ამ ორ შეხვედრაზე? თითქმის იგივე, რაც წინა ორზე — ძალიან დაძაბული თამაშები იქნება, რომელთა წინასწარმეტყველება ასევე გაჭირდება.

„რომას“ ლიდერმა, იტალიის ნაკრების გამთამაშებელმა ფრანჩესკო ტოტიმ თქვა, თუ ჩვენ მადრიდში ისევე ვითამაშეთ, როგორც ჩემპიონატში „მილანის“ წინააღმდეგ, წინ ვერაფერი დაგვიდგებაო.

ვნახოთ.

**ბოტე ვაიტაძე**

### დისკვალიფიცირებულნი

**ატლეტიკო — რომა**

სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, 1 მატჩი)

**ბოლონია— ლიონი**

მარკო გრასი (ლიონი, 3 მატჩი)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

2 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მარსელი — სელტა | (1,7-1,7) | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბოლონია — ლიონი | (1,4-2,3) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბორდო — პარმა | (2,5-1,35) | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ატლეტიკო — რომა | (2,5-1,35) | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

3 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რეალი — დინამო | (1,4-2,3) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| მანჩესტერი — ინტერი | (1,7-1,7) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი | (1,15-4,0) | 1,35 | 3,8 | 7,0 |

### თასების თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

4 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩელსი — ვალერენგა | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ლოკომოტივი — მაკაბი | (1,35-2,5) | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ვარტექსი — მალიორკა | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| პანიონიოსი — ლაციო | (10,0-1,02) | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტოტენჰემი — საუთჰემპტონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

3 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფილდ უენსდეი — უიმბლდონი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXIV ტური

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ნორვიჩი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბერი — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ქრიუ — ბრისტოლი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| ჰადერსფილდი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| იფსვიჩი — უოტფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პორტ ვეილი — გრიმსბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — კრისტალ პალასი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სანდერლენდი — პორტსმუთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

3 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ბრედფორდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ქუინზ პარკი — ოქსფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სვინდონი — ტრანმერი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტაირი — ტიროლი | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| ბოხუმი — ჰამბურგი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

3 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქსამაქსი — გრასჰოპერი | 2,5 | 2,8 | 2,6 |

| ჩემპიონთა თასი | | თასების თასი | | უეფას თასი | |
|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2,5 | ლაციო | 2,0 | რომა | 3,0 |
| იუვენტუსი | 2,5 | ჩელსი | 2,0 | პარმა | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 | მალიორკა | 3,0 | მარსელი | 4,0 |
| ბაიერნი | 4,0 | ლოკომოტივი | 8,0 | სელტა | 5,0 |
| რეალი | 5,0 | მაკაბი | 15,0 | ბორდო | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | ვარტექსი | 50,0 | ბოლონია | 5,0 |
| დინამო | 10,0 | ვალერენგა | 50,0 | ატლეტიკო | 6,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 | პანიონიოსი | 50,0 | ლიონი | 10,0 |

## კალათბურთი

### NBA

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინდიანა — დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ნიუ ჯერსი — მილუოკი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| ატლანტა — ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| კლივლენდი — ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| მაიამი — ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| მინესოტა — გოლდენ სტეიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| ჩიკაგო — დეტროიტი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| დალასი — კლიპერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| ჰიუსტონი — სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| პორტლენდი — იუტა | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| ვანკუვერი — საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |

3 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფილადელფია — ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვაშინგტონი — ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| ორლანდო — შარლოტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| მილუოკი — გოლდენ სტეიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| იუტა — ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ლეიკერსი — ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| საკრამენტო — პორტლენდი | 1,9 | 12,0 | 1,55 |

4 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი — შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| მაიამი — დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ატლანტა — ტორონტო | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| კლივლენდი — დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| დალასი — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| ჰიუსტონი — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| სიეტლი — ფინიქსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| ვანკუვერი — მინესოტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |

### EUROLEAGUE

მერვედფინალი.

პირველი მატჩები

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟალგირისი — ულკერი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| ფენერბაჰჩე — რეალი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| ვილერბანი — ციბონია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| ოლიმპია — პოორტეზი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| პანათინაიკოსი — ტიმსისტემი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| ეფეს პილსენი — ცსკა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| კინდერი — მაკაბი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ოლიმპიაკოსი — ვარეზე | 1,2 | 12,0 | 3,5 |

## ჰოკეი. NHL

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი — ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| მონრეალი — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| აილენდერსი — ოტავა | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| რეინჯერსი — დალასი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ტამპა ბეი — ვაშინგტონი | 3,4 | 4,4 | 1,4 |
| ნეშვილი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

3 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ედმონტონი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| ტორონტო — ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| პიტსბურგი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| კაროლინა — ბოსტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,4 | 3,0 |

4 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აილენდერსი — დალასი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ფილადელფია — ოტავა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვაშინგტონი — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ტამპა ბეი — კოლორადო | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| სენტ ლუისი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ლოს ანჯელესი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



გრეგორ ფუჩკასთვის ჩვენი დაცვის გარღვევა უიოლესი საქმე იყო

# გვინდა კი კალათბურთი?

ერთი მაცდური ფიქრი ამეკვიატა. არ ვიცი, როგორ გაგიმხილოთ... ქართულ კალათბურთზე რატომ ვწერმეთქი... ეჰ, მაშინ ხომ პასპორტსა თუ დაბადების მოწმობაში უნდა მეწეროს — ი-ტა-ლი-ელ-ი. ასე რომ იყოს, იცოცხლეთ, გავიხარებდი, საწუწუნო ალარაფერი მექნებოდა და სარედაქციო დავალებაც ერთი ამოსუნთქვით შესრულდებოდა, ახლა კი უნდა წერო, თუ როგორ გაბიაბრუვდა ქართული კალათბურთი ზედიზედ მეათედ და როგორ მოიჭრა საქვეყნოდ თავი.

იტალიელებთან მომგები რომ არ იყვნენ, ეს მწვრთნელებმაც კარგად იცოდნენ და კალათბურთელებმაც, გამარჯვებას დანატრებული გულშემატკივარიც კარგა ხანია, შეეჩვია წაგებებს და ახლა უკვე ღირსეულ დამარცხებაზეც ყაბულსაა, მაგრამ ლატვიელებთან შეხვედრისგან განსხვავებით, იტალიელებთან მაინც ვერ ავიცილეთ დასარცხვენი სხვაობით წაგება.

ჩამთავრდა ევროპის ჩემპიონატის ჩვენთვის სამარცხვინო შესარჩევი ციკლი და ათიდან ათი წაგება შეგვრჩა ხელში. არც მომავალი ჩანს საიმედო, რადგან სადღეისოდ არანაირი წინაპირობა არ არსებობს იმისა, რომ ნაკრები სწორ გზას დაადგეს და თუ ასევე გაგრძელდა, მუდამ შერცხვენილები ვიქნებით.

თავს ზემოთ ძალა არ არისო — ნათქვამია. სწორედ ასე დაემართა იტალიელებთან ჩვენს ნაკრებს, რომელსაც მთავარი მწვრთნელის, ლევან მოსეშვილის არყოფნაში კვლავაც პაატა გურასპაული და ზაზა ცაგარეიშვილი მოძღვრავდნენ. ჩვენს მიერ წინასწარ ნავარაუდევი იტალიური საკალათბურთო გაკვეთილი იმ დღეს სპორტის სასახლეში მართლაც რომ შედგა, თუმცა საეჭვოა, მსგავსი „ლექცია-სემინარებით" ქართველებმა ოდესმე ცოდნა გაიღრმავონ.

წარუმატებლობის მიზეზებზე საუბარს დღეს შეგნებულად ავუვლი გვერდს, მაგრამ დასკვნების გაკეთება ამთავითვე შეიძლება და ამის უთქმელობა, სხვა თუ არაფერი, ქომაგისთვის (და მკითხველისთვის) თვალში ნაცრის შეყრის ტოლფასია. იტალიელებთან დამარცხებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართული კალათბურთი არამცთუ უფსკრულის პირას იმყოფება, არამედ რა ხანია, მის ფსკერზე დაენარცხა და სიღრმე ისე გაითავისა, რომ იქიდან თავის დასაღწევად არაერთი წელი დასჭირდება. ამიტომაც თავიდან ამოვიგდოთ უსაფუძვლო ილუზიები და დღეიდანვე შევუდგეთ ახლის შენებას, თორემ ზემოთქმულ მწარე რეალობასთან დროის დინებაც უძლური იქნება. და თუ არ გვინდა კალათბურთი, ესეც ახლავე ვთქვათ.

რა შეიძლება დაიწეროს მატჩზე, როცა ორი, სრულიად განსხვავებული კლასის გუნდები ეთამაშებიან ერთმანეთს. ქართველებმა მხოლოდ საწყის წუთებში გაუძლეს ევროპის ვიცე-ჩემპიონების ზეწოლას, შემდეგ კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი, იტალია თამაშობდა და რაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ისე აკეთებდა. აქედან გამომდინარე, არანაირი აზრი არა აქვს თანმიმდევრულად აღვწერო მატჩის მსვლელობა და მხოლოდ მეტ-ნაკლებად საინტერესო დეტალებზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

შეხვედრა ქართველებს ურიგოდ ნამდვილად არ დაუწყიათ. განსაკუთრებით ჩხეიძე და აბრამიძე აქტიურობდნენ, რომლებმაც სწრაფი და სწორი პოზიციური მოძრაობით მეტოქე მცველებს გვარიანი საფიქრალი გაუჩინეს, თუმცა მათ ცენტრებმა მხარი ვერ აუბეს და მას შემდეგ, რაც ბასილემ და სამბუგარომ მეტი გულისყურით იწყეს ქართველი უკანახაზელების მეურვეობა, ინიციატივას მთლიანად იტალიელები დაეუფლნენ. ცენტრი დავით ბერძენიშვილი ტანმაღალ ჯიაკიჯის, ფუჩკასა და გალანდას გარემოცვაში უმწეოდ გამოიყურებოდა. ბურთის მიღებაც კი დიდი შრომის ფასად უჯდებოდა, რადგან საამისოდ მსროლელის პოზიციაზე უწევდა ამოსვლა, საიდანაც არცთუ სახიფათოდ უტევდა. მდგომარეობა ვერც ჯაფარიძის შესვლამ გამოასწორა. არამცთუ მეტოქის, არამედ საკუთარი ფარიდან ასხლეტილი ბურთის აღებაც მეტად გაჭირდა, თუმცა იტალიელებიც თავის დაზღვევის მიზნით ზედმიწევნით ზუსტად ისროდნენ, მით უფრო, რომ დამუშავებული კომბინაციების შედეგად ერთი კალათბურთელი ყოველთვის უმეთვალყურეოდ რჩებოდა.

ქართველების დაცვაში თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. საკუთარ ნახევარზე ჩვენები ძალიან ქაოსურად და შეუთანხმებლად მოძრაობდნენ და ეს იმ დროს, როცა ფიზიკურადაც მეტად ჩამორჩებოდნენ მეტოქეს. ტაიმის შუაგულისთვის კალათბურთელებს დაღლა დაეტყოთ, უკან დროულად ველარ ბრუნდებოდნენ და მოწინააღმდეგეც ფუჩკას სწრაფი გარღვევებითა თუ სამბუგაროს ზუსტი სამიანებით უფრო და უფრო ზრდიდა ანგარიშში სხვაობას.

ჩვენებურთაგან უდავოდ ვლადიმერ ბოისაა გამოსარჩევი. ეს პირტიტველა ბიჭი მრისხანე ფუჩკას არ ეპუებოდა და, რაც მთავარია, სწორ და გამართულ კალათბურთს თამაშობდა მატჩის ბოლომდე, თუმცა მას თანაგუნდელებმა ვერ მიბაძეს.

მთელი შეხვედრის მანძილზე წინ გასულ იტალიელებს ერთადერთხელ მივუახლოვდით, როცა ისევ ბოისამ იყოჩალა, მაგრამ ეს იყო და ეს. ვიცე-ჩემპიონთა ბოსნიელმა მწვრთნელმა ბოგდან ტანიევიჩმა თამაშში პოზეკო ჩართო, რომელმაც კიდევ უფრო ააჩქარა თავისიანების ისედაც სწრაფი თამაში. მომცრო ტანის პოზეკო, ფაქტობრივად, შეუჩერებელი შეიქნა — წინ და უკან ქარივით დაქროდა და პასებიც უხვად ურიგა პარტნიორებს.

მართლაც რომ ერთ რამედ ღირდა იტალიელების ყურება. დახვეწილად, თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდნენ ცენტრები. ლაღად და ეფექტურად ირჯებოდნენ უკანახაზელები, სწრაფად და გააზრებულად უტევდნენ თავდამსხმელები. ერთი სიტყვით, მოედანზე იყო თანამედროვე ევროპული კალათბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომლის ფონზეც ქართველთა თამაშს კალათბურთი ძნელად თუ ეთქმოდა. აკი ქართულ კალათბურთზე გულის შემატკივრებმაც დაუფასეს სტუმრებს ოსტატობა და მატჩის შემდეგ საკადრისი ოვაციებიც მოუწყვეს ნაღდი კალათბურთის მიმდევრებს, რომელთაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ იტალიამდე წარმოუდგენლად შორია.

**გიორგი ბიკაშვილი**

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

## საქართველო 64:105 იტალია

27 თებერვალი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი

მსაჯები: მიროდრაკ ლიჩინა (იუგოსლავია), გიორგი ვალჩევი (ბულგარეთი)

| საქართველო | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აბრამიძე | 21 | 2/3 | 0/1 | 0/0 | 2 | 2 | 2 | 0 | 4 |
| ბერძენიშვილი | 19 | 2/4 | 0/0 | 3/4 | 0 | 2 | 0 | 5 | 7 |
| ბოისა | 26 | 2/4 | 2/6 | 7/8 | 2 | 0 | 1 | 4 | 17 |
| ჩხეიძე | 31 | 2/5 | 1/3 | 0/0 | 2 | 2 | 2 | 4 | 7 |
| გაგნიძე | 13 | 2/2 | 0/0 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 2 | 4 |
| ჯაფარიძე | 21 | 3/5 | 1/3 | 0/2 | 2 | 0 | 0 | 3 | 9 |
| ქარაბაკი | 22 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 2 | 0 | 2 | 2 |
| შლენტი | 15 | 2/3 | 0/1 | 0/0 | 0 | 1 | 2 | 1 | 4 |
| ოთიურიძე | 32 | 5/6 | 0/1 | 0/0 | 0 | 0 | 1 | 5 | 10 |
| სულ | 200 | 21/34 | 4/15 | 10/14 | 10 | 9 | 8 | 26 | 64 |

| იტალია | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბასილე | 23 | 2/2 | 0/1 | 2/2 | 0 | 2 | 2 | 3 | 6 |
| ჯიაკიჯი | 22 | 5/6 | 0/0 | 8/9 | 2 | 1 | 0 | 0 | 18 |
| ჯულიომარია | 20 | 3/4 | 0/2 | 0/0 | 5 | 1 | 1 | 4 | 6 |
| ფუჩკა | 26 | 6/6 | 0/0 | 3/3 | 7 | 1 | 5 | 1 | 15 |
| გალანდა | 14 | 3/3 | 0/0 | 2/2 | 4 | 0 | 0 | 0 | 8 |
| მარკონატო | 18 | 5/5 | 0/0 | 4/4 | 3 | 1 | 0 | 3 | 14 |
| მიანი | 14 | 3/3 | 0/1 | 2/2 | 1 | 0 | 0 | 1 | 8 |
| პოზეკო | 21 | 3/4 | 1/2 | 4/5 | 1 | 3 | 3 | 3 | 13 |
| სამბუგარო | 22 | 1/1 | 2/2 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 1 | 8 |
| ტონოლი | 20 | 1/3 | 0/1 | 7/8 | 3 | 0 | 3 | 3 | 9 |
| სულ | 200 | 32/37 | 3/9 | 32/35 | 26 | 9 | 14 | 19 | 105 |



იტალიელთაგან ყველაზე მეტი ქულა რობერტო ჭიაკიჭიმ მიითვალა

## მატჩის შემდეგ

**პაატა გურასპაული,** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: დასანანია, საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით რომ დამარცხდები. იტალია ჩვენზე გაცილებით ძლიერი გუნდია, რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არის. ჩვენ რომ საბრძოლო შემადგენლობით ვყოფილიყავით, მაინც ვერ ვიტყვი, რომ იტალიას მოვუგებდით, თუმცა იმის თქმა უეჭველად შეიძლება, რომ ასე ვერ დაგვამარცხებდნენ. მათი მოთამაშეები ევროპის წამყვან კლუბებში გამოდიან და ჩვენთან მოგება არც უნდა გასჭირვებოდათ. რაც შეეხება იტალიელთა მარცხს ლატვიასთან, როგორც ლატვიელთა მთავარმა მწვრთნელმა იანის ზელტიჩმა მითხრა, სენსაციად უნდა ჩაითვალოს. იტალიელებს არაფერი გამოუვიდათ, ლატვიელებს კი პირიქით, ყველაფერი. ჩვენთან შეხვედრაში სტუმრებმა თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი აჩვენეს, ყველა კომბინაცია გამოუვიდათ, თანაც ლატვიისგან განსხვავებით, სულ სხვაგვარი თამაში შემოგვთავაზეს. იტალიელები თავიდანვე ჩვენი ჯგუფის ლიდერებად მიიჩნეოდნენ და პირველი ადგილიც ღირსეულად დაიკავეს.

* * *

ჩვენი ნაკრების წევრები თავჩაღუნული ტოვებდნენ სპორტის სასახლის სარბიელს, გამარჯვებულ იტალიელებს კი სახეები უღიმოდათ. ერთი რამ გვენიშნა: აპენინელთა ნაკრების თავკაცებს ჩვენებური **ვლადიმერ ბოისა** დაემარტოხელებინათ და ჩვეული ტემპერამენტით ესაუბრებოდნენ. ვოვაც თარჯიმნის გარეშე, ჟესტიკულაციითა და საყველპურო სლოვენიურით „უმკლავდებოდა“ იტალიელებს. ცხადია, მათმა ბაასმა დაგვაინტერესა და პასუხიც მალე მივიღეთ:

— საუბარი ჩემს სლოვენიაში თამაშს შეეხებოდა. როგორც შევატყვე, იტალიელებს დღევანდელ მატჩში მოვეწონე, მაგრამ მათ ისიც იციან, რომ „ოლიმპიასთან“ ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს. ამიტომაც რაიმე კონკრეტული წინადადება არ ყოფილა. უმთავრესად სლოვენიურ ჩემპიონატსა და პირობებზე ვსაუბრობდით. იქაურობაზე ჯერჯერობით მხოლოდ კარგი მეთქმის და აუგი როგორ დამცდებოდა. ჰოდა, ვაქე და ვადიდე ჩემი კლუბი... რეზო ჩხეიძეც მოეწონათ, მაგრამ თავიანთ ზრახვებს მე ხომ არ გამიმხელდნენ. ისე, ჩვენს ნაკრებზე ინფორმაცია ჰქონდათ. იცოდნენ, რომ რეზო ისრაელში თამაშობს. დანარჩენებზე არაფერი უთქვამთ და მეც ვერაფერს გეტყვით.

* * *

**არჩილ ჸლენტი:** ჩვენი ნაკრების გამარჯვება ძალიან საეჭვო იყო, მაგრამ ასეთი დიდი სხვაობით დამარცხებაც, ისიც შინ, ძალიან საწყენია. რა თქმა უნდა, იტალიელებს ჩვენთან შედარებით მაღალი კლასის გუნდი ჰყავთ, არც ტანმაღალი მოთამაშეები აკლიათ და არც შემსრულებლები. ჩვენ კი ისედაც გაჭირვებულებს ნაცვლიშვილისა და რამდენიმე კალათბურთელის არყოლაც დაგვემატა და სასტიკადაც წავაგეთ.

ასეთი მარცხის მიზეზად ჩვენი მოუმზადებლობა მიმაჩნია. ბიჭები არც გრანდებს ვუფრთხოდით, არც ემოციებს ავყოლივართ მატჩის მსვლელობისას. უბრალოდ, სათანადოდ ვერ მოვემზადეთ, ამისთვის დროც ცოტა გვქონდა. ეს რომ არა, ალბათ, უფრო შევებრძოლებოდით იტალიელებს.

საკუთარ თავზე რა შემიძლია ვთქვა? მოედანზე 12-14 წუთი დავყავი და შეძლებისდაგვარად ვითამაშე.

* * *

**მარკო სამბუგარო:** ვერ ვიტყვი, რომ ძნელი თამაში იყო. საკმაოდ იოლად მოვიგეთ. თან არ გვყავდა ლიდერი, კარტონ მაიერსი და კიდევ რამდენიმე ძირითადი მოთამაშე, ამიტომაც ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი. თუ მოვინდომეთ, გაცილებით მეტი შეგვიძლია. ისე, არც თქვენი გუნდია დასაწუნი, უბრალოდ, გამოცდილება და თამაშის პრაქტიკა გჭირდებათ. მართალი რომ გითხრათ, უფრო დაძაბულ და თანაბარ თამაშს ველოდით, მაგრამ ძალიან გაგიჭირდათ, განსაკუთრებით ფარქვეშ, სადაც ჩვენი ბიჭები საუკეთესონი იყვნენ. სტეფანიას რომ ეთამაშა, ალბათ, ამდენი პრობლემა არ გექნებოდათ. თქვენი გუნდიდან ძალიან მომეწონა ერთი კალათბურთელი, თუ არ ვცდები, ხუთი ნომერი (ვლადიმერ ბოისა), სახელი არ მახსოვს, კარგი ბიჭია და მომავალი აქვს.

* * *

**გრეგორ ფუჩკა:** იტალიელთა ტანმაღალმა ლიდერმა ბევრი პრობლემა გაუჩინა ქართველებს და ფაქტობრივად უკვე პირველ ნახევარში მოუგვარა საქმე იტალიას.

— კარგი თამაში იყო. გახარებული ვარ. ისე, თქვენი გუნდი მომეწონა. ძნელი დასაჯერებელია, როგორ ვერ მოიგეთ ერთი თამაში მაინც. თქვენებიდან ყველაზე უფრო ის ბიჭი მომეწონა, მე რომ მეთამაშებოდა (ბოისას გულისხმობს), არა უშავდა ერთ მცველს, თუ არ ვცდები 15 ნომერი (რეზო ჩხეიძე) იყო.

**— როგორც იცით, ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია საკმაოდ ცნობილი იყო ევროპაში. თქვენც ერთ-ერთი უძლიერესი ხართ აქ. კარიერის ამერიკაში გაგრძელებაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— ჯერჯერობით იტალიაში დარჩენას ვაპირებ, მერე ვნახოთ.

**— 1997 წელს ბარსელონაში ევროპის ჩემპიონატზე იტალია ფინალში გავიდა. საფრანგეთში თქვენ შანსებზე რას იტყვით.**

— ევროპაში ბევრი კარგი გუნდია. საფრანგეთში ფავორიტებად იუგოსლავიას და რუსებს მივიჩნევ. არც მასპინძელია სუსტი. მომავალი გვიჩვენებს.

**ზურაბ გონაშვილი, მამუკა ტულუში, ირაკლი ფირაშვილი**

EURO BASKET 99

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

**A ჯგუფი**

სლოვენია 86:67 ბულგარეთი
ბელგია 73:82 საბერძნეთი
გერმანია 79:53 სლოვაკეთი

**B ჯგუფი**

პოლონეთი 89:65 პორტუგალია
მაკედონია 64:58 უნგრეთი
რუმინეთი 81:98 რუსეთი

**C ჯგუფი**

ისრაელი 79:76 ინგლისი
უკრაინა 79:67 ბელარუსი
დანია 63:80 ესპანეთი

**D ჯგუფი**

ბოსნია 83:69 ესტონეთი
ისლანდია 48:94 ლიტვა
ხორვატია 103:73 ჰოლანდია

**E ჯგუფი**

თურქეთი 86:67 ჩეხეთი
ლატვია 83:84 შვედეთი

NBA

რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანია აგდებს, აფარებს და ხსნის...



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — სან ანტონიო. სიეტლელი ვილიამსი ყოფილ სიეტლელ კერსის (25) უფარებს

26 თებერვალი

**სიეტლი 92:82 სან ანტონიო**

სიეტლი: პეიტონი (23), ელისი (13), შრემპფი (8), ბეიკერი (16), პოლინაისი (12 ქულა, 10 მოხსნა), ჰოკინსი (9), **სტეფანია** (4), ვილიამსი (4), კოტონი (2), ლუისი (1), მაკლინი

სან ანტონიო: ჯონსონი (8), ელი (10), ელიოტი (10), დანკანი (22), რობინსონი (10 ქულა, 14 მოხსნა), ჯექსონი (10), როუზი (6), დანიელსი (4), კერი (2), კინგი, გეიზი

ამ თამაშამდე სიეტლს ზედიზედ სამჯერ წაეგო, აქედან ბოლო მის იმდღევანდელ მეტოქე „სან ანტონიო სფურზთან“ სტუმრად და ადვილი მოსალოდნელი იყო, ამ სამისთვის მეოთხეც მიეყოლებინა, თუმც ასე არ მოხდა. 26 თებერვალს სიეტლი ტეხასურ გუნდს სათანადოდ მომზადებული შეეგება. მასპინძელთა უმთავრესი საზრუნავი სტუმართა მძლავრი წინახაზელების — ბებერი ცენტრის, ადმირალად წოდებული დევიდ რობინსონის და ყმაწვილი სუპერვარსკვლავის — ტიმ დანკანის გაუვნებელყოფა იყო, რაც ოლდენ პოლინაისს, ვინ ბეიკერს და ნაწილობრივ ვლადიმერ სტეფანიასაც დაევალათ. მათაც ამოცანას ასე თუ ისე თავი გაართვეს. სამაგიეროდ, ამაოდ დაშვრა სანანტონიოელი 180-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი აივერი ჯონსონი, რომელსაც მასზე 13 სანტიმეტრით მაღალი გერი პეიტონის წინააღმდეგ უწევდა თამაში და არც არაფერი გამოსდიოდა. ამ სეზონში მართლაც ბრწყინვალე პეიტონმა ჩვეულად აიკლო მეტოქის ფარი და სან ანტონიოს მარცხის უმთავრესი მიზეზი შეიქმნა. ლიგის უძლიერეს გამთამაშებელს განსაკუთრებით მატჩის ბოლოს აენთო მწვანე შუქი და სირენამდე 7 წუთით ადრე მეორე ნახევარში პირველად დაწინაურებულ სან ანტონიოს დარჩენილი მონაკვეთი 14:2 მოუგო. საკმაოდ კარგად გაისარჯა ვლადიმერ სტეფანია. მან ოთხი ქულა გააკეთა, სამი ბურთი მოხსნა ფარიდან და ორჯერაც დაუფარა მეტოქეებს, რომელთაგან ერთ-ერთი თვით დევიდ რობინსონი გახლდათ. ყოველივე ეს მან მხოლოდ ექვს წუთში მოახერხა. აშკარაა, რომ ქართველს შეუძლია პროფესიონალებში თამაში. ისიც სათქმელია, რომ სიეტლის 12 თამაშიდან ექვსში მონაწილეობდა და არც თუ ურიგოდ.

**გოლდენ სტეიტი 94:90 ფინიქსი**

გოლდენ სტეიტი: მარშალი (15 ქულა, 11 მოხსნა)

ფინიქსი: გულიოტა (22 ქულა, 10 მოხსნა), კიდი (10 ქულა, 18 პასი, 9 მოხსნა, 6 ჩაჭრა)

**ლეიკერსი 99:83 კლიპერსი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (22)

კლიპერსი: მარტინი (12)

როგორც იქნა, ლოსანჯელესურ დერბიში შედგა ლიგის „ცუდი ბიჭის“, დენის როდმანის დებიუტი ამ სეზონში. 1998 წლის 14 იანვრის იუტასთან ბოლო ფინალური მატჩის შემდეგ პირველ ოფიციალურ შეხვედრაში მონაწილეობა გიჟმაჟმა დენისმა იმით აღნიშნა, რომ თამაშის დაწყებამდე ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი გამოეცხადა პატივცემულ პუბლიკას, თვითონ თამაშში კი ჩვეულად გაისარჯა ფარქვეშ და 11 მოხსნა და 6 პასი შეჰმატა თავის ახალ გუნდს. უცნაური საქციელით და გამოხტომებით ცნობილმა როდმანმა კიდევ ერთი არაორდინალური რამ მოიმოქმედა — 37 წლის ვარ და მაისურზე ნომერიც ასეთი უნდა მქონდესო, მაგრამ 37 ჩვეულებრივ რიცხვად მიუჩნევია, ამდგარა და ციფრები შეუბრუნებია. ამიტომაც მაყურებელმა 73 ნომერ მაისურში იხილა.

ლეიკერსის ახალმა მწვრთნელმა ბილ ბერტკამ კლიპერსის სტუმრად დამარცხებას მისი შინ ძლევაც მიაყოლა და პირველი ორი მატჩის მოგების შემდეგ გაკვირვებულმა აღნიშნა, გაუგებარია, როგორ აგებდა ლეიკერსი აქამდეო. იმის შესახებ კი არაფერი უთქვამს, რომ მისგან ორგზის ძლეულ საცოდავ კლიპერსს ჯერ თამაშიც არ მოუგია.

**იუტა 80:65 დალასი**

იუტა: რასელი (17)

დალასი: პეკი (18)

**დენვერი 96:95 მილუოკი**

დენვერი: ბილაფსი (18)

მილუოკი: ბრენდონი (18)

დაშავებული ახალბედა რიფ ლაფრენცის მაგივრად დენვერის ძირითადში ჩამჯდარმა დენი ფორსტონმა ადგილი შეიშნოვა და საფინალო სასტვენამდე ხუთი წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩაუგდო მილუოკის.

**დეტროიტი 95:93 მაიამი**

დეტროიტი: ჰილი (22 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), დუმარსი (21)

მაიმი: მურნინგი (29)

დეტროიტელმა ცენტრმა მატჩის დამთავრებამდე 2,7 წამით ადრე ჩაუტენა მაიმის და შეაწყვეტინა მოგებების შვიდმატჩიანი სერია.

**ბოსტონი 94:80 ნიუ იორკი**

ბოსტონი: ვოლკერი (24 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (24)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (20)

**შარლოტი 97:95 პორტლენდი**

შარლტი: კოულმენი (28), რიდი (22), ფილზი (21)

პორტლენდი: რაიდერი (27)

**ტორონტო 102:92 მინესოტა**

ტორონტო: კარტერი (21)

მინესოტა: მარბერი (17)

**ორლანდო 103:100 ინდიანა**

(ძირითადი დრო 95:95)

ორლანდო: ჰარდევეი (23 ქულა, 13 მოხსნა)

ინდიანა: როუზი (20)

ძირითად დროში ინდიანა მარკ ჯექსონმა (11 პასი) იხსნა ვინაც 3,3 წამით ადრე 95:92 ანგარიშზე სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ გამარჯვება ოვერტაიმში მაინც მასპინძლებს დარჩათ.

27 თებერვალი

**ვანკუვერი 74:86 ჰიუსტონი**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (20 ქულა, 16 მოხსნა)

ჰიუსტონი: პიპენი (18), ოლაჯუონი (18)

**ვაშინგტონი 81:82 პორტლენდი**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (25)

პორტლენდი: გრანტი (19 ქულა, 18 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 91:101 ბოსტონი**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (22)

ბოსტონი: ვოლკერი (28 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (21)

**დალასი 97:90 საკრამენტო**

დალასი: ტრენტი (29 ქულა, 16 მოხსნა)

საკრამენტო: დივაცი (20)

**ჩიკაგო 94:77 შარლოტი**

ჩიკაგო: კუკოჩი (16)

შარლტი: კოულმენი (17)

**კლიპერსი 74:104 ატლანტა**

კლიპერსი: ნესბი (17)

ატლანტა: ლონგი (15)

28 თებერვალი

**მაიამი 84:78 ორლანდო**

მაიამი: მურნინგი (24)

ორლანდო: ანდერსონი (25)

**ლეიკერსი 106:90 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ონილი (22), ფოქსი (21)

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (22)

თავისი მეორე მატჩი ითამაშა დენის როდმანმა და ორი ქულა და 10 მოხსნა შეაწია ახალ გუნდს. მისმა გუნდმა კი როდმანის ჩიკაგოში თანაგუნდელის სკოტი პიპენის ახალ გუნდს სულ იოლად მოუგო.

**ფინიქსი 102:89 გოლდენ სტეიტი**

ფინიქსი: გულიოტა (20), რობინსონი (20)

გოლდენ სტეიტი: დელკი (18)

**დენვერი 116:112 ვანკუვერი**

დენვერი: მაკდაიესი (46 ქულა, 19 მოხსნა)

ვანკუვერი: მასენბურგი (27)

დენვერის თავდამსხმელმა კარიერაში ყველაზე მეტ 46 ქულას მოუყარა თავი.

**სან ანტონიო 87:101 იუტა**

სან ანტონიო: დანკანი (21 ქულა, 13 მოხსნა)

იუტა: მელოუნი (30)

**მილუოკი 76:87 ფილადელფია**

მილუოკი: ალენი (16)

ფილადელფია: აივერსონი (25)

**მინესოტა 93:100 პორტლენდი**

მინესოტა: მარბერი (25 ქულა, 16 პასი)

პორტლენდი: უოლესი (22)

**დეტროიტი 89:68 ნიუ იორკი**

დეტროიტი: ჰილი (21)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (13)

**ტორონტო 88:90 ჩიკაგო**

ტორონტო: ვილისი (19 ქულა, 10 მოხსნა)

ჩიკაგო: ბერი (19 ქულა, 11 მოხსნა)

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ორლანდო | 10 | 4 | 71,4 |
| მაიამი | 9 | 4 | 69,2 |
| ნიუ იორკი | 8 | 5 | 61,5 |
| ფილადელფია | 8 | 5 | 61,5 |
| ბოსტონი | 6 | 5 | 54,5 |
| ვაშინგტონი | 4 | 7 | 36,4 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 10 | 16,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 9 | 4 | 69,2 |
| ატლანტა | 8 | 5 | 61,5 |
| დეტროიტი | 8 | 6 | 57,1 |
| მილუოკი | 6 | 5 | 54,5 |
| კლივლენდი | 5 | 6 | 45,5 |
| ტორონტო | 4 | 8 | 36,4 |
| ჩიკაგო | 4 | 10 | 28,6 |
| შარლოტი | 2 | 9 | 18,2 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 11 | 2 | 84,6 |
| მინესოტა | 8 | 5 | 61,5 |
| ჰიუსტონი | 8 | 6 | 57,1 |
| სან ანტონიო | 6 | 8 | 42,9 |
| დენვერი | 5 | 9 | 35,7 |
| დალასი | 5 | 10 | 33,3 |
| ვანკუვერი | 4 | 9 | 30,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 9 | 3 | 75,0 |
| სიეტლი | 8 | 4 | 66,7 |
| ფინიქსი | 8 | 5 | 58,3 |
| ლეიკერსი | 9 | 6 | 60,0 |
| საკრამენტო | 6 | 7 | 46,2 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 7 | 46,2 |
| კლიპერსი | 0 | 12 | 0 |

# ხერგიანს კოკა ფინალში გაუტყდა

## დავითაშვილმა ბრინჯაო გაიმეორა

**პარასკევს ავსტრიული ლინციდან მიუნხენში ჩასულ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს ტრავმა-ავადმყოფობამ დარია ხელი და გუნდი ლამის გაანახევრა: გია გუგავას წვივტერფი სულ ჩალურჯებული აქვს, დავით ხახალეიშვილი წელის ტკივილმა შეაწუხა, რამაზ ჩოჩიშვილს, გიორგი ვაზაგაშვილს და დავით ნადარაიას სიცხემ აუწია... გიორგი რევაზიშვილი, როგორც ორი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, მწვრთნელებმა მიუნხენში არ აჭიდავეს და ვარჯიშს დააჯერეს.**



ნესტორ ხერგიანი

მიუნხენის ტურნირში, იგივე „მსოფლიოს სასტატოში“ წლეულს 45 ქვეყნის ძიუდოისტები მონაწილეობდნენ. სასიამოვნოა, რომ დანაკლისის მიუხედავად, ქართველები არც ამჯერად დავრჩით უმედლოდ.

პირველ დღეს, შაბათს, ორი მედლიდან უკეთესი, ვერცხლისა, ნესტორ ხერგიანმა (60 კგ) მოიპოვა. თავიდან მან ფრანგ ბატისტ ლერუას აჯობა, იმ ძიუდოისტს, რომელმაც ამ წელიწადნახევრის წინ თბილისში, ევროპის საკლუბო თასზე მოუგო ნესტორს. ქართველმა ორჯერ დაიმსახურა ვაზარი და ნაადრევი გამარჯვებაც იზეიმა. მეორე წრის შეხვედრაც ვადაზე ადრე დაასრულა ხერგიანმა: გერმანელი ოლივერ შპენგლერი ორჯერ იუკოზე დაავდო, მერე ფეხიდან აყვანილი წინ დაატრიალა და იპონმაც არ დააყოვნა. რუს ევგენი სტანევთან კი მძიმე ბრძოლა გადაიტანა — შეხვედრა ისე მთავრდებოდა, ანგარიში თანაბარი იყო. ხერგიანს ვაზარი ჰქონდა, სანაცვლოდ კი ამ შეფასების გამბათილებელი გაფრთხილება — კეიკოკუც მიელო. 15 წამი რჩებოდა, როცა ნესტორმა კოკა დაიმსახურა და მოიგო კიდეც.

ნახევარფინალში ჩვენებურის მეტოქე აზერბაიჯანელი ელჩან ისმაილოვი იყო. ეს შეხვედრაც მალე დასრულდა და ხერგიანი ფინალში გავიდა. იგი იქაც კარგა ხანს წინ იყო — კოკას უგებდა იაპონელ ტოკისადა ცუცუმის, მაგრამ ძიუდოს სამშობლოს შვილმა ელვისებური კისრულით ნესტორს მხოლოდ ვერცხლის მედალიღა დაუტოვა.

მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილმა ჯერ მოლდოველ ადრიან კორდონს მოუგო, მერე — გერმანელ დირკ კლუკერს. რამაზ ჩოჩიშვილმა პირველად ეგვიპტელი მაჰმუდ ელ ჰორეინი დაამარცხა, მერე — უნგრელ ზოლტან ჩისმადია. მეოთხედფინალში ორივეს რუსი შეხვდა. ეს ორთაბრძოლები ერთდროულად დაიწყო გვერდიგვერდ ტატამებზე და ერთდროულადვე დასრულდა — დავითაშვილმა ვერა დააკლო მსოფლიოს მესამე პრიზიორს და ევროპის ჩემპიონს ტამერლან ტმენოვს, ხოლო ჩოჩიშვილმა — მსოფლიოს ჩემპიონს სერგეი კოსოროტოვს.

ჩვენი ორივე ძიუდოისტი სანუგეშო ასპარეზობაში ჩაერთო. ჩოჩიშვილმა თავიდან ძლიერი მეტოქე, ჩინელი მსოფლიოს მესამე პრიზიორი პან სონი დაამარცხა, მერე კი თავად დამარცხდა იაპონელ ტაცუჰირო მურამოტოსთან.

დავითაშვილმა კი უკეთ იასპარეზა: იტალიელ დენის ბრაიდოტის და გერმანელ ფოლკერ ჰეიერს წმინდად მოუგო. დარჩენილი იყო შეხვედრა მესამე ადგილისთვის და ერთი მეტოქე — სერგეი კოსოროტოვი. ამას და დავითაშვილს ერთმანეთის წინააღმდეგ მრავალჯერ უჭიდავიათ. ბოლოს ჩვენებურს ემარჯვა, იანვარში, მოსკოვის ტურნირის ფინალში. ამჯერად შეხვედრა ორ წუთს გაგრძელდა — დავითაშვილმა კონტრილეთზე გამოიჭირა რუსი და მესამე ადგილი დაიკავა. ანალოგიურ წარმატებას მიუნხენში მან 1996 წელს მიაღწია.

81 კგ წონის ასპარეზობა ქართველთათვის ერთ წრეს გაგრძელდა. სოსო ლიპარტელიანმა ფრანგ ბერტრან დამესინთან წააგო, მიუნხენში ნაკრებისშემოერთებულმა ლევან ციგრიაშვილმა — გერმანელ დირკ რადსცატთან. მერე ჩვენების მძლეველებიც დამარცხდნენ და ქართველებმა სანუგეშო ეტაპზე ველარ იჭიდავეს.

73 კგ-ში დავით ნადარაიამ პირველი შეხვედრა წმინდად მოუგო სლოვენიელ გრეგორ ბროლს. მეორე შეხვედრაში წინ იყო გერმანელი რალფ აკოტოს წინააღმდეგ, მაგრამ მაზრჩობელაზე წამოეგო. გიორგი ვაზაგაშვილმა გერმანელ გეორგ გრაშმუკთან წააგო.

მეორე დღეს, კვირას, ერთი ქართველიღა ასპარეზობდა — ივერი ჯიქურაული (100 კგ). დასაწყისში, გერმანელ რონი ულბრიხს იუკოც აართვა, კოკაც, მერე კი გარეფეხიდან იპონზეც დააგდო. მერე იყო კანადელი მსოფლიოსა და ოლიმპიადის მესამე პრიზიორი ნიკოლას ჯილი. ივერი გაფრთხილებით დაწინაურდა, შემდეგ კანადელმა იუკოთი უპასუხა. ჯიქურაული გააქტიურდა და ის-ის იყო, მსაჯებს კიდევ ერთხელ უნდა გაეფრთხილებინათ ჯილი, რომ ჩვენებური ტატამის კიდესთან წამიერად მოდუნდა, რაც წაგების ფასად დაუჯდა.

ჯიქურაულმა სანუგეშო ეტაპზე გააგრძელა ასპარეზობა. თურქმენი პაველ სტოლბოვი ჩავლებით დაჩაგრა, რამდენჯერმე დააგდო და ბოლოს შებოჭა კიდეც. რუს იური სტიოპკინთან კი ჩამორჩენით დაიწყო — შიდოთი გააფრთხილეს. რუსს ორჯერ ფეხიდან ჰყავდა აყვანილი ჯიქურაული, მაგრამ ვერაფერს გამორჩა. შეხვედრის შუაწელში ივერიმ ქამარში გადაავლო სტიოპკინს და უკან გადაჩეხა. ასე მიაღწია მან ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის უფლებას.

მესამე ადგილს ჯიქურაულს კიდევ ერთი რუსი, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში ალექსანდრ მიხაილინი შეეცილა. რუსი ლამის ორმეტრიანია, ჯიქურაულს გადავლება უჭირდა, ამიტომ ფეხიდან აყვანას ცდილობდა. ორჯერ შარვალში დიდხანს ჩაკიდა ხელი, ამიტომაც გააფრთხილეს. მიხაილინმა ვაზარი დაიმსახურა და შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრები ორ დღეს დარჩება საერთაშორისო საწვრთნელ შეკრებაზე, ხოლო ოთხაშაბათს ფრანკფურტიდან თბილისში გაფრინდება.

**მერაბ რატიშვილი**
**მიუნხენიდან**



# წითლები დასისხლიანეს



წააგებდნენ, აბა რა იქნებოდა: კანბერელ ჯიმ უილიამსს თანაგუნდელმაც კი არ დაანება ლელოს გატანა

პრეტორია. 27 თებერვალი
„ლოფტუსი“
25 000 მაყურებელი

**პრეტორია 19(12):42(26) კეიპტაუნი**

**პრეტორია:** რიბენსი, ბური (ესპა 41), გრობელაარი (ბასონი 41), ოტო, ბრუქი, ვან დერ უოლტი, ბეკერი, დე კოკი, სმიტი, ოლივიე (მეირი 66), ვან შალკვიკი, სნაიმანი, ვან ვიკი, ვენტერი
1 ლ — ვენტერი, 1 გ და 4 ს — სმიტი
**კეიპტაუნი:** ქემფსონი მარასი (ვები 65), ვისაჟი, ლოუ, ტრაიტსმენი (ვაგნერი 65), ჰატინგი, ბრინქი, სკინსტადი, ვანძილი, ვან სტრაატენი, როსოუ, მარინოსი, ფლეკი, პულსი, მონტგომერი
3 ლ — როსოუ (2), ფლეკი 3 გ და 7 ს — ვან სტრაატენი

შეხვედრის ბედი სტუმართა ორმა ადრეულმა ლელომ გადაწყვიტა. საწყის თხუთმეტ წუთში „მოიერიშეები“ 17:0 დაწინაურდნენ. მატჩის გმირი სტუმარი ვან სტრაატენი გახლდათ, რომელმაც თავის ყოფილ გუნდს შვიდი საჯარიმო და სამი გარდასახვა გაუტანა. ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით ანგარიშიც მან გახსნა მე-2 წუთზე. ეს ფლეკის პირველ ლელომდე 5 წუთით ადრე მოხდა. მე-15 წუთზე კი როსოუმ ლელოთი უკვე 17 ქულით დააწინაურა თანაგუნდელები. მასპინძლებმა კი პირველ ტაიმში მხოლოდ სმიტის მიერ შესრულებული ზუსტი საჯარიმოებით მოიპოვეს თორმეტი ქულა. ერთადერთი ლელო მე-80 წუთზე ვენტერმა გაიტანა.

დურბანი. 27 თებერვალი
„კინგზ პარკი“
30 000 მაყურებელი

**დურბანი 13(13):13(5) სიდნეი**

**დურბანი:** ჟუბერი, ლოულესი, ათერტონი (მართენსი 56), გარვი, პეინი, ტერჩბლანკი, ენდრიუსი (გილინგემი 62), კრაისი, ბროსნინი, როსუ, ბრინკი, ფივიე, ვიზერი, ტომსონი, ბენადი
1 ლ — ფივიე, 1 გ და 1 ს — ბენადი, 1 ს — ჟუბერი
**სიდნეი:** ჰარი, პინკერტონი, გრეი, ოფაჰენგაუ, ტავალეა, ვაითეკერი, ბარკი (ბლეიდსი 47), ველბორნი, უორნერი, ბოუმანი (ბოუენი 58), ტაუპეააფე, კერნსი, დოულინგი, ჯონ-ჰაგი, პეინი
2 ლ — უორნერი, ვაითეკერი 1 ს — უორნერი

თამამად შეიძლება ითქვას — რომ არა მასპინძელთა უკანახაზელების უხეში შეცდომები, „ზვიგენები“ 4 ქულას მიითვლიდნენ აქტივში. „ქურციკთა“ კაპიტნის, გარი ტიჩმენის და ჰენრი ჰონიბალის არყოფნის მიუხედავად, სამხრეთაფრიკელები მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ. თავის მხრივ, სტუმრები იძულებული იყვნენ, დაცვაზე აეგოთ თამაში. როგორც შემდგომში გამოჩნდა, ასეთმა ტაქტიკამ გაამართლა. ის კი არა, ავსტრალიელებს მატჩის ბოლო წუთზე ვაითეკერის ლელო რომ გარდაესახათ, შეხვედრას მოიგებდნენ. თავად ლელო კი ისევ და ისევ მასპინძელთა შეცდომის შედეგი იყო. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ავსტრალიელმა ბურთით დაახლოებით 65 მეტრი ირბინა. არადა, საწყისი ოცი წუთის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, რომ სტუმრები შეძლებდნენ შეხვედრის გადარჩენას — ისინი ხომ 13:0 აგებდნენ. თუმცა, როგორც ხედავთ, შეძლეს.

ბრისბენი. 27 თებერვალი.
„ბელიმორი“
22 000 მაყურებელი

**ბრისბენი 11(11):0(0) ველინგტონი**

**ბრისბენი:** ჰერბერტი, უილიამსი, ტანი (დრამი 51), ვებსტერი (ფოლი 34), უოტკინსი, შარფი, მიურეი, სპუნერი, ჯონსტონი, მორგანი, კეფუ, ჰეთი, ქენონი, გრანტი, კოკბეინი
1 ლ — უილიამსი, 2 ს — სპუნერი
**ველინგტონი:** ალენი, ჰოულეტი, რასელი, პრესტონი (ლერემია 44), შტეინმეცი, ბეიჩოპი, ლეიასამაივაო, ტალეა, კანინგემი, ოჰალორანი (უილიამსი 42), რენბი, ჟარმანი, მაკა, ტიატია, უმაგა

წლევანდელი პირველობა „წითლებმა“ მოგებით კი დაიწყეს, მაგრამ იმდენად ძვირად დაუჯდათ, არა გვგონია, მომავალ მატჩში ასეთ შედეგს მიაღწიონ, თუ ამ მატჩში დაშავებულნი, დენიელ ჰერბერტი და მეტ კოკბეინი, არ მომჯობინდნენ. პირველს ნეკნი დაუშავდა, კოკბეინმა კი მარჯვენა მუხლი დაიზიანა. მოვლენები ძირითადად შეხვედრის პირველ ნახევარში განვითარდა. მატჩის ერთადერთი ლელო მასპინძელმა ნათან უილიამსმა გაიტანა, რომელმაც ზე-12-ის პირველობაზე პირველად ითამაშა თავიდან ბოლომდე. ანგარიში 21-ე წუთზე გაიხსნა — სპუნერმა მესამე ცდით, როგორც იქნა, გაიტანა საჯარიმო. ტაიმის ბოლოს მანვე თერთმეტამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა. ავსტრალიელთა მწვრთნელი ჯონ კონელი მატჩის შემდეგ ძალიან შეწუხებული ჩანდა: „საწყენია, რომ ჰერბერტი და კოკბეინი დაგვიშავდნენ. ალბათ, მომდევნო მატჩში მათ გარეშე მოგვიწევს ბრძოლა. ეს კი მოგების შანსს გვიმცირებს.“ სტუმართა თავკაცი ფრენკ ოლივერი კი მსაჯის საქციელს გაუცებია: „მასპინძლები ძალიან უხეშად გვეთამაშებოდნენ, არბიტრი კი რატომღაც თვალს ხუჭავდა, ამიტომაც იძულებული გავხდით, უხეშობაზე უხეშობითვე გვეპასუხა.“

დანიდინი. 27 თებერვალი
„ქერის ბრუქი“
37 000 მაყურებელი

**დანიდინი 19(3):13(3) ოკლენდი**

**ოკლენდი:** ტომსონი (ბარელი 41), მიტჩელი, დოუდი, ტეილორი, რიჩელმანი, ჯონსი (კარტერი 56), კოლინზი, რაში, რობინსონი, სპენსერი, ელისი, ინესი, კლარკი, ვიდირი, კეშმორი
1 ლ — სპენსერი, 1 გ და 2 ს — კეშმორი
**დანიდინი:** ჰოეფლი, ოლივერი, მიუსი, ბლეიქი, ტიმინსი, რენდელი, კრონფელდი, ი. მაკა, კელეჰერი, ბრაუნი, ლიმა, სტენლი, ალატინი, როპატი, უილსონი
1 ლ — კელეჰერი, 1 გ და 4 ს — ბრაუნი

შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთი რჩებოდა, როცა მსაჯმა მასპინძლები ათი წუთით უმცირესობაში დატოვა — ბრაიან ლიმა დაჯარიმდა. ამ დროისთვის ანგარიში 16:6 იყო „მთიელების“ სასარგებლოდ. ათ წუთში კი სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა. მატჩი სულ სხვა შედეგით შეიძლებოდა დასრულებულიყო, 77-ე წუთზე მასპინძლებს სტუმართა ერთ-ერთი შეტევა რომ არ ჩაეჭრათ. ამას და „მთიელების“ შეტევას კი ჯარიმა მოჰყვა, რომელიც ზუსტად შეასრულა ბრაუნმა და წერტილიც დაუსვა შეხვედრას. მასპინძელთა ერთადერთი ლელო ბაირონ კელეჰერის ანგარიშზეა, რომელიც მან მეორე ტაიმის პირველივე წუთზე გაიტანა.

იოჰანესბურგი. 26 თებერვალი
„ელიზ პარკი“
35 000 მაყურებელი

**იოჰანესბურგი 33(14):22(10) კანბერა**

**იოჰანესბურგი:** ბეიდენჰორსტი, სვანპოლი, ვენტერი, მიულერი, დურანდტი, ელსი (სმიტი 66), კრუგერი (დალტონი 41), თერონი, დროცკი, დელპორტი, სმოლი, ენგელბრეხტი, უაისი, ვან დერ უოლტი, მაიბარგი
2 ლ — სმოლი, ვენტერი, 1 გ და 7 ს — ენგელბრეხტი
**კანბერა:** კაპუტო, მაგრო (ჰასანი 43), ვაუ, ძამიტი (ჰარისონი 60), ფინეგანი (მაკმულენი 71), კოკერი, ჰოლდბეკი, მორტლოქი, კაფერი, ნორიეგა, ჰარდი, გრეგანი, ნოქსი, უილიამსი, ფენუკიაუ
3 ლ — ჰარდი, მორტლოქი, ტექნ. 2 გ და 1 ს — მორტლოქი

წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთმა ფავორიტმა წარმატებით დაძლია პირველ ტურის წინააღმდეგობა. სტუმართაგან ყველაზე მეტად სთირლინგ მორტლოქი აქტიურობდა, რომლის ანგარიშზე 12 ქულაა. მასპინძელთაგან კი თავი ენგელბრეხტმა გამოიჩინა. იმ დღეს მან უშეცდომოდ ურტყა და 23 ქულაც მიითვალა.

იმავე დღეს კრაისტჩერჩმა ჰამილტონს მოუგო 48:3.

**პაატა თოთაძე**




ბიარტე ენგენ ვიკმა ნორვეგიას ორი ოქრო მოუტანა

# მულულა სვანია?

RAMSAU/DACHSTEIN
Nordic Ski
World-Championships 99

რბოლა გაძლებაზე — ეს 50 კილომეტრზე რბოლის შინაური სახელია. გაძლებაზე რბოლაში კი ტექნიკა და სისწრაფე მეორე პლანზე გადადის და შეჯიბრება ნამდვილი კაცების შეჯიბრებად იქცევა ხოლმე.

ეს სახეობა მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ნომერიც არის. აი, ეს უკანასკნელი აკორდი სუფთა და უნაკლო რომ გამოსულიყო, სამოცდაათამდე მონაწილეს შორის ოთხმოცდაათიანი წლების ყველაზე პოპულარული მოთხილამურის ნორვეგიელი ბიორნ დელის ყოფნაც იყო საჭირო. სამწუხაროდ ასე არ მოხდა და ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატს ფინელ მულულას თავისტკივლის მიზეზიც საკმაოდ შეუმცირდა. ახლა უკვე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ურთულესი დისტანცია იშვიათ სტილში მოიგო — რბოლის პირველი კილომეტრიდან უკანასკნელ ორმოცდამეათემდე ნებისმიერ ნიშნულზე მისი გვარი პირველ სტრიქონს არ ჩამოსცილე ბია.

ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა სათხილამურო კაბადონზე? არა მგონია. რა თქმა უნდა, მულულა ძალიან ძლიერი მოთხილამურეა, მაგრამ გუნდე სვანისა და ბიორნ დელის გვერდით დასადგომად მთელი სეზონის და არა მარტო ერთის, თანაბრად და რაც მთავარია გამარჯვებათა სერიით ჩატარებაა აუცილებელი. მულულა რომ კარგად მოემზადა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, აშკარაა, მაგრამ მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაში, რომელიც ნოემბერში დაიწყო და დღემდე გრძელდება, მის პოზიციებს კაცი მაინცდამაინც სახარბიელოს ვერ უწოდებს. ამ თასის მოგება კი მსოფლიოს №1 მოთხილამურის ტიტულის მოსაპოვებლად საჭირო კი არა, ჰაერივით არის საჭირო.

ასე თუ ისე, დღეს მულულას სათქმელიც აქვს და საქმითაც ურიგოდ არ საქმიანობს. ვნახოთ, სეზონის ბოლომდე კიდევ ერთი თვეა.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### რამსაუ. ავსტრია. მსოფლიოს ჩემპიონატი

**ორჭიდი (ტრამპლინი 90მ. სპრინტერული კროსი 7,5 კმ)**

**კაცები**

1. ბიარტე ენგენ ვიკი (ნორვეგია) — 129.5 — 17:40.4
2. მარიო შტეერი (ავსტრია) — 123.0 — 17:54.6
3. კენჯი ოგივარე (იაპონია) — 121.0 — 17:44.4

**30 კმ. კროსი**

**ქალები**

1. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 1:29:19.9
2. ოლგა დანილოვა (რუსეთი) — 1:30:53.9
3. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) — 1:31:14.6

**ტრამპლინიდან ხტომა (90მ) კაცები**

1. კაზიუში ფუნაკი (იაპონია) — 225 (98.0 — 94.0მ)
2. ჰიდეჰარუ მიუაჰირა (იაპონია) — 253.5 (95.5 — 93.5მ)
3. მასაშიკო ჰარადა (იაპონია) — 252.0 (98.0 — 94.0მ)

# დელი აღარ ათამაშეს

ავსტრიულ რამსაუში ეს-ესაა გასრულებულ სათხილამურო მსოფლიოს ჩემპიონატს ამ საქმის გამორჩევით მცოდნენი უწინარესად ორი რამის გამო მოიგონებენ. პირველად იმიტომ, რომ განსხვავებით ბოლო ოლიმპიური და ორიც მსოფლიოს პირველობებისაგან, რუსულმა მდედრიონმა ამჯერად ყველა ოქროს აღება ვერ შეძლო. მეორეც, რომ ყველა დროის უდიადესმა მოთხილამურემ, ნორვეგიელმა ბიორნ დელიმ, პირველად 10 წლის განმავლობაში, თავის ზარდახშას ვერც ერთი ოქრო ვერ შემატა.

რუს ქალებს გალაღების საშუალება ვეტერანმა იტალიელმა, სტეფანია ბელმონდომ და ნორჩმა ნორვეგიელმა ბენტე მარტინსენმა არ მისცეს. პირველმა 15 კმ-ზე და 10 კმ-ზე გამოდევნებით რბოლები მოიგო, მეორემ კი 5 კმიან მანძილზე იმარჯვა და თავის ქვეყანას 1991 წლიდან რაგინდარა შეჯიბრში მოუგებელი ქალთა ოქროც მოუტანა. რაც შეეხება დელის, მისი ამაგდარი თხილამურები ფინელი მიკა მულულას ჩრდილში მოექცა. ფინელმა, რომელიც დელისგან განსხვავებით, უმთავრეს სასეზონო აქცენტს სწორედ მსოფლიოს პირველობაზე აკეთებდა, 10, 30 და 50 კმ-ზე ოქრო, ხოლო 15 კმ-ზე გამოდევნებით ვერცხლი მოიგო.

თუმცა, ნორვეგიელთა საბოლოო გამარჯვებისთვის ამას ხელი მაინც არ შეუშლია. ფინელთა 4 ოქროსა და 2 ვერცხლის საპირისპიროდ, ნორვეგიელთა მონაგარი ნარამსაუევს 4 ოქროსა და ჯამში 9 მედალს შეადგენდა. აქედან 2 ოქრო ოლიმპიური ჩემპიონის, ბიარტე ენგენ ვიკის ანგარიშზე იყო, ხოლო თითო-თითო ბრინჯაო-ვერცხლი კი იმავე დელისა, რომელმაც მაინც არ იკადრა, სუფრა ჭიქის აუწევლად მიეტოვებინა.



# გრეცკი ცუდად გახდა, რეინჯერსი — კარგად

კვირას შედგა სეზონის, ალბათ, ყველაზე მოულოდნელი გაცვლა. 30 წლის ტეო ფლერი, რომელმაც 11 წელი უერთგულა კალგარის, კოლორადოში გადავიდა და, შეიძლება ითქვას, „ეველანში" თასის მაძიებლისგან მის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად აქცია. ზედიზედ 223 მატჩში მონაწილეობის შემდეგ უეინ გრეცკიმ, რომელიც მთელი ჩემპიონატის განმავლობაში დაშავებული კისრით ასპარეზობდა, ტკივილებს ვეღარ გაუძლო და დაახლოებით ორი კვირით გამოეთიშა ჩემპიონატს.

26 თებერვალი

**რეინჯერსი — ფინიქსი 3:0**

2:0 1:0 0:0

1:0 მალჰოტრა 6'26 (7); 2:0 მაკლინი 19'42 (21); 3:0 მაკლინი 22'43 (22)

ეტყობა, გრეცკის დაკარგვა იყო საჭირო, ნიუიორკელები რომ ათამაშებულიყვნენ! მასპინძლებმა სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს.

**ანაჰაიმი — სან ხოსე 3:1**

1:0 2:1 0:0

1:0 რუჩინი 11'35 (22); 1:1 კოროლიუკი 25'52 (7); 2:1 სელიანე 30'21 (33); 3:1 გრინი 35'40 (11)

**ვანკუვერი — კაროლინა 1:0**

1:0 0:0 0:0

1:0 მეი 15'46 (5)

**ედმონტონი — ბუფალო 6:3**

3:0 3:2 0:1

1:0 ნიინიმაა 4'20 (4); 2:0 მაკამონდი 15'21 (8); 3:0 მარჩანტი 19'21 (7); 3:1 შატანი 20'31 (28); 4:1 მარჩანტი 21'29 (8); 4:2 პლანტი 23'07 (3); 5:2 ფერარო 35'40 (1); 6:2 მირონოვი 39'57 (7); 6:3 პლანტი 57'26 (4)

**ჩიკაგო — ლოს ანჯელესი 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 ოდეტი 17'11 (12); 0:2 ბლეიკი 32'25 (6); 1:2 ოლჩიკი 43'09 (5)

**დალასი — პიტსბურგი 6:4**

1:2 3:1 2:1

1:0 ვერბიკი 7'23 (14); 1:1 სტრაკა 9'19 (27); 1:2 ვერენკა 10'08 (5); 2:2 ლანგებრუნერი 20'58 (9); 3:2 ზუბოვი 21'22 (8); 4:2 რეიდი 29'50 (4); 4:3 სტრაკა 35'01 (28); 4:4 მილერი 40'36 (15); 5:4 ჰრკაჩი 45'16 (8); 6:4 მოდანო 59'44 (24)

**დეტროიტი — ფლორიდა 5:5**

2:1 2:0 1:4 0:0

1:0 მოლტბი 4'51 (5); 1:1 ბურე 6'12 (9); 2:1 მოლტბი 19-30(6), 3:1 ფიოდოროვი 21'50(18), 4:1 ლაპოინტი 33'30(15); 4:2 კოზლოვი 40'33(12); 4:3 ბურე 45'34(10); 4:4 პერიში 46'35(17); 4:5 მელანბი 48'43(14); 5:5 ლარიონოვი 54'54(11)

მატჩის მესამე პერიოდი უაღრესად შინაარსიანი გამოდგა. ჯერ იყო და, სტუმრებმა 5 დარტყმა 4(!) გოლად აქციეს, თანაც ბურემ ჩინებულად შეასრულა ბულიტი და მატჩის ბედი შეატრიალა, თუმც მცველმა ტერი კარკნერმა ორი უხეში შეცდომა დაუშვა, რამაც კინაღამ დაღუპა „პანტერები". კიდევ კარგი, რომ იგორ ლარიონოვმა მათგან მხოლოდ ერთი გამოიყენა.

**ტამპა — ფილადელფია 4:1**

2:0 1:0 1:1

1:0 რიშე 9'44 (4); 2:0 რიშე 15'23 (5); 3:0 კუბინა 34'49 (6); 4:0 მაკარტი 53'20 (5); 4:1 დეჟარდენი 57'13 (14)

**კალგარი — სენტ ლუისი 2:4**

1:1 1:0 0:3

0:1 კონროი 9'09 (10); 1:1 ნაზაროვი 18'07 (6); 2:1 სტილმანი 86'33 (18); 2:2 კონროი 41'33 (11); 2:3 პელერინი 49'19 (14); 2:4 კონროი 59'47 (12)

27 თებერვალი

**ედმონტონი — კაროლინა 2:2**

0:0 1:1 1:1 0:0

0:1 მანდერვილი 24'50 (5); 1:1 მირონოვი 27'24 (8); 2:1 მაკამონდი 50'41 (9); 2:2 ფრენსისი 59'36 (12)

**კოლორადო — ნეშვილი 3:1**

1:0 1:1 1:0

1:0 ლემიე 8'09 (21); 1:1 ბრიუნეტი 35'29 (10); 2:1 მესიე 38'45 (2); 3:1 ფორსბერგი 52'41 (18)

**ტორონტო — ფლორიდა 4:1**

0:0 3:1 1:0

1:0 მაკოლი 23'29 (9); 2:0 ჯონსონი 30'41 (18); 3:0 უორინერი 32'09 (8); 3:1 კოზლოვი 39'22 (13); 4:1 კოროლიოვი 56'46 (12)

**აილენდერსი — დეტროიტი 3:1**

0:0 2:1 1:0

1:0 რაიხელი 20'47 (18); 2:0 რიხტერი 25'36 (6); 2:1 ჰოლმსტრიომი 34'50 (9); 3:1 ლოურენსი 55'00 (8)

**მონრეალი — ოტავა 4:1**

1:0 1:0 2:1

1:0 რეკი 17'57 (12); 2:0 მალახოვი 36'49 (11); 2:1 იაშინი 41'01 (29); 3:1 სტივენსონი 54'49 (5); 4:1 კოივუ 58'12 (12)

**ბოსტონი — ვაშინგტონი 4:3**

0:1 2:1 2:1

0:1 კლი 9'12 (6); 1:1 კარტერი 29'04 (10); 2:1 ხრისტიჩი 33'10 (25); 2:2 კლი 38'41 (7); 3:2 ხრისტიჩი 40'24 (26); 3:3 შვეიკოვსკი 43'50 (4); 4:3 ელისონი 55'38 (18)

**სან ხოსე — ანაჰაიმი 1:4**

1:1 0:1 0:2

1:0 მარლო 5'21 (14); 1:1 სელიანე 15'50 (34); 1:2 გრინი 34'44 (12); 1:3 კარია 51'38 (27); 1:4 ჰალერი 53'06 (1)

28 თებერვალი

**დალასი— ლოს ანჯელესი 1:0**

1:0 0:0 0:0

1:0 ნეინდაიკი 0'31 (13)

**ვაშინგტონი — პიტსბურგი 4:3**

1:0 2:2 1:1

1:0 შვეიკოვსკი 15'48 (5); 2:0 გონჩარი 24'04 (14); 3:0 ბლეკი 28'02 (9); 3:1 გალანოვი 30'48 (4); 3:2 ბრაუნი 36'48 (5); 3:3 სტრაკა 47'42 (29); 4:3 ნიკოლიშინი 52'31 (5)

**ვანკუვერი — ბუფალო 0:2**

0:0 0:1 0:1

0:1 კანიუორტი 23'36 (2); 0:2 გროშეკი 59'26 (15)

ეს დომინიკ ჰაშეკის მორიგი შატაუტი არ გეგონოთ, ბუფალოს კარს ისევ დუეინ როულსონი იცავდა.

**რეინჯერსი — ფილადელფია 6:5**

2:2 3:1 1:2

0:1 ლინდროსი 7'30 (36); 1:1 გრეივსი 8'16 (28); 1:2 ჯოუნსი 19'25 (16); 2:2 ნედვედი 19'33 (13); 3:2 ფრეზერი 23'57 (1); 4:2 ნედვედი 26'09 (14); 5:2 გრეივსი 32'59 (29); 5:3 ლანგკოუ 37'16 (12); 5:4 ლეკლერი 41'21 (38); 5:5 რენბერგი 48'41 (9); 6:5 ნედვედი 53'32 (15)

გამოცოცხლებული ნიუიორკელების შეჩერება თვით ერიკ ლინდროსმაც (1+2) ვერ შეძლო, რომელიც კვირას 26 წლის გახდა.

**ჩიკაგო — სენტ ლუისი 1:3**

0:3 0:0 1:0

0:1 ტარჯონი 6'08 (22); 0:2 ტარჯონი 9'46 (23); 0:3 რომი 14'10 (9); 1:3 ოლჩიკი 25'05 (6)

**ნიუ ჯერსი — ფინიქსი 4:1**

2:1 1:0 1:0

0:1 კორკამი 1'47 (8); 1:1 პედერსონი 8'44 (10); 2:1 სიკორა 16'02 (21); 3:1 არნოტი 36'44 (16); 4:1 როლსტონი 50'56 (19)

**სამველ ლარიბიანი**




ფლორიდელი კირკ მიულერი ტორონტოელ გერი ვოლკს (10) გადაეყარა



# ივანჩუკი ახლაც ნოკაუტშია

ლინარესის საჭადრაკო სუპერტურნირის პირველ სამ ტურში ნათამაშევი 12 პარტიიდან 10 ყაიმით დასრულდა, რაც ბუნებრივად შეიძლება აიხსნას მოჭადრაკეთა მიერ ერთმანეთის დაზვერვის სურვილით. მომდევნო სამ ტურში შედეგიანმა პარტიებმა მკვეთრად იმატა და შესაბამისად სატურნირო ცხრილშიც გაფართოვდა და გაღრმავდა ნაპრალები ლიდერებსა და აუტსაიდერებს შორის. მიუხედავად ამისა, ყველაზე მრავალრიცხოვან დაჯგუფებას ჯერჯერობით მაინც „საშუალო ფენა" შეადგენს და გადამწყვეტ სიტყვასაც, ცხადია, ტურნირის მეორე წრე იტყვის, რომლის დაწყებამდე ერთადერთი ტურიღა დარჩა.

მე-5 და მე-6 ტურებმა მხოლოდ იმედგაცრუება მოუტანა ინგლისელ მაიკლ ადამსს, უკრაინელ ივანჩუკთან უნებლიე გამარჯვების მიღწევის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერობას რომ ზეიმობდა. ადამსის მეფე მეხუთე ტურში კასპაროვმა დაამხო, მერე კრამნიკმაც აუგო წესი, რის შემდეგაც ინგლისელმა ცხრილის სიღრმისკენ გადაინაცვლა, თავში დგომის პატივი კი უფრო ტიტულოვანებს დაუთმო. ადამსთან მოგებას კასპაროვმა ლეკოსთან ყაიმი მიაყოლა და ახლა 6 შესაძლებლიდან 4 ქულით ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს. 3,5 ქულა აქვთ ანანდსა და კრამნიკს, რომელთაგან პირველმა როგორც იქნა შეწყვიტა 5 პაარტიისგან შემდგარი ყაიმების სერია და მე-6 ტურში სვიდლერს აწყენინა, ხოლო მეორემ ადამსის დამარცხებით ოდნავ შელახული რეპუტაცია აღიდგინა, რისი მიზეზიც წინა ორ ტურში 20 და 19-სვლიანი უფერულად ნათამაშევი პარტიები გახლდათ.

ზემოთ ნახსენები „საშუალო ფენა" სატურნირო ცხრილში 4 მოჭადრაკეს ითვლის: ადამსს, სვიდლერსა და ტოპალოვს 3-3 ქულა აქვთ, თანაც ამ უკანასკნელს ჯერჯერობით არც მოუგია და არც წაუგია, არის კაცი თავისთვის. 2,5 ქულა დააგროვა ყრმა უნგრელმა ლეკომ, ხოლო გამოკვეთილი აუტსაიდერი ერთადერთია: ივანჩუკი, რომლის ქულათა მარაგი მხოლოდ ერთნახევარია. ადამსთან წაგებამ უკრაინელზე ისე ცუდად იმოქმედა, საეჭვოა, ამ შოკს კარგა ხანს დააღწიოს თავი.

**დავით გულუა**



# დედა ნახე, მამა ნახე

*უგანდელი ჯონ ოფუონი დედამიწასთან ვერტიკალურ მიმართებაში 2 მეტრსა და 50 სმ-ს მოითვლის... ანუ სხვაგვარად, 2,5 მ სიმაღლისაა. როგორც უგანდაში ამბობენ, „პატარა ჯონი“ მათი ბარაქიანი და დემოკრატიული ქვეყნის, ემანდ, ყველაზე ოყლაყი კაცი უნდა იყოს... თავად ჯონს ამაზე კეთილად ელიმება მთავარია, მისი სიმაღლითა და იშვიათი ტანადობით NBA-ს აგენტები დაინტერესდნენ. „რაც დროზე წაიყვანთ, ჩვენთვის უკეთესი იქნება“, ელიმებათ ბიჭის სათნო მშობლებსაც... ღმერთმა ხელი მოგიმართოს დიდ კალათბურთზე მეოცნებე პატარ ჯონ!*

# შავი დუეტი

*გასულ უქმეებზე ჰონგ კონგმა თავის პირველ მარათონს უმასპინძლა. ორგანიზმის გამძლეობის გამოცდა, ჭარბი წონის მეყსეული დაგდება თუ კიდევ რაღაც გაურკვეველი ამბები ერთბაშად 1700-მა მოხალისემ სცადა. მაგრამ იქ, სადაც სხვები მხოლოდ ხალისობდნენ, კენიელმა დოსტებმა, ჩარლზ ტანგუსმა (ფოტოზე) და მბარაკ ჰუსეინმა ნაღდი კენიური თოხარიკი გააჩაღეს დათრგუნულ მეტოქეებს მხოლოდ მათი შეყვითლებული ქუსლებით ტკბობა შერჩათ... ჩარლზმა მარათონული დისტანციის გადალახვას ორი საათი და 17 წუთი დაახარჯა; მბარაკი ძმაკაცს 3 წამით ჩამორჩა.*



# შერეკილები



შვეიცარიელ ბერტრან პიკარსა (მარცხნივ) და ინგლისელ ბრაიან ჯოუნზს (მარჯვნივ) უახლოეს კვირათა ამინდის, ჰაერის გადაადგილება-გადმოადგილებისა და ციკლონ-ანტიციკლონების ამბავი გუშინ დილით ალბათ ყველა სულიერზე მეტად აღელვებდათ — ისინი ხომ ნაშუადღევს თავიანთ საჰაერო ბუშტში უნდა ჩამსხდარიყვნენ და დედამიწის ირგვლივ გაფრენილიყვნენ... როგორც ჩანს, ბელგიელმა მეტეოროლოგმა ლუკ ტრულემანსმა (შუაში) ბიჭებს რიგიანი ამინდი უწინასწარმეტყველა. მათი ხომალდი ცოდვილ ხმელეთს შვეიცარიულ ალპებში, კოპნია შატო დიოდან განერიდა.



# ტაისონს ცხრა დღე შეუნდეს



სარბიელის არქივიდან

ათი დღის წინათ რომ მაიკ ტაისონმა ტელევიზორი შეანარცხა საკნის გისოსებს და ნამსხვრევებით „ნადზორის ბიჭები“ დააშავა, მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოს, როკვილის ციხისკენ ჟურნალისტებმა იწყეს დენა. გასაგებია, რომ ახალი სკანდალი მწიფდებოდა და როკვილელმა სამართალდამცავებმაც არ დაახანეს, ტაისონს ოცდახუთდღიანი იზოლაცია (ჩვენებურად კარცერი) და პრივილეგიის მოხსნა დაუდგინეს.

როკვილელმა სამართალდამცავებმა ეს გადაწყვეტილება გასულ ოთხშაბათს გამოიტანეს, გუშინ კი აქეთური საციხო საქმეების პრესმდივანმა ერიკ სელეზნიოვმა განაცხადა, რომ პარასკევს ტაისონს იზოლაციის ვადა შეუმცირდება და თავის პრივილეგირებულ საკანსაც დაუბრუნდება. ციხის მამებს უთქვამთ, ვაპატიოთ ცხრა დღე დიდ ჩემპიონს, რომელიც, პრინციპში, უმიზეზოდ არ აფეთქებულაო. თუმცა, ტუსაღი ტაისონისთვის ტელეფონის დაბრუნებაზე ლაპარაკი ჯერ არ ყოფილა.

# მზადება პრემიერისთვის

მელბურნში ფრიადი მზადებაა · 7 მარტს იქ „ფორმულა 1“-ის წლევანდელი სეზონის პრემიერა შედგება. მომსახურე პერსონალი ტრასის მოვლითაა დაკავებული, იქ ჩასულ მრბოლთაგან კი ზოგი რითი ერთობა, ზოგიც რითი. „ჯორდანის“ გერმანელ პილოტს, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს (მარჯვენა ფოტოზე), მაგალითად, ვარჯიშიდან თავისუფალ დროს ტრამვაის ტარებას არაფერი ურჩევნია...





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29